

ମୁଖ



ଲୋତୀଙ୍ଗାଳୁ ପ୍ରକାଶନ ପର୍ଯ୍ୟନ୍ତ ପରିଷଦ୍ ପ୍ରକାଶନ
ନାମକାରଣ ପର୍ଯ୍ୟନ୍ତ ପରିଷଦ୍
No 2 (29)
ଜାନୁଆରୀ 2016



ოლე

მწერალთა ასოციაცია
„ლიტერატურული კახეთის“ გამოცემა

The Literary Magazine OLE

უკანალი გამოდის 2004 წლის ივნისიდან
ISSN 1512-3995

ოლე – ბრყენა, გინა მოგრძე ტყე ველთა შუა
სულხან საპა

ოლე – ახოში საჩრდილობლად დატოვებული
ხე
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

ოლე – გიორგი ლეონიძის პოეტური შედევრი

მთავარი რედაქტორი

აკაკი დაუშვილი

რედაქტორები:

ფარნა რაინა
ნუნუ ძამუკაშვილი

მისამართი: 2200 თელავი
ერეკლე II-ის გამზირი №6
III სართული
მობ: 555 46 44 29
მწერალთა ასოციაცია
„ლიტერატურული კახეთი“
მობ: 558 48 24 80

„ოლეს“ რედაქტორი შემოსული მასალა
არ რეცენზირდება და ავტორს არ უბრუნდება

მასალების გამოგზავნა შეგიძლიათ
ელექტრონული ფოსტით
E-mail: akakidau@mail.ru

უკანალის წინა ნომრების შეძენა
შეგიძლიათ რედაქტიაში

უკანალი „ოლე“ გამოიცემა თვითმ-
მართველი ქაღაქი თელავის მუნიციპალიტე-
ტის (მერი ბატონი პლატონ კალმახელიძე)
და თვითმმართველი თემი თელავის მუნიცი-
პალიტეტის (გამგებელი ბატონი ალექსანდ-
რე შათირიშვილი) მხარდაჭერით.



მარტი, ივნისი სულხანის უკანალი, №2 (29), 2016



სამოდის საქ თვეუსასი ერთხელ
და



„ოლე“ ლიტერატურული უკანალი



შინაარსი

უკანალ „ოლეს“ მიმდევალთა პოლიტიკის

3. ლია ნადირაშვილი. გამორჩეული
5. ნანა რჩეულიშვილი. ფიქრები „ოლეს“
თვალსაწირისა და მისიის შესახებ
7. ნინო ლაჩაბვილი. „ოლე“ ქართული პოეზიისა
და პროზის დიდი ესთეტი...
11. ნინო ცემიშვილი. უკანალი, რომელსაც
მშობლიური სურნელი ახლავს

მარტის დიდი ლიტერატურა

13. რეზო (ეველიანე) ადამია. წმიდა ნინო.
რომანი
26. ვასილ გოსტავიშვილი. მარუშისძე. პოემა
42. ოთარ ხუციშვილი. იუმორისტული
მოთხრობები
44. ციური მასებიშვილი. ლექსები
47. ნინო ზუროშვილი. ლექსები

დოკუმენტური პროზა

49. ნორა ედიშერაშვილი. ორი მინიატურა

„ნაბიჯი“ — ახალგაზრდული ჩანართი

52. მარიამ ასპანაშვილი, დიანა ჯალალოვი, მარიამ
ჩიმახიძე, ნანა ბართიშვილი, ნუცა ყურბან ყიზი,
ყარა ზაქირ ოლლი, ნათია ჯავშანაშვილი, აიშა
იდრისოვა, ქეთევან ნათელაძე, შორენა გუმბათოვა,
გიორგი ნიკლაური, გიორგი სოხაშვილი, ანი
ჭამაური, თია (თინათინ) ყავრელაშვილი, ნათია
ბოტკოველი, ნინო კუტალაძე, ელიზბარ ნერსესოვი

თარგმანი

56. დარია კასტალიანეთა (დარია კრიუკოვა).
წყლის მოსატანად. მოთხრობა

ნირილები

59. ზალ გოგოვაშვილი. „რა ღირსეული იყო
ყველგან“...


62. კულტურული ცხოვრების პროცესი

გარეკანის პირველ გვერდზე
ლევან მოსიაშვილის ნახატი

დაიბეჭდა შპს „ფავორიტი სტილში“

ქუთათების „ოლეს“ მუზეუმის გადახრული გამოცემა

2



თინათონ მრელაშვილი, ფარნა რაინა, გელა სამხარაული,
ნუნუ ძამუკაშვილი, ცისანა თვალიაშვილი

2016 წლის 19 აპრილს, თელავის მთავარ ბიბლიოთეკაში, „საქართველოს ბიბლიოთეკების კვირეულის“ ფარგლებში გაიმართა მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ ურნალ „ოლეს“ მკითხველთა კონფერენცია. კონფერენცია გახსნა გურამ რჩეულიშვილის სახელობის ბიბლიოთეკის გამგემ — ცისანა თვალიაშვილმა.

მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ თავმჯდომარემ ფარნა რაინამ ვრცლად ისაუბრა მწერ-

ალთა ასოციაციის დაფუძნებასა და განვლილ საქმიანობაზე. ფარნა რაინამ კახეთში მწერლობის აღორძინების მხარდაჭერისა და თანადგომისათვის დიდი მაღლიერება გამოხატა პარლამენტის წევრის — გელა სამხარაულისადმი, თვითმმართველი ქალაქი თელავის მუნიციპალიტეტის მერის — პლატონ კალმახელიძისადმი და თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის ალექსანდრე შათირიშვილისადმი.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვით გამოვიდა თელავის მაურიტარი დეპუტატი პარლამენტში — გელა სამხარაული.

მწერალთა ასოციაციისა და ურნალ „ოლეს“ რედაქციის აქტიური სქმიანობის შესახებ ისაუბრა თელავის საბიბლიოთეკო გაერთიანების მთავარი ბიბლიოთეკის დირექტორმა — მაყვალა ნიკლაურმა.

კონფერენციაზე ურნალ „ოლეს“ ნომრების მიმოხილვით გამოვიდნენ: ნანა რჩეულიშვილი, ლია ნადირაშვილი, ნელი ცქიტიშვილი, ნინო ლაჩაშვილი.

სიტყვები წარმოთქვეს: თამარ სამხარაძემ, ქეთევან ათუაშვილმა, თეა ყავრელიშვილმა, ნათელა შემაბერიძემ; მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ ახალგაზრდა მწერალთა სექციის ხელმძღვანელმა — ნუნუ ძამუკაშვილმა და სხვებმა.

გთავაზობთ, კონფერენციაზე წაკითხულ, რამდენიმე მიმოხილვას.



თინათონ მრელაშვილი





ლია ნადირაშვილი

3

გამორჩეული

თანამედროვე პრაგმატული სამყარო ელვის სისწრაფით განიცდის ტრანსფორმაციას. მოძალებული ტექნიკური პროგრესი გონიერ ადამიანში ბუნებრივად ბადებს წიგნიერებისადმი ლტოლვას, რაც ინვევს ინტერესს, რომ მკითხველი გაეცნოს არა მარტო კლასიკურ მწერლობას, არამედ — ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებსაც, რომელთა შორის გამოიჩინევა „ოლე“, რომლის 2015 წლის IV ნომრის მიმოხილვაც მე მხვდა წილად.

ჟურნალის უმთავრესი ღირსება დახვეწილი გემოვნებით შერჩეული ტექსტები და სხვადასხვა თემასთან მიმართებით დაწერილი სტატიებია.

„ოლეს“ ფურცლებზე ხშირად იძეჭდება პოეტ ფარნა რაინას ლექსები. ამ ეტაზზე მინდა, შევჩერდე მის კატრენებზე, რომლებიც ყურადღებას იქცევს არა მარტო სალექსო საზომით, რითმათა ნაირსახეობითა და გამორჩეული ესთეტიკით, არამედ — „მართლის თქმის“ პრინციპითაც, რამეთუ ამით ცნაურდება ავტორის პოზიცია: ასახო სიმართლე ისე, რომ შენი მოქალაქეობრივი მრნამსიც შეაგრძნობინო მკითხველს:

„სატანა ასჯერ
იცვლის
იერსო,
თუმც,—
მისანივით
კითხულობს
აზრებს...
ჭეშმარიტება —
ვითარ იესო —
რამდენჯერ უნდა
გააკრან
ჯვარზე?!..“

აქვე აღნიშნავ, რომ ამავე ნომერში დაიბეჭდა მასალები ტერენტი გრანელისა და გიორგი ლეონიძის პრემიებმინიჭებული პოეტისათვის, ფარნა რაინასათვის, საქართველოს მწერალთა კავშირში ვაჟა-ფშაველას პრემიის მინიჭების შესახებ.

მინდა, ყურადღება გავამახვილო რეზო (ემელი-ანე) ადამიას რომანზე „წმიდა ნინო“, რომლის დაბეჭდვაც სწორედ ამ ნომერში დაიწყო. რომანის იმ ნაწილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რომლის წაკითხვის საშუალებაც მომეცა, იგი ძალიან საინტერესო და გამორჩეული პროზაული ტექსტია. წმიდა ნინოს ცხოვრება ქართველთავის კარგადაა ცნობილი, მაგრამ ჩემს ყურადღებას თხრობის მანერა და ავტორის ჩანაფიქრი

იქცევს. ქრისტიანი წმინდანის ცხოვრებისა და მიზანსწრაფვის უზენაეს კოსმოლოგიასთან შენივთება, ამ ორი ძალის — მიწიერისა და ზეციურის — სინთეზი საინტერესოდ გადმოგვცა რეზო ადამიამ. ამით დასტურდება წინაპარი ქრისტიანი მოაზროვნების, შოთა რუსთაველის, ვაჟა-ფშაველას სარწმუნოებრივ-ასტრალური პოზიციაც: „ეს გამაოგნებელი ზეციური ურთულესი მოვლენები, კოსმოსურ-მათემატიკური სიზუსტე გახლავთ სამყაროს ჯაჭვურ მოძრაობათა მიუწვდომელი მონაცვლეობისა. ყოველი პიროვნების მოსვლა და წასვლაც ხომ შიდამნათი გარდაქმნებიდან, ზღვარდადებულ-დაკანონებული, სამყაროსეული უხილავფორმიანი შენირვებით გაივლის და მათი დაუსრულებელი სვლა და გარდამავლობაა...“

მნიშვნელოვანია, რომ რომანის ავტორი, რეზო ადამია, ხატმნერიცაა, რომლის ნამუშევრის რეპროდუქცია — წმინდა ნინოს ხატი — ამკობს 2015 წლის IV ნომრის გარეკანის პირველ გვერდს, ხოლო ბოლო გვერდს იკავებს მის მიერ შესრულებული 6 წახატი; ყველა მათგანით პეიზაჟია გადმოცემული, თუმცა თითოეული თავისთავადია, სხვა დანარჩენისაგან გამორჩეული, მოთხოვობადქცეული, ქართული ტრადიციული ელემენტებით სავსე. ყურადღებას ვამახვილებ ტილოზე სახელწოდებით — ტერენტი გრანელი. იგი აშკარად „კვირის წირვების“ პათოსითა აღსავსე: თოვლი, სიცივე, ყვავი, ეკლესია, ხალხი, თუმცა ტერენტი მარტოა, როგორც — რეალურად ცხოვრებაში.

ჩემი ყურადღება მიიქცია ელზა თუშაბრამიშვილის პროზაულმა ტექსტმა „სხვათა ქვეყანა“, რომლის მეშვეობითაც გადმოცემული ქართველთათვის დამახასიათებელი ნოსტრალების განცდა გულგრილს არ დატოვებს მკითხველს.

ჟურნალ „ოლეს“ დასახელებულ ნომერში ვეცნობით მაია დიაკონიძისა და ბესარიონ თარხნიშვილის პოეზიას. ეს უკანასკნელი ძირძველი თელაველია, რაც საკმაოდ ემოციურად ვლინდება მის ლექსებში: „ძველი სახლი“, „შემოდგომობით“, „გადავკრავ ლვინოს“. მაია დიაკონიძის პოეზიაში კი მძაფრად იგრძნობა ქრისტიანულ-პატრიოტული განწყობა, რაც ასერიგად დამახასიათებელია ქართული პოეზიისათვის.

რუბრიკით „თარგმანები“ ქვეყნდება ჯორჯ გორდონ ბაირონის, ალექსანდრე პუშკინის, სერგეი ესენინისა და ალექსანდრე ბლოკის ლექსები — მთარგმნელი ციცინო მარკოზაშვილი. ლექსები კარგად, პროფესიონალურადაა თარგმნილი.

ვთვლი, მკითხველის ყურადღებას მიიქცევდა





ნინო ბაქანიძის დოკუმენტური პროზა — „გარიყულები გარიყულადან“. ავტორი უშუალოდ მოგვითხრობს ბოლგარსკ-ბელეცების ოჯახის ტრაგიკულ თავ-გადასავალს და ჩვენ თვალწინ ცოცხლდება XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე მომხდარი ამბავი, რომელიც უკვე ცრემლიან-ტკივილიან ისტორიად ქცეულა. ამიტომაც დაასრულა ავტორმა თავისი დოკუმენტური მოთხრობა გაგა ნახუცრიშვილის ლექსის „მოკლე და ხანგრძლივი“ ემოციური ნაწყვეტით:

„ცხოვრება არის ჰაერი, სივრცე,
ცხოვრება არის მარწუხით, ვადით,
ცხოვრება არის, რომ ხედავ სიზმრებს,
ცხოვრება არის საშინალად ცხადი“.

დადებითად ვაფასებ უურნალ „ოლეს“ ნომრებში უკვე ტენდენციად დამკვიდრებულ პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ მის გვერდებზე იძეჭდება პროფესორ-აკადემიკოსების სამეცნიერო, კვლევითი თუ კრიტიკული წერილები. ამ ეტაპზე მხედველობაში მაქვს ბატონ როინ ჭიკაძის წერილი — „ლევან გოთუასმიერი სათავისუფლო სამშობლო“. ავტორი ლაკონიურად გადმოგვცემს ლევან გოთუას ცხოვრების ტრაგიკულ ეპიზოდებს, დიდი მნერლისა და მამულიშვილის ტკივილიან თავგადასავალს საბჭოთა ხელისუფლების მძიმე წლებში, როცა ღირსეულ ადამიანთა ბედის სიმწარეს, ხელისუფლების ჭახრაკების გარდა, იუდათა უტიფარი ზეობაც განაპირობებდა. მსგავსი პოზიციის გამომხატველია ზაალ ბოტკოველის ემოციური წერილი, „ლამაზი ცრემლების მომგვრელი“, რომელიც კიდევ ერთხელ გვახსენებს მნერალ რევაზ ინანიშვილის ღირსეულ ცხოვრებას. „მის გვერდით, მის მხარდამხარ რამდენიმე წელიწადი გავატარე და შემიძლია, ხატზე დავიფიცო, რომ ასეთი სუფთა,

ასეთი კეთილშობილი, ასეთი პირნათელი კაცი ერთან და ბერთან იშვიათად შემხვედრია“, — წერს ავტორი, ზაალ ბოტკოველი.

უურნალ „ოლეს“ 2015 წლის IV ნომერში ვეცნობით რუბრიკას — „კულტურული ცხოვრების ქრონიკა“, რომელიც უამრავ ინფორმაციას გვაწვდის 2015 წლის ოქტომბერში, ნოემბერშა და დეკემბერში თელავში მიმდინარე კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიებების შესახებ, რომელთა მეშვეობითაც ვიგბათ ძალიან ბევრ საინტერესო ამბავს: სასიხარულოს, საამაყოს, დასაციქრებელს, ტკივილისაც...

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო ემზარ კვიტაიშვილისა და მერი ზაალიშვილის წერილების შესახებ. „ლამპარივით წმინდა სიცოცხლე“ და „საუკუნის პირველი მანდილოსანი თელავიდან“ ჩვენში სამარადეამოდ აქცევს თელავის საამაყო ქალბატონის, ზაირა არსენიშვილის, ხსოვნისადმი პატივს.

მარიამ მრელაშვილის წერილი, ლეილა შალვაშვილის დაბადებიდან 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი, მე და ჩემს თანაქალაქელებს კიდევ ერთხელ შეგვახსენებს ან გარდაცვლილი ამაგდარი ქალბატონის, მკვლევარისა და მეცნიერის, ლეილა შალვაშვილის ღვანწლასა და ცხოვრებას. ამავე ნომერში ვეცნობით პროფესორ გიორგი ჯავახიშვილის წერილს „ია და კესანე“, რომელიც ავტორმა გარდაცვალებამდე მცირე ხნით ადრე გამოსაქვეყნებლად მიიტანა „ოლეს“ რედაქციაში.

ლეილა შალვაშვილი, ზაირა არსენიშვილი და გიორგი ჯავახიშვილი საამაყო თელაველები არიან. ძნელია, მათზე წარსულ დროში საუბარი, რადგან მათი სახეები თანამედროვე თელაველებს ჯერ კიდევ ცხადად გვახსოვს. ხსოვნა კი ის ვალდებულებაა, შთამომავალს წინაპრის პატივისცემას რომ გვასწავლის და სამზეოზე ღირსეულად გვაცხოვრებს, რათა ჩვენი რწმენისა და ჯიშის გენეზისი არ დავკარგოთ.



ერთნალ „ოლეს“ მუითხველთა კონფერენცია



ნანა რჩეულიშვილი

ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

5

შიდრები „ოლეს“ თვალსაცირისა და მისის შესახებ

უურნალი „ოლე“, თავისი ნატურით, მე მაგონებს გიორგი ლეონიძის ცნობილი ლექსის, „ოლეს“ ლირიკულ გმირს, — მარტოხეს, პოეტური სიტყვით გამშვენებულსა და უდიდესი შინაგანი ენერგიით დამუზტულს. იგი, იქნებ, ერთადერთი „საჩრდილობელიცაა“ კახეთის ლიტერატურული ბომონდისათვის, დღევანდელ ჩვენებურ არალიტერატურულ სივრცეში. სწორედ ამიტომ, მისი დაარსებიდან ერთი ათეული წლის თავზე, ალბათ, ყველაზე მეტად საჭიროებს ჩვენს ზრუნვას არსებობისათვის, თავისი დანიშნულების გამართლებისა და მომავალი განვითარებისათვის.

უურნალის ნომერი, რომელიც ხელთ მაქვს და რომელზედაც ახლა მოგითხოვთ, გამოცემულია ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის (მერი ბ-ნი პლატონ კალმახელიძე) და თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის (გამგებელი ბ-ნი ალექსანდრე შათირიშვილი) უშუალო მხარდაჭერით, რისთვისაც ისინი სამადლობელ სიტყვასაც იმსახურებენ და იმავდროულად, სამომავლო დახმარების იმედსაც გვიტოვებენ.

შევნიშნავთ, რომ ნომერი შინაარსობრივად საკმაოდ დატვირთული და ჯანსაღი იდეოლოგითაა გამართული. აქ ერთმანეთს მოსდევს სადღეისოდ აქტუალური რუბრიკები და საინტერესო განყოფილებები, რომლებიც, ვთქიქრობ, დააკმაყოფილებდა ყველაზე მომთხოვნ და გემოვნებიან მკითხველს. უურნალი იხსნება გამოსათხოვარი რუბრიკით, რომელიც ეძღვნება ჩვენი თანაქალაქელის, ცნობილი პროზაიკოსისა და კინოსცენარისტის — ზაირა არსენიშვილის ხსოვნას. ლირსეულ პირვენებას ლირსეული გამოსათხოვარი სიტყვები მიუძღვნეს: ქალბატონმა ნანული კუპატაძემ, გიორგი ლობულიძემ, კინორეჟისორმა ლანა ლოლობერიძემ. ყველა მათგანი ახლო მეგობრულ ურთიერთობაში იყვნენ ქალბატონ ზაირასთან და ამდენად ეს სიტყვებიც ჭეშმარიტი სიყვარულითაა გამთბარი და გასხივოსნებული. „თელავმა დაკარგა შვილი, ქართულმა მწერლობამ — შესანიშნავი მოქართულე, შემოქმედი, საოპერო თეატრმა — ვიოლინ, ოჯახმა — მოსიყვარულე მწე — სისხლი და ხორცი, სამეგობრომ — კრიალოსნის ერთი მძივი, საქართველომ — კეთილშობილი მოქალაქე და მამულიშვილი...“ — ნერს ქალბატონი ნანული კუპატაძე.

უურნალის ნომერი არ ღალატობს ტრადიციას და მისმანელოვან ადგილს უთმობს მხატვრულ განყოლებას. ყურადღებას იქცევს ბ-ნი ფარნა რაინას განსხვავებული სალექსო ფორმით გადმოცემული პოეზიის ნიმუშები, ე.ნ. „კატრენები“. მკითხველი პოეტური აზროვნების მოწმე ხდება მისი კითხვისას, რადგან

ავტორის მიზანი — მცირე სალექსო ზომაში დიდმნიშვნელოვანი აზრის გადმოცემა, აქ უთუოდ ნარმატებითაა გადაწყვეტილი. როგორც თვით ავტორი მიუთითებს მოკლედ და ლაკონურად: „...სასიცოცხლო ნამალივით, სათქმელი დავყურსე, აზრით დავხუნდლე, რამდენიმე სტრიქონში ჩავჭრუჭკე და „კატრენები“ დავარქვი... 21-ე საუკუნის მკითხველს, რაც შეიძლება, ცოტა დრო უნდა წართვა და... რაც შეიძლება, ცოტა დროში, რაც შეიძლება, ბევრი უნდა უთხრა...“ -ო. ამ კატრენებიდან ერთ მათგანს შეგახსენებთ მხოლოდ:

ვდულდი... /ვიწვოდი... /ვენთებოდი — /ავი წლებითა, რწმენა, /იმედი — /მუდამ — /უფლის /ჰგავდა ბარათებს... მე — /ამ დუღილით, /ამ ტკივილით /დავიწვები და... საუკუნეებს — /ელვასავით, /გადავანათებ!!!

პოეზიისა და პროზის განყოფილებაში დაბეჭდილია მარიამ კოზმანიშვილის, მამუკა დემეტრაშვილის, ნანა მანიუაშვილის, ვახტანგ ჭანკოტაძის ლექსები და როლანდ გიორგაძისა და მარიამ გიგაურის მოთხოვნები. ახალგაზრდული ჩანართი, სახელით — „ნაბიჯი“-კი, გვთავაზობს თელავის მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლის, თამარ გელაშვილისა და ლაფანყურის საჯარო სკოლის მოსწავლის, ბექა ბაიაშვილის ლექსებს. სასამოგნოა ის ფაქტი, რომ აღნიშნული რუბრიკით, უურნალი ყურადღების გარეშე არ ტოვებს დამწყებ პოეტთა ხმებს, ხელს უწყობს მათ პირველ ნაბიჯებს დიდი პოეტური ასპარეზისაკენ.

სიამაყით აღვნიშნავ, რომ უურნალ „ოლეს“ ფურცლებზე ყოველთვის საპატიო ადგილი ეთმობა თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა ფეშმარიტ აზრსა და სიტყვას. ამჯერად, მკითხველს სამუალება ეძლევა გაეცნოს ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორების, გიორგი ჯავახიშვილისა და როინ ჭიკაძის გამოკვლევებს. სამწუხაროდ, ბატონი გოგისთვის ბოლო პუბლიკაცია აღმოჩნდა ნაშრომი „გიორგი ლეონიძის ორი ესსეს ირგვლივ“. მან მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე მიუძღვნა თელავის კულტურული ნარსულის კელევასა და ამავე დროს, მშობლიური ლიტერატურის მასწავლებელთა კვალიფიციური კადრების მომზადებას. ვფიქრობ, უურნალმა საკადრისი გამოხმაურება უნდა მიუძღვნას ამაგდარი ადამიანის ხსოვნას.

მკითხველი უთუოდ დიდი ინტერესით წაიკითხავს ბ-ნ როინ ჭიკაძის გამოკვლევას — „მარტოობის პრობლემა გოდერი ჩოხელის ნაზრებში“, რომელშიც მეცნიერული სიღრმითაა გააზრებული — უდრობდასული ნიჭიერი მწერლისა და კინორეჟისორის





მოთხოვებში განვითაროთ ადამიანთა მარტობის სევდა.

უურნალი მკითხველს აცნობს თანამედროვე ლიტერატური პოეზიის ნიმუშებს, დიდი სიყვარულითა და რუდუნებით თარგმნილს თელაველი პოეტების: ფარნარაინას, ცისანა თვალიაშვილისა და ნუნუ ძამუკაშვილის მიერ. ამით, კიდევ ერთხელ შეგვახსენებს მსოფლიო პოეზიის უდიდეს მნიშვნელობას ხალხთა შორის სიყვარულისა და მეგობრობის განმტკიცების საქმეში.


„ოლეს“ მე-3 ნომრის გარეკანი მარად ჭაბუკად დარჩენილი უნიჭიერესი მხატვრის დათო კრანაშვილის ნახატებითაა გაფორმებული. ხელოვნების განყოფილებაში ნელი ზუროშვილი სევდიანი და მრავლისმთქმელი მოგონებით იხსენებს მისი „პატარა მეგობრის“, დათოს სიცოცხლის უკანასკნელ წლებს. როგორც ავტორი უწოდებს, „მოაზროვნე მხატვარი“, მამით კახელი, ხატავდა პაპის კარ-მიდამოს, სასიმინდესა თუ გლეხის ნაღვლიან სახეს. ხატავდა ფანქრით, აკვარელით, ნახშირით, კალმით... დათოსთვის, ფერწერასთან ერთად, ლექსიც იქცა თვითგამოხატვის საშუალებად... 17 წელი იცხოვრა და თავისი შემოქმედებით ბევრი რამის თქმა მოასწრო, უამრავ რამეზე ჩაგვაფიქრა“.

ხელოვნების განყოფილება გვთავაზობს ნუნუ ძამუკაშვილის ნარკვევსა და საინფორმაციო წერილს ჩვენს თანაქალაქელ უნიჭიერეს ახალგაზრდებზე,

პიანისტ ნათია ჯაჯანაშვილზე და საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ნაკრების წევრებზე — ლელა ჯავახიშვილსა და ბელა ხოტენაშვილზე. ქალაქი სამართლიანად ამაყობს ამ მრომისმოყვარე და წარმატებული ახალგაზრდებით, რომლებიც კვლავაც ასახელებენ მშობლიურ ქალაქს მსოფლიო ასპარეზზე, ხელოვნებასა და სპორტში.

დოკუმენტური პროზის განყოფილებაში სრულდება ნუგზარ ვანიშვილის ჩანახატების სერია ჩვენი დიდი ეროვნული ტკივილის, ტაო-კლარჯეთის მხარეში მოგზაურობის ირგვლივ. აქ სულისშემძლებელი განცდითაა აღწერილი იშხანი, ოშკი, ხახული, ოთხთა... ჩვენი ან გარდასული დიდების უტყვი მოწმენი, ზოგი მათგანი იავარქმნილი, თვალებადქცეული, ზოგიც მეჩეთად გადაკეთებული და ამ გზით გადარჩენილი (გადარჩენილი კი არის ნამდვილად?). დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ამ წერილების ავტორს, ბ-ნ ნუგზარს და უურნალის რედაქტორებს, ასეთი გრძნობით რომ მოიტანეს მკითხველამდე საუკუნის სათქმელი.

უურნალი „ოლე“ თავისი შინაარსითა და გარეგნული იერსახით ნამდვილი ეროვნული უურნალია. მან უნდა იცოცხლოს, იღვანოს და შეასრულოს ის უდიდესი მისია, რომელიც, როგორც ჩანს, ჩვენმა დრომ დაუთქვა, მისია — ქართული სიტყვის, ქართული აზრის გადარჩენისა და სამომავლო განახლებისა.




ერთნალ „ოლეს“ მუითხველთა კონფერენცია



ნინო ლაჩაშვილი

7

„ოლე“ — ქართული პოეზიისა და პროზის დილი ესთეტი...



დიდი ყურადღებითა და ერთგვარი სიამოვნებით გადავიკითხე ჟურნალ „ოლეს“ 2016 წლის პირველი წლის და მინდა რამდენიმე საკითხზე ჩემი მოსახრება გაგიზიაროთ.

ნომერი იხსნება ლადო მრელაშვილის 90 წლისათან დაკავშირებული ზაალ ბოტკოველისა და ლია ნადირაშვილის შესანიშნავი წერილებით „იყალთოელი ბიჭები“ და „საამაყო მამულიშვილი“.

განსახილველ ნომერში დაბეჭდილია აგრეთვე, მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ ხელმძღვანელის, ფარნა რაინას კატრენები. მათგან გამოყოფდი ერთ-ერთ კატრენს, „სიბრძნითა და აზრით...“:

„ცხოვრება არის
ასპარეზი —
ავ-კარგის ქართა,
ხომ არის,
როცა —
ჩვენი ბეჭი
მწვერვალზე
არ ზის?
არაფერია —
უსაშელო,
სიკედილის გარდა,
სიცოცხლედ აქცევ:
სიკედილსაც კი, —
სიბრძნით და
აზრით...“

მართლაც, სიბრძნითა და აზრით არის დატვირთული ეს ერთსტროფიანი, პატარა ლექსები, რომლებიდანაც ბევრი რამ შეიძლება ისწავლოს, როგორც ახალგაზრდამ, ისე ასაკიანმა მყითხველმა. თითოეული კატრენი, ზოგჯერ, რამდენიმე ბრძნული აფორიზმის შემცველია. მაგალითად, კატრენი „მკვდარი და ცოცხალი“:

„ვისთვის — ავდარი,
ვისთვის — დარია?..
ნარი — ვისთვის და...
ვისთვის — მოცხარი?...
ცოცხალი, —
ზოგი,
უკვე, მკვდარია...
და... ზოგი, მკვდარი —
ისევ,

ცოცხალი...“

გაოცებს, გხიბლავს და გატყვევებს, ასე ლაკონურად როგორ შეძლო პოეტმა ამ მცირე ზომის ლექსებით მკითხველისათვის მიეწოდებინა კონკრეტული სათქმელი. თითოეული კატრენი დიდ აზრობრივ დატვირთვას შეიცავს, — ისინი გამოირჩევა აზრის სისხარტით, მოქნილობით, კონკრეტიკითა და ლაკონიზმით. ლექსებში იგრძნობა რიტმი, მუსიკალობა და რითმების სიმეტრიულობა, რაც უდავოდ, სიახლე და ნოვაცია ქართულ პოეზიაში.

არ შემიძლია არ გავიხსენო კატრენი „მთავარი არის — რა არის?...“

„სიტყვამ —

ცა,
მინა იარა, —
მიმოდის, ვითარ —
საარი...
მთავარი —
ბევრი კი არა,
მთავარი არის —
რა არი?...“

მინდა, ყურადღება შევაჩერო აგრეთვე, შოთა რაინაულის მინიატურებზე. ჩემი აზრით, მინიატურა: „ნიგნი და ადამიანი“ აქტუალურად ეხმაურება ჩვენს დღევანდელ სატკივარს, გაუცხოებას წიგნსა და ადამიანს შორის და ჭეშმარიტი პრიორიტეტების აღრევას.

მოვიყვან ციტატას ამ მინიატურიდან: „ადამიანებმა და განსაკუთრებით ახალგაზრდებმა მიატოვეს წიგნები. მათ დაავინყდათ იმ გრძნობის შესახებ, რომელიც შეიძლება მოგანიჭოს პირველად წაკითხული საინტერესო წიგნის უბრალო სტრიქონებმაც კი“.

ეს ძალიან კარგად არის ნათქვამი. ამ სტრიქონებმა მე გამახსენა გურამ დოჩანაშვილის გნინალური მოთხრობა „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“: „თქვენ გელით დიდი ბედნიერება, პირველად წაკითხვის ბედნიერება“...

დიახ, ავტორი მართალია. ეს დაშორება, კერძოდ კი დაშორება და გაუცხოება წიგნსა და ადამიანს შორის, საბედისნერო ხდება ადამიანის ემოციების ჩამოყალიბებისათვის.

მოხდენილი შედარება აქვს ავტორს მოხმობილი თანამედროვეობის დასახასიათებლად: „წამოიზ-





არდა ერთი დიდი, სიზარმაცისა და პრიმიტიულობის ცუნამი, რომელიც თანამედროვეობის ნიავმა გამოიწვია და დაფარა ოცნების საკსე ღრმა სამყარო“.

ვინ იცის, იქნებ ამ სიტყვებმა ერთგვარი სტიმული მისცეს ახალგაზრდებს და ჭეშმარიტ პრიორიტეტებზე დააფიქროს?

აქვე მინდა გაგახსენოთ შტეფან ცვაიგის სიტყვები: „ვცდილობ წარმოვიდგინო თავი ისეთი ადამიანის ადგილას, რომელმაც კითხვა არ იცის. აი, ის ხელში იღებს წიგნს, — ოთხუთხა, ჭრელ და უსარგებლო ნივთს — და ისევ გადადებს, არ იცის რა უყოს. ის ჩერდება წიგნების მაღაზის ვიტრინასთან და ყველა ეს ლამაზი, ფერადოვანი სწორკუთხედი მისთვის იგივეა, რაც სუნამოს დახუფული ფლაკონები, რომლებიც სურნელს არ გამოსცემენ. მას უხსესნებებ გორეთეს, დანტეს სახელებს და ეს სახელები არაფერს ეუბნებიან მის გულს, ისინი ბაგეების უაზრო თავმოყრა მისთვის. საბრალომ არ იცის, რა სიამოვნებას ანიჭებს ადამიანს კითხვისას, რომელიდაც ერთი, ერთადერთი სტრიქონი, უეცრად ისე რომ გაიელვებს, როგორც მთვარე ბნელ ღრუბლები.

ვცადე წიგნების გარეშე საკუთარი ცხოვრება წარმომედგინა. ის, რასაც საკუთარ „მე“-დ მივიჩნევდი, მთლიანად დაიშალა, როცა დავაპირე გამომეცლია მისთვის ცოდნა, გამოცდილება, სხვისი სულის წვდომის უნარი, ადამიანთა ერთმანეთთან თანაზიარობის განცდა და საკუთარი ღირსების გრძნობა — მოკლედ, ყოველივე ის, რაც წიგნების წყალობით შევიძინე“.

და ეს მინიატურა „წიგნი და ადამიანი“ ერთგვარად ეხმაურება ამ გენიოსი მწერლის სიტყვებს.

ძალიან მომენტია, აგრეთვე, მეორე მინიატურაში „ახალი იდეების სათავე“ — გაულერებული ძარღვიანი ქართული სიტყვა: „ისინი (ე.ი. ვარსკვლავები) მილიარდობით, და კიდევ, ჩვენი პირობითი საზომი ერთეულების გამანბილებელი რაოდენობით გაბნეული იმ სივრცეში, რომლის არსი ჯერაც ვერ აუხსნიათ მეცნიერებს“.

განსახილველ ნომერში დაბეჭდილია ვასილ ბოსტაშვილის პოემის „მარუშისძე“ დასაწყისი, რომელშიც საგულისხმო ისტორიულ-მხატვრული პასაჟებია წარმოჩენილი.

პოეტი პოემის წინათქმას ერთი მოარული ფრაზით იწყებს: „ძნელია, იყო ქართველი“.

მართლაც, ეს ადვილი არ არის და ეს პოემაც, თითქოს, ნამდვილი ქართველობის დამტკიცების, საქართველოს ისტორიული წარსულის ახლებურად გააზრების კიდევ ერთი მოკრძალებული ცდაა.

ნანარმოების კომპოზიცია მეტად საინტერესოდ არის აგებული. თვალსაჩინოდ არის, აგრეთვე, გამოკვეთილი მხატვრული სახეები და ხასიათები.

მაგალითად:

„აფხაზეთის უსინათლო მეფე,
ძებრულ უამის კრიალოსანს თვლიდა...
მარტოსულნი სიმარტოვეს კრეფენ,
უმზეო და უვარსკვლავო ციდან...“

ეს, — უსინათლო მეფის შესანიშნავი მხატვრული სახეა.

ნანარმოებში კარგად არის ნაგრძნობი X საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისა და XI საუკუნის ის-

ტორიული საქართველოს ეროვნული ტკივილები, მკაფიოდ არის აღმული და გახსნილი პერსონაჟთა სულიერი სამყარო:

„ერთად დასცვივდა ყველა ფოთოლი,
სამეფო ტახტზე ფესვგადგმულ მუხას...“

წერს პოეტი ბაგრატ მესამის მამის გარდაცვალებაზე.

ან, — შესანიშნავი მხატვრული სახე, თუ, რა გრძნობა გვეუფლება, როცა ვკარგავთ ძვირფას ადამიანს:

„უსასრულობად ჰქონდა ნუგეში,
ცვიოდა ფოთლად — ყალბი სიტყვანი,
მოგონებათა გულთბილ უბეში
შეხიზნულიყო სული მცივანი...“

პოემა სავსეა ცინცხალი მხატვრული შედარებებით. ლალად, წყაროსავით მოჩქეფს მადლიანი ქართული სიტყვა:

„ათავთავდა ალავერდის მკერდი,
ხოხობივით მოიღერა ყელი...“

ან, —

„სიცოცხლე მძიმე ბრძოლის ველით,
გოლგოთაზე ასატანი ჯვარი...“

ან, —

„რომ უდაბნო წყურვილია სულის,
სიცოცხლე ბენვის ხიდზე გავლა...
მთაზე ლოდის ატანაა რთული,
მწვერვალამდე უშეცდომოდ ავლა...“

განსაკუთრებით მომენტი, რომელშიც იოანე მარუშისძისა და თავადის ასულ გვანცას სასიყვარულო თავგადასავალია აღნერილი.

მოვიტან რამდენიმე მაგალითს:

„უფლისციხეში დამკვიდრდა მეფე,
მზე სიყვარულის ხატად ხარობდა...
ლურჯ ოცნებათა ჩქერალნი ჩქეფენ,
მდინარედ ქცეულ გრძნობის წყაროდან...“

ან, —

„სინითლე ურცხვად ლოკავდა ყვრიმალს,
სუნთქვა ათბობდა ყურის ბიბილოს...“

ასეთი შესანიშნავი მხატვრული სახეების მოტანა პოემიდან მეტი შეიძლება.

ნანარმოებში იგრძნობა მშვენიერი უბრალოება... იოანე მარუშისძის მხატვრული სახის ჩენებით, ავტორი ცდილობს კიდევ, ერთხელ, ახლებურად ჩაგვაფიქროს საქართველოს ბედზე.

მინდა ყურადღება შევაჩირო, აგრეთვე, ზიზობურდულის ლექსებსა და ჩანახატებზე.

ჩანახატში „მზექალა ჭინჭარაული“, თითქოს გვესმის მიტოვებული სოფლის ქვითინი: „კუდიანი დედაბრისგან გაქვავებულ ქალწულს ჰგავდა ბარისახო“, — წერს ავტორი. თვალნი წარმოგვიდგება მარტობის სევდით გულგასენილი მოხუცი ხევსური ქალი, რომლის სახეც მუნი მხატვრული შტრიხებითაა შეფერადებული: „იჯდა, კალთაში ჩავლილ დღეთა მოგონებები ესხდნენ. ეფერებოდა მათ და მზეზე თბებოდა... გვერდით საბურუნუთე კოლოფი ედგა, თვალებში — უნაპირო სევდა“. მოხდენილი პოეტური სახითაა წარმოჩენილი გაზაფხულის თბილი დღე: „აქა-იქ მზის ამბორით გულაჩუებული თოვლი ქვითინებდა“.

განსაკუთრებით მომენტი პატარა ლექსი „სიყვარული“, რომელიც გვატყვევებს, იმდენად



საინტერესო პოეტურ მოულოდნელობას შეიცავს:

„ჩუმად ვაკოცე ბუჩქებს შეხიზნულ
იას, და თაგზე რისხვა დამატყდა,
გვირილამ ყურში წამავლო ხელი
და გვარიანი სილა გამარტყა.
გაოგნებული ვიდექი ერთხანს,
და ფარულ სევდის ალით ვინვოდი...
თეთრ გვირილას თუ ია უყვარდა,
მე რა ვიცოდი... მე რა ვიცოდი...“

უურნალში დაბეჭდილია აგრეთვე ჩვენი საყვარელი პოეტის, ნუნუ ძამუკაშვილის ლექსი „მუზა“:

„მუზა, როცა არა გტოვებს,
ამ სიხარულს სად აუვლი...
ყოველი დღე მიხდა იყოს:
ლექსის ნერის სასწაული.“

პოეტი მართალია, ლექსის წერა ყველას არ შეუძლია, ეს უფლისგან მადლცხებული ნიჭია.

საინტერესოა ლექსი: „ნუთისოფელი“, რომელშიც პოეტმა ნათლად გამოხატა თავისი სათქმელი, რომ ნუთისოფელში მთავარია რწმენა და სიმართლე:

„დრო კი რაშით — მირბის, მიქრის,
გვაჯირითებს თავის მხედრებს,
მოგვეც — რწმენა და სიმართლე, —
ნუთისოფელს ამას ვვედრებ“. ნუნუ ძამუკაშვილის პოეზია სავსეა შესანიშნავი მხატვრული სახეებით. მაგალითად:

„მზე ჩავიდა, მოირგო
დამეძ — ძავი გიშერი...“
ან, —
„მთვარე დამალობანას
ღრუბელს ეთამაშება...“

ძალიან მომენნა ლექსი: „იქნებ“, რომელიც პოეტის ნაზ, მოკრძალებულ, სათუთ ქალურ სულზე მეტყველებს. ამ სულს არ სჩვევია მიტმასნება, ძალდატანება. ის შენ თვითონ უნდა აღმოაჩინო, შეიგრძნო:

„ლამაზი ოცნებით გაივლის, კიდევ, დრო,
იებს სურნელისთვის ნაზ მხრებზე ვეხები,
კარვი, მასე იყოს, როგორც შენ ისურვებ,
ჩავთვალოთ, ვითომდა, ვერაფერს ვერ ხვდები“. ნუნუ ძამუკაშვილის პოეზიაში იგრძნობა დიდი სინატიფე, სულიერი სილადე და უშუალობა. მას დიდი მომხიბვლელობა ახასიათებს. თაობები იზრდებიან მის საბავშვო ლექსებზე და კიდევაც გაიზრდებიან. კარგად ამბობს პოეტი:

„ჩაიქროლებენ, მერე, ეს ნლები,
ცხოვრების ახალ ტალღებს ვესწრები,
და... მინდვრის ნაზი ყვავილებივით,
დროს შემორჩება — ჩემი ლექსები...“

წრფელი, ხალასი გრძნობებია ჩაქსოვილი თინათინ მრელაშვილის პოეზიაში. პირველქმნილი უშუალობა გამოსჭვივის მის ლექსებში და იგრძნობა დიდი სინაზე, სისათუთე და ქალური სითბო:

„როცა ვერ გხედავ, დღე ცრიატდება,
სევდა, ნალველი მძალავს,
თუმც, გულს არ ვიტებ, ეჭვი მიჩნდება,
ხვალისთვის ვიკრებ ძალას...“

თელავი ყველა თელაველისათვის საფიცარი და საოცნებო ქალაქია სწორედ მას მიუძღვნა თინათინ მრელაშვილმა გულიდან ამოსული, შესანიშნავი

სტრიქონები:

„მზის ამოსვლის საოცრებას
ნადიკვრიდან ვუცქერი,
მიფერადებს ლაღ ოცნებას
ტრფობა შენი უცვლელი...“
დიდი სიყვარული და ქალური კდემამოსილება, საყვარელი ადამიანისათვის თავგანწირვის უნარი იგრძნობა ლექსში „თუმც“:

„თუმც, არად სცნობ ჩემს ტრფობას და...
გულს მიკიდებ ალს,
სხვისკენ ილტვი, გამირბიხარ
და... მარიდებ თვალს...
დამიჯერე, ტრფობისათვის,
მე, არ ვითხოვ ვალს,
მწყურვალს გხახავ? — თვით მწყურვალი —
შებ მოგართმევ წყალს...“

ნლების სიდარბასილე და მოხდენილობა იგრძნობა ეველინა ხუციშვილის პოეზიაში. თითქოს, ნლების დარდის მიღმა ვხედავთ მის ახალგაზრდულ სულს. შესანიშნავია მისი ლექსი „დედაენას“, სადაც იგი დედაენას ქართველის გულში ანთებულ წმინდა და ლამპარს ადარებს. ან, — მისი საუცხოო ლექსი „ქართული ენა“, რომელშიც მკაცრ გაფრთხილებად გვესმის პოეტის ხმა:

„ქართული სული, ქართული გული
შემოგვინახა ენამ ქართულმა,
თუ გინდა დატკბე ჰანგით ლამაზით
უნდა იკითხო ნიგნი — ქართულად...“

განსახილველი ნომერი მოიცავს აგრეთვე ხატმნერ რეზო (ემელიანე) ადამიას რომანის „წმიდა ნინოს“ გაგრძელებას. რომანში დიდი რუდუნებითა და სიყვარულით არის აღნერილი წმინდანის სახე. რა მთამბეჭდავია მისი სიტყვები: „მაცხოვარშია სამყაროსეული სივრცე და მრავალგანზომილებიანი, დაუმორჩილებელი და მოუთოკავი დრო. როგორც მოგახსენეთ, პლანეტებში უფლის შინაგანი სახეა გონმიუნვდომელი. ხოლო ადამიანებში მაცხოვრის უხილავი, ღვთიური უმთავრესი ელემენტებია და უცნაური ზეციური გენის ბადეა გაბმული. იესო ქრისტეში, ადამიანებთან ერთობლიობის ზეთვისებრივი ურთულესი წრე ქმნის უზარმაზარი რწმენისა და იმედის ხატს, ღვთიური სიახლოვე სრულია და ხელშეუხებელი. საბოლოოდ, ყოველი მხრიდან მივდივართ სამების ბრწყინვალე სახემდე: „ლმერთი, ძე ღვთისა და სულინვინდა“ — ეს ხომ, ჩემო სულით და რწმენით ახლობლებო, საკვირველი ღვთიური მთლიანობაა“.

მართლაც, ღვთიური მოკრძალების ურუანტელს გვგვრის ავტორის სიტყვები: „დრო და სივრცე თავდახრილი მორჩილებდა ღვთიური განწყობილების იდეებს და უხილავი ფერებით მაცხოვრის მირონმდინარე სასწაულთმოქმედი სიცოცხლის ხატი იქმნებოდა... ღირსი დედა ნინო მტკიცედ მოდიოდა და ურთულესი გარდატების უამი მკაცრად ეგებებოდა; წმინდა ნინო მოდიოდა!!!“

ეს ნანარმოები გვაოცებს იმ ღრმა ფილოსოფიური აზრებით, რითაც ის არის გამსჭვალული. მოვიტან ციტატას: „გულით, გონებით და სულიერად ირწმუნეთ, რომ თქვენი გარდაცვალებით უძვირფასეს ამქვეყნიურობას, როგორც რეალურ სახეს ურთულესი პროცესებით ტოვებთ და გადადიხართ იმქვეყნიურობის ღვთიურ მძაფრ გაუცნობიერ-





ებლობაში. ძნელზე ძნელია ყოველივე ამის გათვითცნობიერება, ჩემო ღვთისნიერნო! და ამ შემთხვევაშიც დიდზე დიდი მოთმინება და მოწამეობრივი მორჩილება გმართებთ...

ყოველი ადამიანის მეობა ინდივიდუალობის კოსმოგონიური იდუმალი უსასრულობაა...“

რეზო (ემელიანე) ადამიას რომანში ამგვარი მაგალითები უამრავია. ეს ნაწარმოები, თითქოს, ჭეშმარიტი, ქრისტიანული მოწოდებაა სიკეთის ქმნისკენ: „სულიერო ძმებო, დებო, ეკლესისა და ქვეყნის იმედო მრევლო! ურთიერთან მხოლოდ კეთილი და ღვთიური სიყვარულ-მიზნებით უნდა ვცხადდებოდეთ, როგორც ყოვლად უკეთილშობილეს მართლმადიდებელ მრევლთან, ასევე ნებისმიერი აღმსარებლობის ადამიანებთან. მორწმუნის კეთილი სულ-გულით გებრალებოდეთ ათეისტები, შეუძეთ და შეინყნარეთ უაზროდ განდგომილნი...“

რეალური ცხოვრების ღვთიურ იმედად იქონიეთ, რომ მარტო არსად და არსდროს არა ხართ...

თქვენში მუდამუამს, თქვენდა საბედნიეროდ, დიდი სულიერი ღვთიური სიკეთეა ჩასახული. გინევთ რთულზე რთული წუთისოფლობა, რომელშიც უზომო ჯაფაა გასაწევი მრავალშინაარსიანი ცხოვრების განცდებით სავსე, მაგრამ ამქვეყნიური მოღვაწეობის ყოველმხრივი სირთულეების მიახლოებით გარკვევაში, თქვენეული გულმართალი რწმენა და სულიერი სიწმინდეა თანამდგომი, ესეც მიზანთ უსასრულობა დიდი...“

ეს ნაწარმოები დაწერილია სხარტი, ამაღლე-

ბული ქართულით. დახვეწილი და პოეტურია ნაწარმოების სტილი, ენა და ლექსიკა. ავტორი, ზოგჯერ, სრულიად ახალ სიტყვას ქმნის მაგალითად: „ზეთვისებრივი“, „სხივბოროტიანი“, „გონმაღალი“ და სხვა. ამგვარი მაგალითების მოტანა, რომანიდან უსასრულოდ შეიძლება.


დოკუმენტური პროზის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს ოთარ ხუციშვილის მოგონებები პოეტ სილოვან ნარიმანიძესა და გიორგი ლეონიძეზე — „დიდი პოეტი პატარა „ტაიმსელებთან“ და მოგონება „იყალთოელი ბიჭები“ არჩილ შიშმანაშვილსა და ლადო მრელაშვილზე.“

განსახილველი ნომრის რუბრიკაში თარგმანი დაბეჭდილია აგრეთვე სერგეი უედის მოთხრობა „აგენორი“, რომელიც რუსულიდან შესანიშნავი ქართულითა და ენის ნიუანსების სრული გათვალისწინებით თარგმანა აკაკი დაუშვილმა.

რუბრიკაში „საქვეყნო სატკივარი“ დაბეჭდილია ციური ბადურაშვილის მკაცრი ტონით დაწერილი ნერილი „ლირს ამაზე დაფიქრება“, სადაც ავტორი ბევრ საჭირბოროტო საკითხზე ქვეყნის ნამდვილი გულშემატკივრის პოზიციიდან გვესაუბრება.

ნომერი გაფორმებულია მხატვარ გოჩა ბალათრიშვილის ორიგინალური ნახატებით.

უურნალ „ოლეს“ ეს ნომერი, ისევე როგორც სხვა ნომრები, უდავოდ დააინტერესებს და დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას მიანიჭებს ქართულ პროზასა და პოეზიაზე შეყვარებულ ჩვენს მკითხველს.



ერთნალ „ოლე“ მუითხველთა კონფერენცია



ცელი ცეიტიშვილი

ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი,
შურნალისტი

11

შურნალი, რომელსაც მოყვითალი სურველი ახლავს

ნებისმიერი სახეობა ბეჭდური მედიისა, როგორი ტიპის ან შინაარსისაც უნდა იყოს, ცხოვრების მემატიანეს ფუნქციას ასრულებს, — გავა წლები, ზოგჯერ საუკუნეც და ხანიერებისგან გაყვითლებული მისი ფურცლებიდან იმ ეპოქის სუნთქვას შეიგრძნობ, იმ ეპოქის ადამიანები „გაცოცხლდებიან“, რომელ პერიოდშიც ესა თუ ის შურნალ-გაზეთი გამოდიოდა: ადამიანები — თავიანთი ცხოვრებით, საქმიანობით, ტკივილით, სიხარულით, შემოქმედებით...

ასეთი ფუნქციის მატარებლად მესახება შურნალი „ოლე“ — თორმეტი წლის წინ (2004 წ.) კახეთში, თელავში, მნერალთა ასოციაციის „ლიტერატურული კახეთი“ მიერ დაფუძნებული და მისივე გამოცემული შურნალი. დაარსების დღიდან შურნალის მთავარი რედაქტორი აკაკი დაუშვილია, ხოლო რედაქტორები — ფარნა რაინა (ფარნაოზ რაინაული) და ნუნუ ძამუკაშვილი. მისი სახელი „ოლე“ პაპანაქება სიცხეში სულის მოსათქმელ ადგილს აღნიშნავს, საჩრდილობელ ერთადერთ ხეს ან ტყის მცირე კორომს. მის შინაარსს, მის მხატვრულ ნაწარმოებებს, პუბლიცისტურ-ლიტერატურულ წერილებს თუ გადავავლებთ თვალს, დავრწმუნდებით, რომ ეს შურნალი — ოლეა, ანუ სულის მოსათქმელი ადგილი შურნალის ავტორებისთვისაც და მკითხველებისთვისაც.

როგორც შევიტყე, შურნალის პერიოდულობა ზოგჯერ ირლვეოდა — გამოდიოდა მაშინ, როდესაც სარედაქციო ჯგუფი მის გამოსაცემ ფინანსებს მოიძიებდა, თუმცა, არ ირლვეოდა მთავარი პრინციპი — ნარმოერინათ ნიჭიერი შემოქმედები — ცნობილები თუ ახალბედები, და ამ პრინციპის გამო, ბევრი ახალგაზრდა პოეტი თუ მწერალი „დაბადა“ „ოლეში“.

ბიბლიოთეკის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად თელავის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მიმინვია გაერთიანების დირექტორმა მაყვალა წიკლაურმა — საკუთარ საქმეზე შეყვარებულმა, პროფესიონალმა და განათლებულმა ქალბატონმა. ტრადიციადცეულ „ბიბლიოთეკის კვირეულს“, რომელიც საოცრად მრავალფეროვანი პროგრამითაა დატვირთული, კულტურული და საგანმანათლებლო ფუნქცია აქვს. კვირეულის ერთი დღე შურნალ „ოლეს“ მკითხველთა კონფერენციას დაეთმო. მე, ჩემს კოლეგასთან — პროფესორ ნანა რჩეულიშვილთან ერთად, წილად მხვდა პატივი ნარგვედგინა ამ შურნალის თითო ნომერი.

და აი, ჩემს ხელთაა ლიტერატურული შურნალი „ოლე“ — 2015 წლის N3 (26). გარეკანის ყდაზე წარმოდგენილია ნიჭიერი მხატვრის დავით კრანაშვილის ნახატები. 17 წლის ბიჭი ნაადრევად განეშორა წუთისოფელს, თუმცა დატოვა შესანიშნავი მხატვრული

მემკვიდრეობა. მის გახსენებას, მის შემოქმედებას ეთმობა ნელი ზუროშვილის ამავე ნომერში გამოქვეყნებული წერილი „ჩემი პატარა მეგობარი“. შურნალის შინაარსი მოიცავს: პროზას, პოეზიას, წერილებს, თარგმანს, მხატვრობას, მუსიკას, სპორტს.

მხატვრული ლიტერატურის რუპრიკის ქვეშ დაბეჭდილია პოეტების — ფარნა რაინას, მარიამ კოზმანიშვილის, მამუკა დემეტრაშვილის, ნანა მანიუაშვილის, ვახტანგ ჭანკოტაძის ლექსები; მოთხოვები: როლანდ გიორგაძის „გზა სიარულმა დალია?!\“, მარიამ გიგაურის „გზა“, „ჩუას ცოლის ქმარი“ და „ბილეთი N13“, აგრეთვე — ნუგზარ ვანიშვილის დოკუმენტური პროზა „არქეოლოგიური მოგზაურობა ტაოში“. აქვეა ახალგაზრდული ჩანართი „ნაბიჯი“, რომელიც წარმოდგენილია ახალგაზრდა, ნიჭიერი პოეტების — თამარ გელაშვილის და ბექა ბაიშვილის გალაკტიონისადმი მიძღვნილი ლექსებით.

მიუკერძოებლად შემიძლია ვთქვა, რომ შესანიშნავი ლექსები და მოთხოვებია გამოქვეყნებული შურნალის ამ ნომერში, უბრალოდ, მიმოხილვის ფორმატი არ იძლევა საშუალებას წარმოვაჩინო მარიამ კოზმანიშვილის სიხარულზე მეტად სევდით ნამშობიარევი ლექსები, — ფოთლებში ათრთოლებული მზე და ეულ შარაგზაზე მიმავალი ქარიანი მარტორბა; მამუკა დემეტრაშვილის „რითმათა თაიგულები“, სანატრელ მუზათა გრძნობებს აყოლილი, ედემის კარიბჭესთან რომ ცდილობს ბოროტის და კეთილის გარჩევას; ნანა მანიუაშვილის ზღვის ტალღებს გაყოლილი ფიქრები და შრომბანისფრად მოლივლივე ველი, ფერთა სიმრავლეში სითეთრედ შემორჩენილი ნანატრი სიზმრებით; ვახტანგ ჭანკოტაძის მშობლიური ქალაქის თუ ბავშვობის მეგობრების განშორების ტკივილით და მონატრებით აღსავსე სტრიქონები... ერთირამ კი აუცილებლად მინდა აღვნიშნო, — ფარნა რაინას კატრენები — საკუთარი შემოქმედებისთვის შერჩეული ახალი ფორმა — გარითმული, ერთ სტროფში ჩატეული მთელი ლექსი. და როგორც პოეტი თავად აღნიშნავს, სურვილი — მკითხველისთვის რაც შეიძლება ბევრის თქმისა „ცოტა დროში“. პოეტის ყოველი კატრენი თანამედროვე ცხოვრების ანარეკლია, წუთისოფლის ავკარგიანი გვირგვინით შემკული, სამშობლოს და უფლის სადიდებლად ლოცვასავით აღვლენილი, მზისკენ მსწრაფველი სტრიქონები.

თარგმანის რუპრიკა ერთგვარი გამოძახილია თელავში გამართული ლიტერატური ფესტივალისა „პოეზიის გაზაფხული 2015“, რომელიც ორი ქვეყნის მეგობრობის აღსანიშნავად ჩატარდა და რომელშიც როგორც ქართველი, ისე ლიტველი პოეტები

ოლე, №2, 2016





მონაწილეობდნენ. ამ ფესტივალმა მისცა სტიმული პოეტებს: ფარნა რაინას, ნუნუ ძამუკაშვილს, ცისანა თვალიაშვილს, მარიამ კოზმანიშვილს, რომ ქართულ ენაზე ეთარგმნათ ლიტერატურული პოეტების — ლიუტაურას დაგესისის და ვიოლეტა შობლინსკაიტეს ლექსები.

უურნალის ერთ-ერთი რედაქტორი და პოეტი ნუნუ ძამუკაშვილი წარმოგვიდგენს „მომავლის პიანისტს“ — ნათია ჯაჯანაშვილს, ნიკო სულხანიშვილის სახელობის თელავის სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლეს, მრავალი პრემიის და კონკურსის ლაურეატს, სახელობით სტიპენდიანთს. წერილს ახლავს ფოტო — ნათია ჯაჯანაშვილი საქვეყნოდ აღიარებულ პიანისტთან — ელისო ვირსალაძესთან ერთად. ნუნუ ძამუკაშვილის მეორე სტატია და ლექსი კი ეძღვნება „ოქროს გოგონებს“ — საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ნაკრების წევრებს, მსოფლიოს ქალთა ჩემპიონატში გამარჯვებულ თანაქალაქელებს ბელა ხოტენაშვილს და ლელა ჯავახიშვილს. დიდოსტატებს, მორიგი წარმატების აღსანიშნავად, მშობლიურმა ქალაქმა უმასპინძლა. შეხვედრას ლეგენდარული მოჭადრაკე ნონა გაფრინდაშვილი და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი გია გიორგაძე დასწრებიან.

აღსანიშნავია, რომ უურნალის ნომერი იხსნება გამოსახოვარით და სამძიმრით — გამოჩენილი ქართველი კინოდრამატურგისა და პროზაიკოსის ზაირა არსენიშვილის გარდაცვალების გამო. ამ რუბრიკის ქვეშ გამოქვეყნებულია ლანა ლოლობერიძის „მერცხლის ერთი გაფრენა“, გიორგი ლობუანიძის „შენს უკვდავებას გაუმარჯოს!“ და ნანული კუპატაძის „გამოსახოვარი“, რომელშიც ნათქვამია: „თელავმა დაკარგა შვილი, ქართულმა მწერლობამ — შესანიშნავი მოქართულე, შემოქმედი, საოპერო თეატრმა — ვიოლინო, ოჯახმა — მოსიყვარულე მწე — სისხლი და ხორცი, სამეგობრომ — კრიალოსნის ერთი მძივი, საქართველომ — კეთილშობილი მოქალაქე და მამულიშვილი...“


სამწუხაოდ, გამოსახოვარის ტკივილით გადავიკითხე ამ უურნალის გამოცემის შემდგომ გარდაცვლილი ცნობილი მეცნიერის და პედაგოგის, ჩემი უფროსი მეგობრის და კოლეგის — პროფესორ გიორგი ჯავახიშვილის წერილი „გიორგი ლეონიძის ორი ესსეს ირგვლივ“, სადაც განხილულია პოეტის ახალგაზრდობაში დანერილი ესსეები — „ნაზი ტკივილი სულისა“ (ოსკარ უაილდის შესახებ) და „იგი მეფე თაგორი არის“ (რაბინდრანათ თაგორის შემოქმედებაზე), რომლებიც დაბეჭდილა უურნალში „თეატრი და ცხოვრება“ (1915-1917 წწ). აღსანიშნავია, რომ გიორგი ჯავახიშვილმა დიდი ლვანლი დაადევნა გოგლას ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლას, ისევე, როგორც დიდი ამაგი

მიუძღვოდა მის პიროვნებად ჩამოყალიბების საქმე-ში თვით გიორგი ლეონიძეს, რომელმაც ჯერ კიდევ სტუდენტობისას შეამჩნია ნიჭიერი ახალგაზრდა და მის გზის მკალავად და შემწედ იქცა. ბატონი გოგი სათუთად ინახავდა მისადმი მიწერილ გოგლას პირად წერილებს. გარდაიცვალა თელავის კულტურული, საგანმანათლებლო, ლიტერატურული ცხოვრების მემატიანე — გიორგი ჯავახიშვილი, მრავალი კვლევის და წიგნის ავტორი, თელავ-ქალაქზე შეყვარებული კაცი!


და, ბოლოს, მივადექი მარტოობის საკაცობრიო პრობლემას, გოდერძი ჩოხელის შემოქმედებისადმი მიძღვნილ ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილს, რომლის ავტორია ფილოლოგის მეცნიერებათა დოკტორი, პროფესორი როინ ჭიკაძე. მიყვარს ბატონი როინის წერის მანერა და სტილი: რა სამეცნიერო პრობლემასაც უნდა იკვლევდეს იგი, მუდამ შემოქმედებითა მისი მიდგომა, ენათმეცნიერული ნაშრომებიც კი სასამოვნოდ ელამუნება ყურს... ამ წერილში როინ ჭიკაძეს გოდერძი ჩოხელის შემოქმედება ფილოსოფიურ ჭრილში აქვს განხილული და პარალელს ავლებს კონსტანტინე კაპანელის ფილოსოფიურ ნააზრევთან. და როგორც იგი აღნიშნავს, „მწერალი ეძებდა სიკვდილ-სიცოცხლისა და ადამიანად ყოფნა-არყოფნის „მსოფლიო სევდის“ მარადიული პრობლემის პასუხს და იპოვა კიდეც... გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში გამჟღავნებულია მარტოობაში გამომწყვდეული ადამიანის უდიდესი ტრაგიზმი და სასონარკვეთილება. ამასთანავე, მწერალი და მისი პერსონაჟები კი არ გაურბიან მარტოობას, არამედ ისინი მასში არიან შენივთებული, მარტოობაა მათი ყველაზე დიდი დარდი, ამიტომაცაა, კითხვაზე — რა გადარდებს? — თითოეულის პასუხი ერთია: მარტოობა მადარდებს“.

და, ბოლოს, ორიოდე სიტყვით გამოვეხმაურები „ოლესადმი“ მიძღვნილ წერილებს, რომლის ავტორებიც არიან ნანა გომურაშვილი და მერი ზაალიშვილი. ცნობილი უურნალისტი მ. ზაალიშვილი „ოლეს“ შესახებ წერს: „...ოლე ზუსტად ისეთს ხედავს ცხოვრებას, როგორიც სინამდვილეშია და თავად ხომ უყვარს და უყვარს და ჩვენც გვაყვარებს, ჩვენც გვაოცნებებს სამართლიანობისა და სილამაზის დანერგვასა და გავრცელებაზე“ — ნათქვამია წერილში, რომლის სათაურიც იგივე განწყობას გამოხატავს — „უურნალი, რომელიც გვაყვარებს ცხოვრებას!“

სრულად ვეთანხმები ავტორს და ვფიქრობ, — რა შთაბეჭდილება, რა განცდა დატოვა ჩემზე „ოლეს“ ერთი ნომრის ასე საფუძვლიანად გაცნობამ? პასუხი ერთია: ჩემთვის ეს არის უურნალი, რომელსაც მშობლიური სურნელი ახლავს!



რეზო (ვევლიანე) ადამია



13



ნეიტრალური

(რომანი)

დასასრული. დასაწყისი იხ. „ოლქ“ N4, 2015; N1, 2016.

ური წმიდანი, მარადიულობის რწმენის ფორმათა სიახლით ჩაისახა და გავრცელდა ერის სულიერ მეხსიერებაში...

დრო და სივრცე გამოუცნობი კანონ განზომილებით გაუერთიანდა წმიდანის სულს და შეუცნობელი მათი სვლა შორეულით განეშორა იქაურობას...

წმიდა მირიან მეფე და წმიდა დედოფალი, სამეფო ოჯახთან ერთად, ქალაქ მცხეთიდან დაბა ბოდბეს გლოვით ჩაბრძანდნენ, შავ ცხენებზე ამხედრებულნი...

გულიდან ამოხეთქილი მნარე მოთქმით გლოვობდნენ წმიდა დედას, როგორც სულიერი დები, ასევე მოძღვარნი, ახლობლები და მრევლი. ნაკურთხი საფლავებიც კი შეტორტმანდაო, ხმა გავრცელდა ხალხში.

ასეთი გახლდათ ქალაქ ფაზისის უძველესი რიტორიული აკადემიის ჩანაფიქრი — შავი ფერის, წინოქროსფერჯვარალმართული და ხატებით დატვირთული უკაცრიელი ნავი, რომელსაც მარცხენა ფერდზე თეთრად „წმიდა ნინო“ ეწერა, კაცის სიმაღლის სანთელანთებული, ზღვის უსასრულობაში შეუშვიათ. მთელი დღეები ვეებერთელა მუქი ფერის არნივი აცილებდა უცხაურ იდუმალებას ბიჭვინთაში, სვიმონ კანანელის საფლავზე, ლამისთევით პანაშვიდი გადაუხდიათ, დიდი გლოვა იყოო გამოცხადებული ტრაპიზუნტის საქრისტიანოში...

იბერიის სატახტო ქალაქი მცხეთა ტანჯულ, ერთ მთლიან მკრთალ, ანთებულ სანთელს დამსგავსებოდა. მადლიერი მოსახლეობა უკლებლივ ლამეს უთევდა წმიდა ნინოს — კეთილი მასწავლებლის ხსოვნას. ქრისტეს კვართის სამარხის სიახლოვიდან დაწყებული, ქალაქის ნებისმიერი ადგილი მნუხარედ მდგომ ერთგულ მოდარაჯეთ ეკუთვნოდა. ფარავნის ტბა, ეს დღეები, გახელებული ლელავდა და ქაფორუეული ტალღებით ქვა-ლორლიან ხმელეთს ასკდებოდა...

დამით, მოწმენდილი ციდან, ვარსკვლავთ სულის-ფერი ცრემლი ცვარავდა კაბადოკიას, იერუსალიმს, კონსტანტინეპოლის, ეჩმიაძენს, მცხეთას, ბოდბეს, უჯარმას, არქეოპოლისს, ტრაპიზუნტს, ბიჭვინთას, პონტოს, დიოსკურიას, აიას, ფაზისს, სვანეთს და სრულიად ადამის მოდგმის საქრისტიანოს.

ფარავნის ტბის სიახლოვეს, უკვე მითური ბრონეულის ხის ქვეშ, სადაც წმიდა ნინომ მიიძინა და ძილში უფალი გამოცხადა, ზუსტად იმ ოდნავ შებერებუ-

სამხრეთ-აღმოსავლეთის და დასავლეთის ქვეყნების საქრისტიანოს სალოცავებში, საეკლესიო პირებსა და მრევლში, სიკვდილსა და სიცოცხლეს შუა არსებული ფერომენის გააზრება თავიდან იხილებოდა. თეოლოგიური განსჯით და იდეალისტური ფილოსოფიით მოაზროვნეთ ზუსტი პასუხი არ მოეპოვებოდათ და ხალხი ამაოდ ეძებდა წმიდა ნინოს უკვდავ სულს. არადა, ქვეყნის გადამრჩენებად, წმიდანის ჭეშმარიტი სწავლება და ქრისტიანული ნათელი სარწმუნოება უფრო მძლავრად და დამაჯერებლად აღვლენილიყო. უხსოვარდოროინდელი ადამიანური და მიწიერი საშინელი გლოვა კი ტანჯვის მომგვრელად გრძელდებოდა... ჩემეულ განსჯით, ვერავითარი აზროვნება და ფილოსოფიური სწავლება თუ რელიგია ვერ უმკლავდება ამ მოვლენას.

კოლხეთ იბერიის უპირველესი და უთვალსაჩინოესი წმიდანი უკვე აღარ იყო ამასოფლად და ზეცი-

ოლქ, №2, 2016





ნებ. ნინო. ხატმწერი რეზო ადამია

ლი ბრონეულის ქვეშ, თავისუფლად აშვებული თეთრი ბატკანი ქანცგანყვეტამდე ერთ ადგილას იდგა და თვალებში ნაღველჩანისლული განუწყვეტლივ გულსა-კლავად, ბატკანისეული ხმით მოთქვამდა. ამ სიმპო-ლოდ ქცეულ, უმწეოდ განმარტოებულ, უცნაურ ცხო-ველს არ ეკარებოდა ბოროტი სულიერი არსება.

წმიდა სალომე უჯარმელი, იბერიელთა განმანათ-ლებლის, წმიდა ნინოს ერთ-ერთი უახლოესი თანაშემ-ნე, მირიან მეფის ვაჟის — რევის ცოლი და სომხეთის მეფის თრდატის ასული იყო.

იბერიის მოქცევის შემდეგ, წმიდანის შთაგონე-ბითა და მეფე მირიანის ბრძანებით, წმიდა სალომემ უჯარმაში პატიოსანი ჯვარი აღმართა.

წმიდა სალომე უჯარმელმა და პერიულვი სივ-ნელმა ჩანერეს იბერიელთა განმანათლებლის, მოცი-ქულთა სწორის წმიდა ნინოს მოღვაწეობა.

მიწიერი ცხოვრების უკანასკნელ დღებში, ღვთი-ური სხივის კურთხევით და მითითებით მოხდა მცხე-თაში და საერთოდ სრულიად იბერია-კოლხეთში ალ-სრულებული სასანაულების აღნერა: მოციქულთსნორი უმნიშვნელოვანესად მიიჩნევდა კოსმოსური მეხსიე-რებიდან ერის მატიანეში ამ მოვლენათა აღბეჭდვის აუცილებლობას. იგი მოუწოდებდა მეფეს, ერსაც, რათა არ დაევიწყებინათ ეს ყველაფერი და თაობიდან თაობამდე გადაეცათ, მოეთხოოთ ყოველივე რწმე-ნის განსამტკიცებლად და გასაღრმავებლად. სწორედ ამიტომ, ამქვეყნიური ალსასარულის წინ, წმიდა ნინომ მორჩილად მიიღო წმიდა სალომეს თხოვნა, თავმდა-ბლობით აღარ დამალა თავისი ნარმომავლობა და უკვე

სრულად მოყვა თავისი ცხოვრების შესახებ; იმ ღვ-თაებრივ გამოცხადებათა შესახებ, რომლებიც მას მიე-ცა და მხოლოდ მისთვის იყო ცნობილი... („ცხოვრება წმიდასა ნინოვსი“).

უზარმაზარ საქრისტიანოში, ეს დღე იყო მრავალ ათასწლეულში სამახსოვრო და ისტორიული. წმიდა ნინო, სრულად გამხელილ წარმომავლობას ყვებოდა და წმიდა სალომე უჯარმელი სიტყვასიტყვით იწერდა, თან, მოკრძალებულ კითხვებს უსვამდა სულთმობრძავ წმიდანს. — ჩემო კეთილო სულიერო მასწავლებელო, ეგების მოიგონოთ ნარსულის ყველაზე ბედნიერი და მნიშვნელოვანი დღები?! — წმიდა სალომემ კარგად იცოდა წმიდანის მოწამეობრივი მსახურების თითქმის უმცირესი, უმნიშვნელოვანესი და უმთავრესი დეტა-ლიც კი, მაგრამ რაღაც ჯერ არგაგონილ — მთავარს მოელოდა.

— კი, ჩემო სულო, არის რამდენიმე ჩემთვის მართ-ლაც საამაყო და დაუკინწყარი მოსაგონარი, — გაისმა პასუხი ჩუმი, დალლილი და შეუვალი განწყობილებიანი ხმით. — ერთი, როცა უმანკო ბავშვი მიმიყვანეს ეკლე-სიაში. შემდეგი — მამამ, წმიდა ზაბილონმა, ცოტათი უფრო წამოზრდილი, მენელსაცხებელ დედათა მს-გავსი, შეუორგულებელი სიყვარულის, თავდადებისა და ერთგულებისაკენ რომ მომიწოდა და მაკურთხა... მერე, ჩემო სალომე, სულო კეთილო და ერთგულო, ზეადამიანური ურთიერთობა და მასწავლებლობა, რომელმაც ისევ ნორჩის, შეუპოვარი და მიზანსწრაფუ-ლი სამოციქულო ღვანწველი მიწინასწარმეტყველა. სარა მიაფორია, უკეთილშობილესი პიროვნება, რომელიც თვითონვე დაუღალავად ელოლიავებოდა და ევლებო-და მაცხოვრის ვარსკვლავებით სავსე საფლავს და მეც მის გვერდით თავდაზოგავად, უსაზღვრო სიყვარუ-ლით და ზეციური გზნებით ვმსახურობდი. ღვთისმშო-ბლის დარად, განუწყვეტლივ სანთელს ვუნთებდით და ლოცვებს აღვავლენდით სამყაროს ერთადერთ უდი-დეს წმიდა განსასვენებელთან. ასე რომ, ჩემო სულო მადლმოსილო, ჯერ ყმანვილ-ქალწულობიდან მაც-ხოვრის სარკოფაგის მსახური ვიყავი იერუსალიმში, მერმე მთელი ჩემი მარტვილობა და მოღვაწეობა იბე-რიაში, მცხეთაში — მეორე იერუსალიმად წოდებულ ქალაქში, უფლის კვართის მეთვალყურეობა სამსახ-ურსა და მოვლა-პატრონობაში განვვლე ამქვეყნიური წუთისოფლის დათვლილი დღეები.

— შემდეგი მოგონება, თუ შეიძლება, ჩვენო მხსნე-ლო დაო და დედაო!..

— ჩემი უდიდესი მოწამეობრივი ღვანწველია ქრი-სტიანულ სარწმუნოებაზე ჩრდილოეთის დიდი და პა-ტარა ქვეყნების მოქცევა, განსაკუთრებით სრულიად კოლხეთ-იბერიისა. ღვთიური სამსახური იყო თავისი უსაზღვრო სიყვარულით... ბედნიერი ვარ, მთლიანად ორძმათა ერი რომ მოვაქციე. იმედი მაქვს, ჩემს ბოდ-ბეში დაკრძალვის ბედნიერებას არავინ აღმიკვეცავს და უფლის ნებას არ უგულებელყოფენ.

ეს იყო იბერიის განმანათლებლის ბოლო თხოვნა და პასუხიც. შემდგომ სამყაროსეული შორეული სიმშ-ვიდე ჩამოწვა ირგვლივ... მტანჯველად შეიკუმა ერთ-დროს წმიდანის კეთილ-მსახური დრო და სივრცე...

ანრიალებულმა ვარსკვლავებმა ურთიერთში ნერ-ვიული გადაადგილება იწყება: მთვარე არ ჩანდა არსად, დუმდა გლოვით ავსილი ცის კაბადონი...

ბოლო ნაღვლიან წუთებში, ყველასთან უმორჩი-ლესად დაუბარებია წმიდანს, ჩემს ბოდებში დამასვე-ნეთო სამუდამო განსასვენებელში. სხვაგან ნუ წამიყ-



ვანთო, ქრისტესმიერი ლოცვით გევედრებითო!..

წმიდა მირიან მეფის და წმიდა ნანა დედოფლის წინადადებით, მცხეთას უნდა დაეკრძალათ წმიდა ნინო, სვეტიცხოვლის სამარშმი, მაგრამ...

შორეული წარსულის ლეგენდა, ხშირად თუ ზოგჯერ, რეალური ცხოვრების ფესვებითან მომდინარეობს.

მითები, სიმბოლოები, თქმულებები, იგავები, ლეგენდები და იშვიათად, მაგრამ ზღაპრებიც, მართალი ბუნებრივი ქმედების ცხოვრებისეული რეალური ფორმებია. ზოგჯერ სიზმრებიც ესიტყვებიან სინამდვილის სურათებს. ლეგენდები უმეტესად, წარსულის საიდუმლოების უსასრულო განმარტებათა თემებს მოიცავენ. მათგან არც ერთის იდუმალი ფორმით მოქმედება ისტორიის, სინამდვილის, რეალობის თუ ქვეყნისა და ერის წინაშე არაფერს აშავებს. ყოველი მათგანი, მითურად არსებული დამაჯერებლობით დაიარება დროთა გარდამავლობის ღვთიურ სივრცეში...

მოგეხსენებათ, მუდამ გამდინარე დრო, ყოვლის-მოგველი, ჯიუტად უმკაცრესია და მართალი...

იბერიის მპრძანებლის — წმიდა მირიან მეფის და წმიდა ნანა დედოფლის წინადადება უნდა აღსრულებულიყო. ამ დროს სფინქსივით აღმოცენდა საოცრება, ცოცხლად მოქმედი, ლეგენდა მითოსური მოვლენა და მათ წინაშე განმაცვითებლად განვითარდა. უამრავმა შავად ჩაცმულმა ეკლესის მსახურმა და მხედარმა, წმიდა ნინოს უპატიოსნესი, ცხედარჩასვენებული თეთრი სასახლე ადგილიდან ვერ დაძრა. ამ შემთხვევაში, სხვა ტექნიკური თუ ძალისმიერი ღონისძიების მიღება გამორიცხული იყო. ერი, ბერი თუ მრევლმრავალი საზოგადოება ნათლად ხედავდა — ღვთიურ იდუმალ მოვლენებთან ჰქონდათ საქმე. სამყაროს უზენაესასაც გადაწყვიტა იბერია-კოლხეთის განმანათლებლის სამუდამოდ ბოდებში დარჩენა...

ცხოვრებისეულმა ღვთიურმა ლეგენდა სიმბოლომ, უდიდესი როლი ითამაშა, მიწიერი სინამდვილე და ზეციურობა წარმოუდგენლად რომ შეუთავსა ურთიერთს. ჩვენდა საზეიმოდ, ბოდბე პლანეტის ქრისტიანული ცივილიზაციის ერთ-ერთ სათაყვანებელ კერად იბადებოდა. როგორც წმიდა ქალაქი მცხეთა, იესო ქრისტეს კვართის მფლობელ-პატრონი და მოდარაჯე, ასევე ბიჭვინთის ღვთისმშობლის სახელობის საყდარი, რომელიც მაცხოვრის მოციქულის, სვიმონ კანანელის განსასვენებელს უვლის. ხოლო მოციქულ მატათას ძვლებს საიდუმლოდ ინახავს კოლხეთის უძველესი მინა. მთლიანი კოლხეთ-იბერია წმიდა სამკუთხედად, პირამიდის ფორმად სულიერად შეკრულიყო, კოლხეთ-ბიჭვინთა, აფხაზეთ-იბერიის ცენტრი მცხეთა და კახეთ-კუხეთის დედა — დაბა ბოდბე. შემდეგ, რა თქმა უნდა, ქრისტიანი მეფები, დედოფლები და წარჩინებულები უსიტყვოდ უნდა დამორჩილებოდნენ უფლის განგებას...

სრულიად იბერია-კოლხეთის მაცხოვრის სალცავი, უზარმაზარი კანონზომიერი ქრისტიანული სიმბოლოებით, სამკუთხივ შეკრულიყო მარადის...

ამგვარად, წმიდა ნინომ თავისი გარდაცვალებითაც უკიდეგანოდ, საბოლოოდ განამტკიცა ქრისტიანული სარწმუნოება სრულიად იბერია-კოლხეთში.

მერმე ღრმად მორჩმუნე წმიდა მეფე მირიანმა და წმიდა ნანა დედოფლალმა, წმიდა ნინოს საფლავს დამცველ-მლოცველად აღუშენეს წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია, რომელიც წმიდა ნინო კაბადოკიელის

და წმიდა მეომარი გიორგის ნათესაური წარმოშობის სიმბოლო — მარად ცოცხალი ძეგლია...

წმიდა გიორგის უდრევი მხედრული სული მისივე სახელობის ეკლესით და წმიდა ქალწულზე მფარველობით, ღრმად სიმბოლურია, რომელსაც ქრისტიანული ისტორიის სულიერ უსასრულობაში ჯანსაღი ნათესაურ-გენეტიკური ფესვები აქვს გადგმული.

* * *

მარადუამს, სრულიად კოლხეთ-იბერიაში, ყოველი მართლმადიდებლისთვის მისტიკა-მაყვლოვანი, წმიდათანმიდა, პირველყოფილი, უხილავი ქრისტიანული სამლოცველოების და მონამეობრივი პირადი შენირვის განმახორციელებელი რელიგიური სათხოების სიმბოლოდ დაკანონდა, ანუ ბიბლიურ-სახარებისეული ცნობიერებით შექმნილი ჯვრის ფორმის საყდრებია.

თითქმის იმავე შინაარსისაა მეუდაბნოე ბერთა ცხოვრება. მოვიგონოთ წმიდა ზაბილონი, მოციქულთასწორის მამა. უკაცრიელ უდაბნოში, მკაცრი სტიქიის ანაბარა, დაუსრულებელი ლოცვით მაცხოვრის ზეციურობას რომ შეუერთდა. მის ერთადერთ ქალწულს, იბერიელ-კოლხთა განმანათლებელ წმიდა ნინოს, მცხეთის და ბოდბის მონამეობრივი მოღვაწეობით მიახლოებითი ბედი ენია. მაგდაგვარი სახის და შენირვითი მიმართების ყოფილა ნებისმიერ წმიდანთა მოღვაწეობა, რომელიც წარმოუდგენელ ერთგულებას გამოხატავს. ამ ფორმით და უსასრულობის უმკაცრესი შინაარსით თავდება სიცოცხლე როგორც უფლისათვის, ასევე ღვთისმშობლის, მოციქულთათვის, წმიდანების, ღრმად მორჩმუნე მრევლისა და ნებისმიერი ადამის მოდგმისთვის, რის შემდგომ გარდაისახება უახლოეს და შორეულ — სულისმიერ მარადიულობად.

ყოველივე შეიძლება შევადაროთ წმიდა ბეთლემის გამოქვაბულის ბიბლიურ მისტიკასაც, ღვთიურ რომანტიკას...

ანდა, ეგვიპტისაკენ გაქცეულნი! ტანჯვით მიმავლებმა, გზად, სულთმუთავი უდაბნოს პატარ-პატარა მზით გახურებული ქვიშის ოქროსფერი გორაკები სამლოცველოებად რომ გარდაქმნეს, რაც ღვთისმშობლის, ყრმა იესოსა და წმიდა იოსებისათვის სამყაროს შორეულ, წმიდა უტყუარ კარიბჭეს წარმოადგენდა. საოცარია, იესო ქრისტემ, წამება-სიკვდილ-გარდაცვალებით უმკაცრნალა პლანეტას და პლანეტელებს...

მივუბრუნდეთ ბიბლიურ თქმულებებს და უნდა ვირჩმუნოთ ისინი, რადგან ლეგენდარულმა ეგვიპტები და ზღაპრულმა ინდოეთმა ერთ დროს გადაარჩინეს სამყაროს მხსნელი მაცხოვარი. ხოლო ადამიანის გონებისათვის მიუწვდომელ გოლგოთაზე, სულინდინ ჯვარცმით დაგვირგვინდა იესო ქრისტეს ღვთიური უკიდეგანობა და სამყაროს არსების — მთლიანობის ზეობრივი განახლება.

განმაცვიფრებელი და საკვირველია, აბა რაა? მხოლოდ ტანჯვით რომ იშვება დიადური და ქვეყნად უმნიშვნელოვანების — ქრისტიანული სარწმუნოება, ღვთისმშობლის სიცოცხლი, მიტევება და სიკეთე, სათხოება, ყოველგვარ ეკლესიურ კანონიკებზე უფრო ძლიერი და იდუმალი მონამეობრიობა... ურთიერთნდობა, ჭემარიტება და ზნეობრივი დახვეწილობა — სინმინდე (ეტყობა, ეშმაქს მათ შორის ძლიერი ბარიერები აქვს აღმართული).

თურმე, ადამიანთა სულიერი და ფიზიური ხსნა მონამეობრივი, ზეციური ურთულესი კანონებით მო-



ედინება და პირადული შეწირვის მეოხებით მხოლოდ ნაწილობრივი ბედნიერება მოიპოვება, მაგრამ შეუვალი სიმტკიცის ზეცის სივრცობრივი, დროისმიერი გამძლეობით...

ისევ მინდა მივუბრუნდე ერთ-ერთ თემას: ყოველი მითი და ლეგენდა რეალური მოვლენებიდან იპადება და ეს უკვე ცოცხალი ისტორიაა. ასევეა უშორესი ბუნდოვანი მითები, თქმულებები, იგავები და ზეციური ფენომენი მეხსიერება, რაც ურთიერთში ღვთიური ძაფებითა გადაქარგულ-გადაორნამენტებული, რომლებიც ცხოვრების სინამდვილის უკვდავ სურათებს ნარმოადგენს. ყოველივე არსებული ხომ განძია პლანეტის საღი გონიერისა და წარსულის უმდიდრესი ფონდის უხილაობაა, რომელსაც ქვეყნის უკიდეგანობა მრავალმხრივი სიკეთითა და სიყვარულით ჰყავს შეძრული, რითაც იშვება მრავალსახოვანი ადამიანური რწმენის სიმტკიცე. ეჭვგარეშეა, დიდი ქვეყნიური რელიგიაც ამაზეა დაყრდნობილი.

უთუოდ მერამდენედ მინდა შევეხო, საოცარ დედა წმიდანისეულ რთულ მონამეობრივ ეპიზოდებს ულამაზეს კახეთ-კუხეთში, მთიდან დალლილ-დაქანცული რომ ჩავიდა, მის წინ უმძიმესი სურათები გადაიშალა კაციჭამია კერპების მზის და მთვარისა (მათი მხრივ, ამ კოსმოსურ მანათობლებზე, დამამცირებელი ცოდვებით სავსე ჩრდილის მიყენებაც იყო). ამ სასტიკ წარმართულ კერპებზე სამი ათასამდე ბავშვი იყო შეწირული. ექვსი ათასი დედა და მამა, ასევე უახლოესი ნათესავები, სულიერად განადგურებულნი, უვარგისად ესვენენ სისხლით გაუღენთილ მშობლიურ, მაგრამ შეურაცხყოფილ მინაზე (ოო! უაზრო ტანჯვავ!).

თავზარდაცემული ღირსი წმიდანი, გონებრივი განსჯით და მესამე სულისმიერი იდუმალ მხილველი თვალით, რეალურად რომ იხილა ყოველივე, სულტან-ჯული, მგლოვიარედ დავარდა. ტანთ ძალა გამოელია, გაჭირვებით მუხლებზე დაიჩინქა და დაეწყო შეუწყეტელი ცრემლთა დენა და მავედრებელი ლოცვანი. საათობით ხელთ ეპყრა ჯვარი და ანთებული სანთელი. მერმე გადავიდა მშრალ მარხვაზე. ამ უმძაფრესი დღრის მონაკვეთში იხილა ღვთიური გამოცხადება, რითაც მაცხოვარმა აღმოუცენა უსრწნელი და მეურნებელი წყაროს წყალი. იმ დღიდან, ამ წყალში განბანვის შემდგომ, რწმენით მისული ადამიანები ფიზიკურად და სულიერად იკურნებიან. ნეტარი წინის სახელით ამ კეთილშობილმა და სასწაულმოქმედმა წყაროს თვალმა განბანა ბოდბისა და სრულიად იძერის წარმართების უმძიმესი ცოდვებისგან დამძიმებული მინა, ამჟამადაც გრძელდება პროცესი და აგრე იქნება მარადის.

ტყუპისცალად ასეთივე მაღალთვისებიანი მოკანკარე რუ არსებობს ქალაქ მცხეთაში, ჯვრის მონასტრის მთის ძირას, რომელსაც წმიდა ნინოს წყარო ჰქვია და დღენიადაგ სამყაროს უწყევეტ ცრემლად გადმოედინების და იმავე საკვირველი თვისებებისაა, როგორიცაა დიდებული ბოდბესი. ამ ლეგენდარულ და მითიურ წყაროს ენოდება „ძუძუთა წყარო“. ძუძუ თავად ხომ კოსმოსური უსასრულო სიცოცხლის საწყისია უძლიერესი. მეძუძურ ახალგაზრდა დედათ თუ ბავშვის აღმზრდელი ზეციური სიცოცხლის თვისების რე შეუწყდებოდათ, უმაღ ამ წყაროსთან განიბანებოდნენ და გარკვეულ დროში ღვთის მადლი მოევლინებოდათ. ის ამ ნეტარ თვისებებს დღესაც ატარებს და გააგრძელებს მომავალშიც. შედეგად, სამშობლოს მეომარ-

გმირები და სადედოფლო გოგონები ეზრდებოდა და დღესაც სასახელოდ უმნივდებიან მამულს.

შუა დღის თოხის ტარზე შემდგარი, აელვარებული მზის ზესვლისას, ქალ-ვაჟი და დედა — ქალბატონი სანდო პირებთან ერთად წმიდა ნინოს ხშირობის ან, სევდიან მაყვლვანში ესტუმრნენ. დრო გახლდათ მაყვლის მნიობისა და ანდამატური სუნი ტრიალებდა ირგვლივ... ასკეტური ალაგი შეძლებისდაგვარად ჩანდა მოწყობილი, მაგრამ მწირული განწყობილება და უცხოთათვის ზეციურად მიმზიდველი ნეტარი სურათი მაინც იხატებოდა. ღვთისნიერი თბილ-კეთილი მისალმების, ლოცვა-კურთხევისა და ურთიერთმოკითხვის შემდგომ, მუქი შინდისფერი, თეთრზოლებიანი მანდილით მოსილმა ქალბატონმა, რომელსაც გულმკერდის უბეში ოქროს ჯვარი პატიოსანი უელავდა, თავიანთი მოსვლის მიზეზი იძერის დიდედად მოვლენილს თავდახრილმა მორიდებით მოახსენა:

— აგრ, თქევნ წინაშე მდგომ ღვთისშვილთ, ერთმანეთი ადამიანურად შეჰყვარებიათ, წმიდა დედაო, და ქრისტიანულად დაქორწინება სწადიათ, ხოლო მათი შეუღლება, ამათ წლებში შეიძლება თუ არა — ქვეყნის წმინდანისგან კანონიერ გადაწყვეტილებას მოელიან. წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენგან დათქმულ დროს დაელოდებიან.

— რამდენი წლისანი არიან, — იკითხა წმიდანმა და იერუსალიმიდან ჩამოყოლილი ვერცხლის ჯვარს ემთხვია.

— გოგონა თექვსმეტისაა, ვაჟი კი ოცისა, — მოახსენა ქალბატონმა.

— უფლის ნებით, კანონიკურად მიზანშეწილია და უფლება აქვთ ქრისტიანული ოჯახის შექმნისა, — იყო პასუხი, — მონათლულები თუ არიან, ქალბატონი?

— ღვთის ნებითა და მადლით გახლავან, დედაო.

— ახლა კი შემოდით სენაჟში და მარცხენა მხარეს დასვენებულ ვაზის ჯვარს ეახელით, ილოცეთ და სამსამჯერ ემთხვიეთ, — თითქმის ეკლესიურ-კანონიკური მოწყობილი კილოთი მიმართა წმიდანმა.

შემდგომ გარეთ გამოვიდნენ და მოციქულთა სწორმა ისევ გააგრძელა მათი დარიგება:

— მერმე ქალ-ვაჟის მშობლების შეთანხმების ქამს, დანიშნულ ბედნიერ დღეს, მცხეთის ღვთისმშობლის სახელობის მცირე ეკლესიაში მობრძანდნენ, რომელიც ხუროთმოძღვარ და ქტიტორ მამა რატის მიერაა აგებული. წინასწარ შემატყობინეთ, ჩემნო სულიერნო, რათა ქორწინების წმიდა რიტუალში თავადვე მივიღო მონანილეობა. აქვე გაუწყებთ, ყოველდღე გვიანობამდე ტაძარში ბრძანდება და ღვთისმსახურებას ატარებს ღრმად მორწმუნება და გამოცდილი მოძღვარი მამა იაკობი, ტრაპიზუნტელი ლაზი, რომელიც დიდ კონსტანტინოპოლშია განსწავლული და საეკლესიო ნებისმიერ საქმეში სრულყოფილად დახელვნებულია. ვიმედოვნებ, ეკლესიაში არავითარი შეფერხება არ ექნებათ ღვთის განგებითა და შეწევნით ჯვარი დაიწერონ. ახლა კი, ჩემგან ეს მიიღონ ნიშნად ქრისტიანული მთლიანობისა, — წმიდანმა ორთავეს ბზის ულამაზესი ჯვრები გადასცა იძერიული სახის ჩუქურთმების, ორნამენტების და ჯვრების მჭრელი ისტატების მიერ გამოთლილი.

სიხარულისგან ცამდე აღვლენილმა ქალ-ვაჟმა, წმიდანისგან დასაჩუქრებული ჯვრებით და ნაკურთხის სანთლებით, მოულოდნელი გაათკეცებით პატივისცემით, უკიდურესად აღფრთხოვანებულებმა მრავალჯერ მადლობის გადახდით და წმიდანის ჯვარზე მთხვევით უხილაობასავით წმიდა ადგილი დატოვეს. ხოლო ამ ამბით გახარებული და ბედნიერი ქალბატონი



გაფაციცებით, ღიმილიანი სახით უკან მიყვებოდა ახლად აფრენილი მერცხლებივით აფრთიალებულ თავის გოგო-ბიჭს (უთუოდ ვაჟის დედა გახლდათ).

გამრავლდითო ერის საკეთილდეოდ, გამოხოვებისას ასე დალოცაო შეყვარებულები კეთილმა ნინო და სანუკვარ სიტყვებს სიამაყით გამოთქვამდა ბედნიერი დედა...

იბერიელთა მრავალუამიერი, მქადაგებლისეული ცხოვრება და ჭეშმარიტი რელიგიურ-სულიერი კულტურა ქრისტეს მოძღვრების გზით მტკიცდებოდა, მოციქულთა სწორის, ნმიდანის ღვთივ განგებით, დასრულებელი შრომით — ლოცვით, ფიქრით, განცდებით და იმედებით...

მომავლის, მრავალათასწლოვანი უპუმანურესი სარწმუნოებით კეთილშობილდებოდა სრულიად იბერია-კოლხეთი, ეგრის-ლაზიკიდან დაწყებული კახეთ-კუხეთის უკიდურეს საზღვრამდე და წმიდანის ახლად ამოსული მზისებური ბრწყინვალებით, ალბანის სახელმწიფოც მაღალსულიერი თანმიმდევრობით ქრისტიანდებოდა, რომელთა მიწაზე, მცირე სალოცავნი ბაზილიკები უკვე აღმართათ იბერიელთ და აღზთ, ბიზანტიიდან ახლად მოვლენილ ხუროთმოძღვაროსტატებს...

სულგრძელო, ღრმად მორწმუნე მეგობრებო, ისევ დავუბრუნდეთ სოფელ ბოდბეს ლეგენდარულ, მითურსა და რელიგიურ წყაროს წყალს, სხეულისა თუ ფსიქოლოგიური დაავადებებისგან ნებისმიერ ადამიანს რომ კურნავს, გააქვს ტანის ფარული და ხილული სწეულებანი, რაც წარიმართება წმიდა ნინოსეული ზეციური სულის გადმოსვლითი გავლენით, რომელსაც უფლის ღვთისმშობლის და ანგელოზების უმშვენიერესი ერთობლიობა მოსავს. სახეხატულობა გახლავთ ზესამყაროდან უწყვეტად მონოდებული სასწაული, მრავალნატანჯი ქვეყნის სულიერად განწმენდის და ფიზიკურად გადარჩენისა.

სამყაროს მომწესრიგებელი ზელმერთი თავშეკავებით და ჩაფიქრებული დუმილ-განჩინებით მისჩერებია ურთულესასა და მარად შეუცვლელ პროცესს...

უსასრულობის უძმიმეს კანონთან მიმართებაში, მხოლოდ დიდი ზნეობრივ მეომრული შერიგებაა საჭირო და მეტი არაფერი...

საოცრებაა მინა და მისმიერი ნერვებმფეთქავი, სისხლმჩევარე სიცოცხლე, მარადიულია და მისი დაუსრულებელი ციკლია მხოლოდ ღვთიური...

როგორც ადამიანებში ხდება სიცოცხლის გამრავება და მოდგმის გაგრძელება, ასევე მზისა და დედამინის ურთიერთობით წარმოიშობა მრავალმხრივი სიცოცხლის განაყოფიერება (რომელიც ყველაფრის დასაბამის) — გაჩენა მზიური აფეთქებებით. უცნაურია, მაგრამ ყველასგან მოძულებული სიკვდილი დღენიადაგ ამარაგებს მათგან ცას, მზეს და დედამინას. პირველს სულებით, ხოლო მეორეს — ფერფლით (რომლებიც მიწიერ სიცოცხლეში იღუმალი გზებით ისევ ჩაერთვებიან). ესაა და ეს! და ამ საოცარ სამყაროსეულ ჩანართებს ვერ გაპქცევიან მოციქულები, წმიდანები, შორეული საუკუნეების ფილოსოფიური აზროვნების მიუწვდომლები: პლატონი, არისტოტელე, სოკრატე, პომეროსი, რუსთაველი, დანტე, პეგელი, გოეთე, შექსპირი, ლეონარდო და ვინჩი, მიქელანჯელო და აინშტაინი, თუ ყოველი დროის მეფეები, იმპე-

რატორები და ლეგენდარული მეომრები...

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ვერასოდეს ვერ განეშორება ადამიანი სამყაროს ამ უხილავ, უზარმაზარ, იდუმალ, სადა, უმკაცრეს, მარად მოძრავ ფორმას.

კოლხეთ-იბერიის დონეზე მხოლოდ რამდენიმე ერს თუ ჰქონია შინაგანი სულიერი ძალა, დაუსრულებელი სიყვარულითა და პირადი შენირვებით ერთგულა უფლის მაღალი რწმენისათვის. არც ერთ სხვა ერს არ ჰყავს ქრისტესთვის თავდადებული და მსხვერპლად შენირული ამდენი შვილი. მარტო ის რად ღირს საამაყოდ — ჩვენს ქვეყანას არ ჰქონია ბევრი შემთხვევა წმიდანი ენამებინოთ, გამონაკლისი ადრეულ პერიოდში „შუშანიკის წამება“ და XX საუკუნეში, ისიც გადამთიელთა ხელით და ფანატიკური იდეოლოგიიდან გამომდინარე... (ილია მართალი).

ამქვეყნიური ყოველივე დიადურის გადარჩენა მხოლოდ მაღალი რწმენითაა. ღვთიური ზესიყვარულიც ხომ, როგორც ზემოთ დაგიხატეთ, უანგარომეომრული, რომანტიკული პირადი სიცოცხლის შენირვებით მიიღწევა...

ბოდბის წმინდა სავანეში, ღამის მყუდროებისას, მაცხოვარი გამოეცხადებაო თურმე ქალნულ დედას, ღვთიური დარიგებებით და ნუგეშით სულიერად აძლიერებს იბერიის მინას მიბარებულ მოციქულთასწორს, მერმე უფალი უხილავი ტალღებით ზეცისკენ აბრძანდებაო უსასრულობაში...

„გაეღვიძა... წუთით იგრძნო მშობლის სევდა, მაგრამ რწმენა ავალებდა რაოდენს?!
თოვლი იდო ჯავახეთის მთათა ზედა
და ტყეებში ქარიშხლები ბლაოდნენ...“

შორეული გადმოცემით გვეუწყება: როდესაც მოციქულთა სწორს ოფიციალური შეხვედრები ჰქონია წმიდა მირიან მეფესთან, წმიდა ნანა დედოფლითან, ქვეყნის დიდებულებთან, ერთმორწმუნე ებრაელებთან, ძირძველ ასურელებთან, ბერძნებთან, ასევე უძველეს ქრისტიან ლაზებთან, აფხაზებთან, სვანებთან ან ადგილობრივ მორჩილ მრევლთან, წესისამებრ, ქადაგებისას თუ ჩვეულებრივ გასაუბრებისას, ნაწავებს უკან შეიკრავდა თურმე. მერმე ცისფერ მანდილს გადაიფარებდა და ამდაგვარად წარსდგებოდაო მათ წინაშე. არ ჰქონდა მნიშვნელობა, ქრისტიანი, წარმართი, ცეცხლთაყვანისმცემელი თუ მზის თაყვანისმცემელი იდგა მის წინაშე.

მადლმოსილ ქრისტიან არაგვისპირელებს, ღვინისფერი ორულელა ურმით, საჭმელ-სანოვაგე ძღვნად მოურთმევიათ მწყემსი კეთილის სამყოფელში. წინ მოხუცი მამაკაცი და ფეხშიშველა ბიჭი მოუძღლოდნენ ახლად დაჭერილი ცოცხალი კალმახებით. ურმის შუაგულში დაბმული, ტანხატულა ულამაზესი შველი საცოდავად აბრიალებდა შეშინებულ თვალებს. — ეს მე?! რატომ მომიყვანეთო? — იკითხა წმიდანმა. — დღესასწაულზე დაგიკლავენ და თქვენს დებთან ერთად მიირთვითო, მოძღვარო — იყო პასუხი. — მომგვარეთო ახლოს. კეთილი, ველურ-მისტიკური ცხოველი მიუყვანეს დედა იბერიისას, წარბებ ასხებილი ციმციმა სახით ნაზად მოეფერა აცახცახებულ შველს, მერმე ცისფერთოკშებმული არსება გრძელსამოსიან ყმანვილ სტიქაროსას გადასცა და დაავალა, ახლად აშე-



მმ. ნინო. ხატმწერი რეზო ადამია

ნებული ეკლესიის სიახლოვეს სამუდამოდ გაუშვითო, აუცილებლად მიდით და ქტიიტორსა და მოძღვარ მამა რატის აცნობეთ ყველაფერიო. თქვენ მიმართ კი, ჩემო სულიერო ძმებო, მადლიერებით ვარ სავსე და უფალი დაგითასებთ ამ შემონირულობასო. მხოლოდ ჩემი უმორჩილესი თხოვნა იქნება, მცირედი თაფლის და სანთლის გარდა უპოვრებს დაურიგეთ ყოველივეო.

დილის ანთებული მზე ცაზე კაშკაშებდა და კოსმოსური შეუმჩნეველი ცოცვით ლურჯი, უსასრულო გუმბათისაკენ მიინევდა...

კალმახების ვერცხლისფერი, წითელ-მუქლურ-ჯად დაწინწკლული მთვარისებრი ტანი მზის შუქმარობ გაანათა, რა მშენიერია ეს ლოთივგაჩენილი დალოცვილებიო, თქვა კეთილმა მასნავლებელმა და სევდიანად თავი დახარა...

თითქოსდა არ იყოს გასაკვირი, მაგრამ ძალლი ხომ ადამიანის უახლოესი მეგობარია, რომელსაც მრავალმხრივ აზრიანი მოქმედებები გააჩნია.

სოფლის რჩეული დიდგულა ძალლები, სხვადასხვა ფერისა და ასაკისანი, გამუდმებით წმიდანის გვერდით ტრიალებდნენ. აბა, გაებედა რამეს ან ვინმეს ცუდი ზრახვებით პატრონთან მიახლოება, უმალ მეომრული ერთიანობით დაესეოდნენ. ამდაგვარი ცხოველური ინსტინქტი და წესრიგი სუფევდა იქ. მათ ჯგუფს თვალს რომ გადაავლებდა წმიდანი, ბავშვივით ელიმებოდა და, — ესენი ხშირად დააპურეთო, — იტყოდა ხოლმე. ასევე, საკირველი გახლდათ, ნებისმიერი მხედარი რომ გაივლიდა წმიდანის ნინოს სიახლოვეს, ცხენი ადამიანივით კეთილი თვალებით უმზერდა. სანატრელი მშვიდობა და შრომის განწყობილება იდგა მუდამ-

ჟამს წმიდანის ახლო თუ შორ გარემოში. დღითიდლე კეთილმოსაბობით ინათლებოდა წარმართობისგან ამ-ღვრეული და ანიოკებული ქვეყანა.

წმიდა ქალაქ იერუსალიმიდან, უძველესა ქრისტიანმა ებრაელებმა, ჩალის და ვერცხლისფერება თვინიერი ჯორი ხატებით, ჯვრებით და შანდლებით დატვირთული ჩამოუყვანეს და ძღვნად მიართვეს წმიდა ნინოს. ღრმად მორწმუნე ადამიანივით მორჩილი და ჭვიანია ეს პირუტყვი, ღიმილით ამბობდა ხალხი. წმიდანი სადაც არ გაემგზავრებოდა, მთაში თუ ბარად, ორი ერთგული ძალი და ეს უწყინარი ჯორი ყველგან დაჰყავდა. ზოგჯერ, შორ გზაზე მავალი, აფხაზი აზნაურების მიერ ნაბოძებ პატარა ტანის ცხენსაც იახლებდა ხოლმე თან.

წმიდა ეზოს პირუტყვებს მომვლელი პატრონი მიუჩინეს, ხნიერი, თეთრწვერა იაკობი. ფრიად ერთგული, კეთილი, მოსიყვარულე და ღრმად მორწმუნე მოხუცი მეფის კარისკაცებმა მოიყვანეს და მეგობრულად დაარიგეს, ყველანაირ მძიმე თუ წვრილ საქმეებში მოემსახურები წმიდანს და მის უახლოეს დებსო. მოხუცი ღვინოს და არაყს საერთოდ არ ეკარებოდა. დღესასწაულებზე თიხის პატარა სასმისით დაილოცებოდა და მხოლოდ მცირედს მოსვამდა. დებთან საუბარი ზოგჯერ გაუხანგრძლივდებოდა, მაგრამ ყველა იქ დამსწრე მოკრძალებით და ღიმილით უსმერნდა. იაკობი წმიდა ნინოს მოძღვარს უწოდებდა, ამ შემთხვევაში მოხუცს შენიშვნას არავინ აძლევდა. ბერიკაცმა წერაკითხვა არ იცოდა, მაგრამ ამქეყნიური ცხოვრების და იმქეყნიური სულიერების ყოველივე კარგად ესმოდა. იტყოდა, თუ რამე გამეგება, პირადი უშმიმესი ცხოვრებისგან ვისნავლე, წარსულის ამქეყნიურმა ტანჯვა-ვაებამ წიაღვარივით ჩემს სხეულზე გადაირა, მისგან დაკოშრილ-გაულენთილი ვარ მთლიანად — სულის ჩათვლით — ჩემო სულიერო დებო, მაგრამ, საბედნიეროდ, უმთავრეს ჭეშმარიტებას ჩემმა მოძღვარმა, წმიდა ნინომ მაზაიარაო! — სიხარულით აღიარებდა ხოლმე და გულმკერდზე მარჯვენა ხელს მიიდებდა. მერე დაუმატებდა, — ამ ხნის კაცი გაკვირვებული ვარ, ჩვენს წმიდა ეზოში ცხოველებიც რარიგ კეთილი, ჭკვიანები არიანო.

— ეე, ამათ ლაპარაკი არ იციან, თორემ საერთოდაც ყველაფერს ხვდებიანო! — ჩაილაპარაკა იაკობმა და უძილარას, რომელიც გვერდით ედგა, შუბლზე მოეფერა. — აბა და მიხედეთ, ამას უძილაობისა რა ეტყობაო, ხუმრობით ჩაიცინა მოხუცმა.

ერთხელ, საუბრისას დედა სიდონიამ ბერიკაცს ჰკითხა:

— წარმოშობით სადაური ხარ, სულიერო ძმაო იაკობ?

— ჩვენი წინაპრების ძველი სახლობა ურბნისიდან გახლდათ, დედაო, — წყვეტილ-წყვეტილი ფრაზებით ყვებოდა იაკობი, — მთელი ოჯახი დიდებულებს ვემსახურებოდით, რომლებიც წარმართული და ჯოჯოხეთური კერპების ერთგული თაყვანისძცემლები იყვნენ. ბედმავი უფროსი ძმა ულამაზესი ბავშვი იყო, სამი წლისა დიდი სიხარულით და აღტაცებით შენირეს გაცს, გაიმსა და უმთავრეს კერპს — კაციჭამია არმაზს... — აქ თხრობა შეწყვიტა იაკობმა, ქვითინი აუგარდა, მათ წინ მოწყვეტით დაეცა და განწირულივით ხელებს ურტყმამდა მიწას.

— ადექი, წამებულო ძმაო იაკობ და მრავალგზის ილოცე მამაზეციერზე, სულინმიდასა და ძე ღვთისაზე, მოიხსენიე შენი ძმის — ანგელოზის ტანჯული სული.

— ანუგეშებდა დედა სიდონია.

დედა წმიდანი ერთ ადგილას იდგა უხმოდ და სევ-



დიანი თვალებით შეპყურებდა სამუდამოდ ტანჯვამიყენებულ მოხუც იაკობს „გვიხსენ უფალოს“ წარმოთქმით.

— საძულველი კერპებისათვის ჩემი შენირვაც რომ განიზრახეს, გონგახელებულმა თავს გაქცევით ვუშველე და გაუვალ ტყეებს შევეხიზნე. უულვაშო ბიჭი ვიყავი. მთებსა და ტყეებში დავიდე ბინა, მგლებს თითქმის დავუმეგობრდი. ნადირები არ მერჩოდნენ. ათეული წლები აგრე წვალებასა და ტანჯვაში გავატარე. ზოგჯერ, კარგა ხნით, კეთილ მსახურთა ოჯახებს ვეკედლებოდი. ჩემს ვინაობას არავის ვამცნობდი, ნახევრად მუნჯივით დავდიოდი. ვუვლიდი მათ საქონელს, მინას ვამუშავებდი. ყოველთვის მიყვარდა ცხოველები, განსაკუთრებით კი ძალები. ისინიც ჩემ გვერდით ტრიალებდნენ. დედაო სიდონია, თქვენი ძალებიც ძალიან კეთილად და ერთგულად მექცევიან.

— კაცთ მეგობრებმა უტყუარი ცნობა იციან ადამინისა, ძმაო იაკობ, ბოროტსა და საეჭვო ზნეობის ადამიანს არ ეკარებიან, ზოგიერთ მოძულე პიროვნებაზე კი პირდაპირ შეტევაზე გადადიან. ღვთიური, სამართლიანი ინსტინქტი მართავს ამ კეთილ არსებათ. ჩემინ სულიერო ძმაო, რომ იცოდე, მათ ერთ-ერთ უმძიმეს რელიგიურ წელს მტრებისგან დაიცვეს იძერის მხსნელი, — თქვა დედა სიდონიამ და ძალებს პურის ნატეხები მიაწოდა. იაკობი, ჯირკზე ჩამომჯდარი, გაოცებული უსმენდა დედა სიდონიას.

— სულიერო ძმაო იაკობ, ჯორცხენს რომ დააბალახებ, მერე მოგიყვები იმ ურთულესი შემოდგომაზამთრის ამბავს, ფიზიკურად თუ შევძელი, მიჭირს ხოლმე გახსენება...

იაკობმა ისევ განაგრძო თავისი უმძიმესი წარსულის მოგონებები:

— მე არასოდეს მწამდა ჩემი პატრონის საშინელი კერპებისა. მთელი ცხოვრება სხვა რაღაცას ვეძებდი, მიუწვდომელს. შემდგომ, განგებამ თქვენამდის მომიყვანა. ახლა კი ვიცი, ვინა ვარ და საით მიდის ჩემი სულის გზა. თითქოს მეორედ დავიბადე სრულიად სხვა, ნათელ ქვეყანაში, მადლიანსა და სიცოცხლეებადარჩენილ ხალხში. თქვენ კი აგაშენოთ მამაზეციერმა, მაცხოვარმა, ღვთისმშობელმა და ანგელოზებმა. უთუოდ წმიდა ნინოა ჩემინ ზეციური მოციქული და ჭეშმარიტების გზის მაჩვენებელი...

— ფუტკრის მოვლა-პატრონობა თუ იცით, კეთილო იაკობ?!

— არა, დედაო, მე მათ გავურბივარ, რადგან წლობით ტყეში ხეტიალისას, წარმართებს მშიერ-მწყურვალი რომ ვემალებოდი, ზოგჯერ თაფლს ვართმევდი ფუტკრების ოჯახს. აბა, რა მექნა, დედაო! ტყის ხილით, ბალახისა თუ სხვა მცენარეების ფესვებით და თაფლით ვიკვებებოდი. ხშირად, ბებერო ხეების ფულუროებში მეძინა. ერთხელ, მათი ოჯახი გავაბრაზე და ფუტკრები ბზულით გამომეკიდნენ, დაუზოგავად დამკბინეს და კინალამ სული ამომხადეს. ღირსი ვიყავი და, აკი, დამსაჯეს, დედაო!

სულიერად დედა სიდონიასთვის არ იყო ადვილი იმის მოყოლა, თუ როგორი სირთულეები შეექმნათ წარმართებისგან გამეტებულ-შევიწროებულთ. წმიდა ნინო თითქმის მიუვალ ტყეში, ერთ-ერთ ხშირტოტებიან და ურთიერთში მჭიდროდ გადაწნულ მაყვლოვანში, როგორც გიამბეთ, საიმედოდ დაბინავდა. თავზე ხელალებული, აბჯარასხმული და კბილებამდე შეიარა-

ღებული ფანატიკოსი წარმართები ტყე-ტყე დაძრნოდნენ, თუმცა, საბედნიეროდ, წმიდანის სამყოფელს ვერ აგნებდნენ. ამ დროს ღვთიური, სრულყოფილი მოდარაჯეობა შეველოდათ — ძალების ჯგუფი, რომელიც კეთილ მწყემსს სოფლიდან გამოჰყვა, ენით აღუწერელ მეგობრობას, ზებუნებრივ თანადგომასა და თავგანწირვას იჩენდა. იკითხავთ უთუოდ, საიდან და როგორო. დიახ, მწყემსების ტანმაღლმა, ჯან-ღონით სავსე ძალებმაც მიატოვეს პატრონები, ფარა და ამ სასნაულმოქმედი ძალების ჯგუფს შეუერთდნენ. ჩვიდმეტივე სხვადასხვა ფერისა და ტანადობის ძალი, მაყვლოვანის ირგვლივ შეუსვენებლივ ფხიზლობდა და დარაჯობდა წმიდა პატრონს. ზოგჯერ ღამენათევნი, თავზაქინდრული თვლემდნენ. აბა, გაებედათ მათ სიახლოვეს მოსვლა მგელსა თუ რომელიმე ტყიურს, უმალ ერთიანი ძალით შეუტევდნენ და ბალანს აყრევინებდნენ. ყოველდღე, ორჯერ მაინც, ტყის არემარეს შემოურბენდნენ წკაცნევითა და ყეფით. ახლომახლო სოფლებში კი ქრისტიანმა კაცებმა ხმა დაყარეს, ველური და უსასტიკესი ძალები მომრავლებულა ტყეშიონ და იქ შესვლა უკვე დიდ საფრთხეს წარმოადგენსო. მართლაც, გაბოროტებული და სისხლს მოწყურებული წარმართები, მათი შიშით, იქაურობას აღარ ეკარებოდნენ.

შპა დედასა, განმანათლებელი ჩემინი იერუსალიმში რომ არ იყოს წაბრძანებული ტყე, ბარი და ველი ასე არ აირეოდაო, — ამგვარი ხმაც დადიოდა ხალხში...

იყო შემთხვევები, საეჭვოდ შეიარაღებული ფეხსანი უმონყალოდ დაკბინეს და ისევ უცხოებმა ძლიერს გადაარჩინეს თურმე. სანუკავარ მოვალეობა ბოძებულმა ძალებმა გარეული ღორები და სხვა ცხოველები თითქმის გადენეს და მონაღირეებს ცხვირსაც აღარ აყოფინებდნენ ტყეში. მხოლოდ საძოვარზე გამოშვებულ ცხენებს შეეძლოთ შემოსვლა, ისიც — უფრო შემთხვევით.

უძილარა, თავძალი, მაყვლოვანის შესასვლელთან იდგა. უკანა ფეხებზე მოკეცილმა ცისკენ ყურება და ყეფა შეწყვიტა, ყურადღება მხოლოდ ირგვლივ მოსარულე ძალებზე და გარემოზე ჰქონდა გადატანილი.

— დებო, სიდონია და ბარბარე, ძალებს პური თუ აჭამეთ?.. თიხის ქვაბში წყლის ჩასხმა არ დაგავიწყდეთ... — ხშირად გაიგონებდით წმიდა ნინოს თხოვნას.

როცა გაავდრდებოდა, ძალები ჯგუფ-ჯგუფად მათთვის საგანგებოდ გამართულ სხვადასხვა ზომის მაყვლოვანში შეცვივდებოდნენ და იქიდან ნერვიული ღრენა ისმოდა, თუმცა მთელი ღამებდაცემები მოსარულე ძალებზე და გარემოზე ჰქონდა გადატანილი.

დილაადრიან, ღვთიუნათელ, მზიან დღეს ბოდეს მეზობელი სოფლიდან სანდო პირებმა სასმელ-საჭმელი მოიტანეს მოკეცილმა გალათებით და ორი დოქით. ყველას გულზე ბზის ჯვრები ესვენა. ამ დროს ალიაქოთი ატყდა, მერე ერთიორად იქცა, გეგონებოდათ, ძალების ჯოგია აცვენილი. ფაფარაყილებმა ყეფით, ბრაზიანი ღრენითა და კბილებმოლვარე მუქარით სამმაგ წრეში მოაქციეს შეშინებული მსახურები. სანამ მაყვლოვანიდან წმიდა ნინო გამოვიდოდა და კეთილი ღიმილით მიესალმებოდა სტუმრებსა და მანამ მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. მერმე რკინის ჯაჭვივით მეაცრად შეკრული წრიული გარემო თავისთავად მოიშალა და ძალებიც ცხვირის ნერვული ცემინებით სხვადასხვა მხარეს მიმოიფარებული. — მადლობა ღმერთს! — და სტუმრებმა შვება იგრძნეს. ერთ-ერთმა





ხნიერმა მამაკაცმა დაიჩივლა, ღვთის გაჩენილებო და აქაურობის მცველნო, თქვენი სასმელ-საჭმელიც ურევია აქო. დებს გაეცინათ, წმიდა ნინომ კი კეთილნარევი თვალებით გადახედა ძალებს.

— პირნათლად იციან მათ თავიანთი ღვთიური მოვალეობა, — თქვა დედა სიდონიამ.

დილაობით, რიგრიგობით, ხშირ ეკალ-ბარდებში გაიცეოდნენ და ცოტა ხანში, ენაგადმოგდებულები თავიანთ ადგილებს უბრუნდებოდნენ.

მოღრუბლულსა და ბნელ ღამეს, წმიდანის მაყვლოვანის სიახლოვეს საშინელი ყეფა, წივილ-კივილი და გნიასი ატყდა. თურმე, მაკე ძუ მგელი შეუნიშნავთ ახლოს მოხეტიალე. გრიგალივით ავარდნილები და გახელებულები შემოხევივნენ, ყველაზე ყოჩალები კი უკვე ძიგნიდნენ უცხო ტყიურს, განსაკუთრებით ტანმსხვილი მეცხვარე ძალები აქტიურობდნენ. წმიდა ნინოს დროზე რომ არ მიესწრო, ვინ იცის, როგორ დამთავრდებოდა, უეჭველად გაგუდავდნენ და დაგლეჯდნენ გზააბდეულ საცოდავ ნადირს. სანთლით ხელში წმიდანის გარეთ გამოჩენა და კუდანეული ძალების უკან დახევა ერთი იყო. დაფეთებული, ფერდებდასისხლიანებული და თვალებში ცეცხლანთებული მგელი ელვის სისწრაფით გაშორდა იქაურობას.

— დაშიშმინდით, ღამის მედგარო დარაჯებო და არ დაედევნოთ, თვითონ იპოვის თავის გზას. ის მგელი ჩემთან ბოროტი ზრავებით არ მოვიდოდა. — წმიდანმა, როგორც ადამიანებს ისე მიმართა გულალრენილი ძალების ჯგუფს. უძილარამ წკმუტუნით შემოურბინა ყველას, შუბლი და ტუჩები აულოკა თითოეულს... მერმე ერთ-ერთმა ყურებჩამოფეროთხილმა ჩალისფერმა ძალმა ცას მიშვერილი სისხლისფერი ღია ხახით, მგლური ყმუილით აიკლო იქაურობა. რა იყო ეს, რა განგაშია?! ალბათ თანაუგრძნობსო თავისი წინაპრის ბედს, გაიფირეს გაკვირვებულმა დებმა. მაშინვე მწყემსის დიდი ძალი მივიდა მასთან და ცხვირ-პირთან შეუყეფა მჭექარე ხმით. შეშინებულს, ამის შემდეგ, აღარ გაუმეორებია ამგვარი მგლურ ძალული სტიქიურობა. მოხდა კიდევ ერთი უჩვეულო მოვლენა — ყოველთვის მოუსვენარი ახალგაზრდა თეთრი ძალი მოულონელად ლამით გაიქცა და ბოდბეში ჩაირბინა. თავის ეზოში რომ შევიდა, წკმუტუნი დაიწყო. ოჯახის წევრები, დიდი და პატარა გარეთ გამოცივდნენ. ჩვენი თეთრა მოვიდაო, იყივლეს ბავშვებმა და პურის ნატეხები აჭამეს. მოფერებით გული რომ იჯერეს, ხალისიანი ძალი ისევ გაიქცა. რა თქმა უნდა, პატრონმა კარგად იცოდა თავისი ძალის ადგილამყოფელი და არც კი დაუძახია სახლში შემოდიო. თეთრამ ჩაბნელებულ სოფელს შუკა-შუკა შემოურბინა უხმოდ და ისევ ტყეში გაუჩინარდა ლამის ლანდივით. ჩვეულებრივ ადამიანისთვის ნამდვილად ძნელი მისახვედრი და მისაწვდომი იყო ამ ჭკვიანი ძალის ამდაგვარი მოქმედება, ის, თუ რისთვის ჩაიდინა ეს ყოველივე.

წმიდა მირიან მეფის სასახლის და დიდებულთა სამზარეულოს საკუჭნაოდან, მეჭურჭლეულებულესთან შეთანხმებით, ხალხის სანათლავად სპილენძის ორი დიდი ქვაბი წმიდანის სენაკის ეზოში შემოაბრძანეს და გნასაზღვრულ აფგილას დაასვენეს. ერთ-ერთ ქვაბზე, მაღალი ოსტატობით, ნარმართული შინაარსის სცენები იყო გამორელიეფებული; ხოლო მეორე ქვაბზე, მარჯვენა და მარცხენა ზედა მხარეს გამოსახული, მართლაც რომ შედევრი გახლდათ პორტრეტული გორელიეფისა; უეჭველად ანტიკურ ბერძნულს წარ-

მოადგენდა ეს დიდი ხელოვნება, ნაქანდაკარი.

წმიდა მაღალ მორნმუნებ გულმოდგინედ დაათვალიერა ქვაბები და ორივე უკან, უვნებლად წაბრძანეთო თავის ადგილას. უთუოდ ექნებათ სუფთა ზედაპირის მქონე დიდი ჭურჭლები და მათგან რომელიმე საღამომდე გვათხოვონო. მართლაც, მათზე უფრო მოზრდილი ორი ბრტყელძირიანი, უძველესი სპილენძის ქვაბი მოაბრძანეს და დანიშნულ ადგილას დაასვენებს. ჩვენთვის მისაღები და დასაშვებია ორთავე, თქვა სარწმუნოების წინამდლომდება. უპირველესად აქ, ეზოში, პატარა ბავშვები, ხნიერი ქალები და მოხუცი მამაკაცები მოინათლებიან. მერმე დალოცვილ მდინარე მტკვარს ვეახლებით მთელი ერით და ბერ-მონაზვნებით, — ბრძანა წმიდა ნინომ.

შაბათის დღე გახლდათ ნათლობის სახალხო დღესასწაულად გამოცხადებული. დილიდანვე წყლით სავსე კასრებით დატვირთული ორულელა ურმები სენაკის ეზოს კარს მოადგა და უცნაური ქრისტიანული გამოცოცხლება დაიწყო.

— სადაურია, წყალი რომელი მდინარისაა? — იკითხა წმიდანმა.

— თერგისაა, — მოახსენეს მეურმეებმა.

— შესანიშნავია, მიხარია სულიერო ძმებო, — მოუწონა მათ და მშობლიურად წაახალისა, — გაავსეთ ქვაბები! და ისევ წადით ახალი წყლის მოსატანად. რა თქმა უნდა, თქვენ-თქვენს გასამრჯელოს დღესვე მიიღებთ (სამეფო ხაზინიდან გარკვეული ოდენობის თანხა გამოყოფილი ჰქონდა წმიდა ნინოს საზოგადოებას, ეს ეკლესიათა მშენებლობა იქნებოდა თუ ასევე დიდი და პატარა ხარჯებისთვისაც). ჩვენს რწმენის მადლს, სიყვარულს, სულიერ თავდადებას და ნებისმიერ სამსახურს დავთის მიმართ თქვენ წინაშე არასოდეს დავრჩდილავთ, ჩვენო მოძღვარო და დედაო, — იყო პასუხი მცხეთელი მეურმეებისა.

— მადლობა თქვენდა! — ამ სიტყვებით ეზოში გაიარა წმიდანმა. ნეტარლიმილმა გადაუარა წმიდა ნინოს და მისი სხეულიდან შუქი გადმოიღვარა ვარსკვლავეთური — უწრდილო, ამ საოცრება სინათლის წყაროს ბოლომდე ვერ გაარკვევდი ადამიანი...

ქალაქ მცხეთაში საერთაშორისო, დიდი რელიგიურ-რიტუალურ-ისტორიული ნათლობა იწყებოდა. ხალხის უწყვეტი რიგი დადგა, უამრავი ძუძუმწოვარი ჩვილის ტირილის ხმა გაისმა. ყველა თაობის ადამიანებს მოეყარათ თავი, სამი ახალგაზრდა მღვდელი და ერთი დიაკვანი ეხმარებოდნენ წმიდანს.

დედა წმიდანთან უფრო პატარები მიპყავდათ მოსანათლავად და რიგი იდგა სხვადასხვა ხნოვანების ხალხისაც...

კონსტანტინოპოლიდან ბიჭვინთაში სტუმრად ჩაბრძანებულ ბერძენ ეპისკოპოსს, ნარმოშობით ასურიელი მღვდელი ახლდა. ხოლო სვიმონ კანანელის სახელობის ეკლესიის წინამდლოლ აფხაზ არქიმანდრიტს წუთი წუთზე მცხეთაში მოელოდნენ. უამინდობის გამო, დროულად ვერ გადმოიღახესო ლიხის ისედაც გაუვალი მთა, — იტყობინებოდა აფხაზი მაღლემსრბოლი, ტანმორჩილ ცხენზე ამხედრებული, რომელმაც ფიცხლად ისევ უკუ იბრუნა პირი...

ღმერთო, გაერთიანე ჩვენი ქვეყანა! ქრისტიანობა, მხოლოდ შენ უნდა შეძლო ეს... მთელი ულევი გზა თავისითვის ფუსფუსებდა ნაადრევად ჭალარაშებარული მალემსრბოლი...

მოდიოდნენ ბეჯითობით და იბერიის დედაქალაქს უახლოვდებოდნენ როგორც საქართველოს მაღალი რანგის სტუმრები, ასევე ჩვეულებრივი სოფლის მშენებლი.



სტუმრებში, რომლებიც ვერ ეტეოდნენ წმიდანის ეზოში და მიმდებარე ქუჩებში, ჩუმი ურთიერთმოთქმა დაირხა, დღეს ორი მოგვი და სამი ყოფილი, ან მომნანიებელი ქურუმიც ინათლებათ — გაკერვებული და ცნობისმოყვარე მრევლი იქით-აქეთ იყურებოდა. ერთერთმა მოძღვარმა ახალგაზრდა მხედრებს გადაულაპარაკა, თქვენ-თქვენი ბედაურებისათვის სამკერდე სპილენძის ან ბრინჯაოს ჯვრები დაამზადებინეთო ეკლესიასთან მოღვაწე იუველირებს. მათგან თანხმობა მიიღო მღვდელმა... ამ უთვალავ ხალხში, ნათლიების მხიარული და ბედნიერი სახეები იქაურობას მომავლის ახალი სიცოცხლის ელფერს მატებდა, ხოლო მოსანათლავების გაოგნებული გამოხედვები, რაღაც ზეციური მომავალი იდუმალების სურათს ხატავდა. ჯერ წარმოუდგენელ ბედნიერების მოლოდინში იდგა ყოველი მათგანი. რომელი ეროვნების ხალხი არ ირეოდა აქ — იბერიელი, სომები, ასურელი, ბერძენი, არაბი, ალბანელი, სპარსელი, რამდენიმე იბერიელი ეპრაელი; მოკრძალებით დადიოდნენ ღრმად ჩაფიქრებული ჩრდილოკავკასიელები. გუშინო, ლაზების, ეგრისელების, სვანებისა და აფხაზების ცალკე ჯვაფი ჩამოსულაო კოლხეთის ქვეყნიდან; ყველა მათგანი, მოძღვარ რატის მიერ აშენებული ეკლესის ეზოში დაუბინავებიათ თავ-თავიანთი კარვებით. ლაზებს, ეგრისელებს და აფხაზებს წრე შემოურტყამთ სვანებისთვის, რომლებიც ციდან მომდინარე მობუბუნე სიმღერებს გალობდნენ.

სვანები უკვე ჩამოსულანო, ამცნეს მარად ჩაფიქრებულ და საქმიან დედა პატრონს. ნეტარებით ისევ გაეღია:

— ვიცოდი, ასეც მოხდებოდა, ზეცასთან ყველაზე ახლობელი ადამიანებია სვანები, ამიტომაც არ აკლიათ მათ სამყაროსეული სიწმინდე და მზის სხივმოსილება. მტრისგან დაუმორჩილებელი წმიდა გიორგისეული ხალხია სვანები. — წმიდანის მართალი სიტყვა იყო ბეჭედი, ასეთი გახლდათ დახასიათება შინაგანად მტკიცე და გულადი სვანების მიმართ...

ქრისტიანული და არაამქვეყნიური, ზემადლმოსილი საოცარი მოვლენები ხდებოდა იბერიის მრავალცივილიზაციაგამოვლილ წმიდა ქალაქში...

ამ დიდსა და ისტორიულ დღეს, წმიდა ნინოს გრძელი, სადღესასწაულო, შავისკენ მიდრეკილი შინდისფერი კაბა ეცვა და თავისი მარად განუყრელი ვაზის ჯვარი ეპყრა ხელთ. მუქი ცისფერი მანდილი ჭიდროდ შეეკრა და შუბლზე იდუმალ ქრისტიანულ სათხოების ხაზს ხატავდა (ერთ-ერთი მონაზონი განუყრელად წმიდანის გვერდით ტრიალებდა). ზღვა ხალხში, როგორც მზე ციურ თანამგზავრ სხეულებში, ისე მკვეთრად გამოიჩინდა (შესვენების დროს ამ სახით გამოიყრებოდა).

დიდი და პატარა წმიდანს სიყვარულისა და იმედის კეთილი თვალით მისჩერებოდა. ახალთახალ, შავი ატლასის კაბებში და მანდილ-მოსასხამებში გამოწყბილი სანდომიანი სახის სულიერი დები ნეტარი ღიმილით ეგებებოდნენ ხალხს, მოკრძალებით გვერდს უმშვენებდნენ წმიდა ნინოს და სადღესასწაულო გარემოც ზეციურად შეივსო მათგან.

წმიდა მირიან მეფეს და წმიდა ნანა დედოფალს მოახსენეს, წმიდა ნინოს დიდი საერთაშორისო ნათლობა აქვს დღესო. რამდენიმე დღის წინ, ოფიციალურად გაფრთხილებული იყვნენ, მაგრამ სამეფო ოჯახის თავიდან შეხსენება აუცილებლად ჩათვალეს. ეამა ეს ყოველივე მეფებატონს და არმაზის მთებისკენ ღიმილით გაექცა თვალი.

არნახული სანდომიანი სიკეთით, სიყვარულით

და ღვთიური სულით დამშვენდა იბერიის უძველესი დედაქალაქი — მცხეთა, შორეული ისტორიის თითქმის უმნიშვნელო, დაღლილ-გახუნებული კადრებილა დაფარულატებდა უხილავი.

ამდაგვარი სახალხო ზემი მცხეთას ჯერ არ ასოვდა, მისი მისტიკური ფონი მხოლოდ რწმენა, სიყვარული, სიკეთე და უზომო იმედით სავსე სიხარული იყო. კოსმოსური სხივძალა მოფენილი და რელიეფურად ჩაზნექილი მითოლოგიური ქალაქი ზეციური მადლით ივსებოდა.

კონსტანტინოპოლელი ხანში შესული ბერძენი ეპისკოპოსი, ასურელი მღვდელი და ბიჭვინთელი აფხაზი არქიმანდრიტი, თავიანთი მხლებლებით, მცხეთას უკვე ჩამოსულიყვნენ. მეფის სასახლის მისაღებ დარბაზში სტუმრები ლირსეულად მიიღეს და მათ შორის რჩეული დელეგაციი უცხოელებთან ერთად. შემდეგ თბილ განწყობილებისანი ტრაპეზი გაიმართა მხიარული, მაგრამ სიტყვაძუნწობა შეიმჩნეოდა. შუადლისას მეფე — წმიდა მირიანი და წმიდა ნანა დედოფალი, სტუმრებთან ერთად, წმიდა ნინოს ესტუმრნენ. მასობრივი ნათლობა მიმდინარეობდა, ღვთივმადლიანი. დიდი პატივით და მოწინებით შეხვდნენ წმიდა ნინოს. წმიდანმაც არ დაიშურა დიადური მიმართვა, მეგობრული ურთიერთმოკითხვა და მხურვალელოცვა-უკრთხევა. ფეხზე იდგა დიდი და პატარა. მერმე წმიდანმა გამოაცხადა ნათლობისშემდგომი მსვლელობა და მეფის ოჯახი — მაღალი ღირსების სტუმრებით, ერი და ბერ-მონაზვნები მდინარე მტკიცრისაკენ დაიძრნენ. შებინდებამდე ჯერ არნახული, გაუგონარი და წარმოუდგენელი სულიერი ფორმისა და ხასიათის ნათლობა მიმდინარეობდა.

ცალკე, მდინარე მტკიცრის მოხერხებულ ნაპირთან, კონსტანტინეპოლელი ეპისკოპოსი, ბიჭვინთელი არქიმანდრიტი და ასურელი მღვდელი შეუსვენებლივ ნათლავდნენ ნებისმიერს — რიგით მომდგარს.

მდინარის დინების დასავლეთით, ხალხიდან მოშორებით, დაახლოებით ორასი მეტრის ზევით, ახალგაზრდა მოძღვარს, იერუსალიმიდან ჩამობრძანებული, დიდი ვერცხლის ჯვარი ეკავა და ხალხის ნათლობისას სუფთა წყალში აბანავებდა, ხან ჩაყვინთავდა, ზოგჯერ იქით-აქეთ კალმაზივით აცურავებდა და აგრერიგად, საგულდაგულოდ ნაკურთხი მდინარე ლაღად მოედინებოდა, ხალხისთვის მოჰკონდა სისარული, სიკეთე, მადლი და ჭეშმარიტი რწმენა.

დღეს ნებაყოფლობით ინათლებოდნენ, სამხრეთაღმოსავლეთის ქვეყნების ქრისტიანობაზე შემდგარი, უკეთილშობილესი ადამიანები.

შორეული, მრავლისმეტყველი დუმილით იმზირებოდა ოდნავ მოღუმული არმაზის მთა. დედა წმიდანმა, მცხეთის მთელ ლეგენდარულ სივრცე-გარემოს ჯვარი გადასახა, ჩაფიქრებულმა და შეუმჩნევლად მტკიცედ შებლშეკრულმა.

შევიდი, სავსე მთვარე აღმოსავლეთიდან ამოცურდა საუკუნეების წინ მაცხოვრისგან ნათლობამიღებული. ლამით, გარკვეულ დრომდე, წმიდა მირიან მეფის სასახლეში დიდი ტრაპეზი გაიმართა, ხოლო ეკლესიის ეზოში, სადაც კოლხეთის ქვეყნის სტუმრები იყვნენ დაბანაკებული მოეწოდ.

პრძენმა ნინომ, სამეფო სუფრაზე, მაღალი ღმერთი, ღვთისმშობელი და ანგელოზები დალოცა; მოისენია მაცხოვრის საფლავი, მცხეთაში სვეტიცხოველთან დაფლული კვართი, მოციქულები, წმიდანები, მსოფლიოს მართლმადიდებლურ ეკლესიათა საჭეთ მცყრობელნი, შემდეგ ეპისკოპოსები და სამღვდელო





ნმ. ნინო. ხატმწერი რეზო ადამია

პირნი, უცხოეთიდან ჩამოსული, აგრეთვე ბიჭვინთელი ეპისკოპოსი, უჯარმისა, მცხეთისა და ფაზისისა... შემდგომ წმიდა მეფე-დედოფალი, ერთმორწმუნე იმპერატორი ბიზანტიისა უგანათლებულესი და უკეთილშობილესი დედოფლით; სტუმრები და, როგორც მოგახსენეთ, სამღვდელოება, მრევლი, დღევანდელი ნათლობამიღებული, ჩამოსულები კოლხეთისა და სომხეთის სახელმწიფოებიდან და, შემდგომ ამისა, მეფეს თხოვნით მიმართა: — მომეცით უფლება, მეფეო, ან კი დასავლეთელ, ზღვისპირელ სტუმრებს შევუერთდე და დავლოცო.

ლირსი დედა ნინო სულიერი დებით და მოძღვრებით რომ გამოჩნდა ეკლესის ეზოში, სიხარულით ცას ეწია ხალხი. გაიხარა ორივე მხარემ.

არაფერი უკვირდა მაცხოვარს, მხოლოდ დინჯად — დვთიურად ადიდებდა მოციქულთა სწორს წმიდა ქალწულ ნინოს...

არქიმანდრიტი ბიჭვინთიდან მორიდებით ეახლა წმიდა ნინოს და მოახსენა: — სულანთებული მოგელიან, დედაო, დიოსკურიაში, არქეოპოლისში, ფაზისში, უძველესა და დიდ ქალაქებში კოლხეთისა ქრისტიანი აფხაზები, ეგრისელები, ლაზები და სვანები. ყოველი მათგანი თქვენეული და უფლისმიერი მადლის მოლოდინში გახლავან. ასევე, წმიდანო, თქვენთვის ღია იქნება ქადაგებისთვის ფაზისის აკადემიის აუდიტორია-კათედრალები.

— მადლობას ვწირავ ყველას და მომავალში ძალიან მინდა, სულიერო ძმაო, უფლის ნებით ჩავიდე კოლხეთში — ჩემი კაბადოკიის უახლოეს ნათესაურ ქვეყანაში და ვიქადაგო იესო ქრისტე-მხსნელის ცათა და მინათა მაამებელი მოძღვრება, თუ ტანის სიმრთელე შემინყო ხელი. ხოლო ჩემი ლოცვა და სიყვარული

მათდამი უსაზღვროა მოძღვარო და ყოვლად მიეგებოს სიკეთით სავსე ხალხს...

წმიდა ნინო კაბადოკიელის სამარადისო განსასვენებელი და ქრისტიანული წმიდა საძვალე — ბოდბე, რომელიც წმიდანის ცხოვრების და მოღვაწეობის ჰერიოდში ჯანსაღ ადამიანთა საცხოვრებელ სივრცეს წარმოადგენდა, სამეფო ქალაქის, უჯარმის შემდგომ, მრავალმხრივ წარმატებული და ზნეობრივად მაღალი კახელებით ყოფილა დასახლებული. აქედან გამომდინარე, მოციქულთასწორი ბოდბეს წმიდა ქრისტიანულ ადგილად მიიჩნევდა, მაგრამ დამაღონებელია, რომ წმიდა ნინოსულ ბოდბეში გამეტებით აქტიურობდნენ შორეული სოფლებიდან და ქალაქებიდან მტრულად შემოლწეული უტეხი და ჭეშმარიტრწმენაშეუვალი წარმართები. მათი უკიდურესად გაბოროტებისას წმიდა ნინოს ძალაუნებურად, პირადი უსაფრთხოებისთვის, უკაცრიელ ტყეში უხდებოდა გახიზვნა. ასეთ დროს წმიდანს მხეცების, ქვენარმავლებისა და მტაცებელი ფრინველების შიში არ ჰქონდა. უფრო იმ ადამიანებს გაურბოდა, რომელიც უაზრო წარმართული ფანატიზმით იყვნენ შეპყრობილნი. ხოლო რელიგიური უკუღმართობით დასხეულებულთა განცურნებას გარევული დრო უნდოდა, ზოგჯერ ხანგრძლივი. მათგან დევნილ წმიდანს თვეობით უხდებოდა მაყვლოვანის ხმირ და მჭიდროტოტებიან ბუჩქებში მშვიდი ლოცვებით კოლხური ხოხობივით ფრთხილი განმარტოება. წმიდა ნინო როგორც კი მაყვლოვანში გადავიდოდა, მაშინვე ქრისტიანები ხმას გაავრცელებდნენ წარმართების გასაგონად, წმიდა ნინო იერუსალიმს გაემგზავრაო, ან კაბადოკიაშიაო — თავის სამშობლოში. ასე გააზრებული დრო ბოროტებას ადუნებდა ან იდუმალი ხერხებით კურნავდა...

იგავმიუნვდომელი ნინოს ამდაგვარი მოღვაწეობის ყოველი დაძაბული დღე იბერია-კოლხეთის გაქრისტიანების მძიმე წარსულის მოგონებებად ყალიბდებოდა. მოციქულთასწორის მოწამეობრივი ცხოვრების ლეგენდადექცეულმა ისტორიაში უნაკლო სხივოსნობით ჩვენამდე მოაღწია და უკეთილშობილეს წმიდა ნინო კაბადოკიელზე შეიქმნა სახარებისეული მითები და ლეგენდები ქრისტიანული ურთულესი პერიოდის ისტორიანისა, რომელიც ოთხი სახარებასავით მართალი და ცხოვრებისეულია.

სარწმუნოების მასწავლებელი კეთილ განმანათლებლად ჩამოპრიანდა კაბადოკია-ისრაელიდან; უფლის და ღვთისმშობლის დავალებით ჩამოასვენა ქრისტიანული მოძღვრება ღვთიური კანონებით და სამყაროსეული პროგრესით შექმნა სრულიად ახალი იბერიულ-კოლხური ქრისტიანული ცივილიზაცია...

ჩვენკენ მოწეულ დროში უფლის, მარიამ ღვთისმშობლის, ანგელოზების, მოციქულების და წმიდა ნინოს მოწმუნეთა საფიცარ ბოდბეში, წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის სიმყუდროვეში მომხდარა საკვირველი შემთხვევა. საღამოს წირვის შემდეგ, როდესაც ეკლესიის კარი იკეტებოდა, ღრმად მოწმუნე თორმეტი წლის გოგონა მიმაღლულა წმიდანის საფლავის მარმარილოს ქვის სვეტთან. უერთგულეს ნორჩ მრევლს კოჭებამდე თეთრი კაბა ეცვა, ლურჯი ფერის ფეხსაცმელები და თოვლივით ქათქათა თავსაბურავი ეხურა. ულამაზესი და სათონ სახისა გახლდათ კეთილმოწმუნე, სევდიანი ფართო თაფლისფერი თვალე-





ბით, ფერმურთალი-ვარდისფერშეპარული პირისახით, მრგვალი, ღიმილნარევი ტუჩებით, ოდნავ ბოლოებდახრილი მკვეთრი ნარბებით და ხშირომანი სქელი წაბლისფერი ნაწნავებით. ამდაგვარად ქმნილ ჯანსაღ სხეულში ქრისტიანული უნაზესი სული ჩასახულიყო. ლამით, ნეტარ ნინოს განსასვენებელ ეკვდერს ვიწრო, რკინის მილებჩაყოლებული სარკმლიდან მთვარის ვერცხლისფერი მშვიდი შუქი ანათებდა. ზოგჯერ, უმთვარობისას, ვარსკვლავმრავალი ცის მცირე ნათება ეფინებოდა იქაურობას. ხოლო ბნელ, ღრუბლიან თუ ავდრიან ამინდში წმიდანის საფლავი თავადვე ასხივებდა კოსმოსური იდუმალებით და სარკოფაგიდან სრულიად განსხვავებული შუქი ამოდიოდა. ამ გარემოში განმარტოებული და ბედნიერი გოგონა, მიწიერ სისრულეს მოწყვეტილი და სულგამეტებული, საათობით ლოცულობდა, ცრემლებს დვრიდა და თვალთაგან ნაწვიმარ-ცრემლივე დამბალი თეთრი აპრეშუმის მატერიით საფლავის მარმარილოს ზედაპირს მოფერებით ბანდა, ეფუსფუსებოდა და ჩუმად ქვითინებდა. მეორე მშრალი მატერიით კი აშრობდა, ასუფთავებდა და ასე მეორდებოდა გათენებამდე. ზოგჯერ დაღლილსა და კედელზე მიყრდნობილს წუთიერად ჩაეძინებოდა და ჩალისფერფრთიანი, ნათელი ცისფერი ანგელოზები ეცხადებოდნენ, ირგვლივ ზეციური უნაზესი გალობით რომ დაფრინავდნენ.

მეორე დღეს, დილით, როგორც კი ეკლესის კარი გაიღო, გოგონა მშვიდი ნიავივით უჩუმრად გამოვიდა, შემდეგ საყრდის დარბაზში მაცხოვრის ოქროსფერ ხატთან დიდხანს იდგა და მდუმარედ ლოცულობდა ფერმკრთალი, თვალებჩანითლებული, თეთრი თავსაბურავით დაფარული. მოწინებით წმიდა ხატს ემთხვია, პირჯვარი გადაიწერა, დალილ-დაქანცული საყდრიდან თავდახრილი გავიდა და სახლისაკენ მიმავალ გზას დინჯად გაუყვა. მშობლებს ეგონათ, წუხელ ლამე თავის გათხოვილ დასთან დარჩაო, რადგან ხშირი იყო ასეთი შემთხვევა. შვილის მიერ მათი გაუფრთხილებლობა ფარულ ეჭვებს კი ბადებდა, მაგრამ ამდაგვარი მოვლენა ისევ რომ განმეორდა, რწმენაატაცებული პატარა თავად მოეგო გონს და დედას გულწრფელად გაუმხილა ყველაფერი. კეთილი და ღრმად მორწმუნე მშობელი თავის ასულს მორჩილებით უნახავდა უცნაურ საიდუმლოს, რომლის უკან ნერვული და ეკლესის მკაცრკანონებასხმული პრობლემები იდგა... მერმე დედამ თბილად და მოზომილად დაარიგა შვილი, ან კი მაგრე არ გააკეთო, გეთაყვა და ეკლესის წეს-კანონს ნუ დაარღვევ, წმიდა ნინოსთან დღე ილოცე რამდენიც გენებოსო. თავდახრილი გოგონა დუმდა და ყურადღებით უსმენდა. ამოუხსნელი იყო ნორჩი მრევლის ასეთი მოქმედება, რადგან ვერავინ დაადგენდა, თუ რა ზომის და ფორმის სიყვარულიდან მოდიოდა ყოველივე. მინიშნებითი სახელის დარქმევაც გაჭირდებოდა, მინიერი იყო თუ თავისუფალ-სამყაროსეული, რომელიც თავისი უხილაობით ყველგან გამავალია და ყოვლისმომცველი...

რწმენა და სიყვარული უფალზე, ღვთისმშობელზე, ანგელოზებზე, მოციქულებზე, მოციქულთა სწორზე და წმიდანებზე გულმართალ შენირვას საჭიროებს...

ხშირად უფიქრია ღრმად მორწმუნე გოგონას, ეს ცოდვით სავსე ქვეყანა და მისი დაუნდობლობა რომ არა, ხომ არ აჯობებდა ლია ცის ქვეშ ყოფილიყო წმიდა ასულის საფლავი; თავისუფლებაში, როგორც წმიდა მატათას, წმიდა დავით აღმაშენებლის, წმიდა თამარ მეფის, რომლის ადგილმდებარეობის საიდუმლოება მხოლოდ ზეცამ და მიწამ იცის. ლია ცისქვეშეთში განსვენება ხომ პირდაპირკავშირშია ვარსკვლავეთთან,

დამლამობით ფერადი ციური სხეულები რომ დაათოვს, დღისით მზე მცხუნვარე სხივებით განბანს. მთვარე ალერსით სასთუმალთან როს დაუჯდება, ფრინველები, ცხოველებიც მოინახულებენ მის საფლავს. მერმე, გაზაფხულის წვიმა, ზაფხულის, შემოდგომის, ზამთრის თეთრი თოვლის მისტიკური საფარი და ანენილი ქარის ხეტიალი. ეს ხომ წმიდანის პირველადი, სიყმანვილის იბერიაა და მომავალშიც, ათასობით წელს, მხოლოდ ამ სახით უნდა იცხოვროს, დღევანდელი სრულიად იბერია-კოლხეთის მიწასთან ერთად, უთურდ მწყემსი კეთილის სულიც ამ აზრისა იქნება — ფიქრობდა გოგონა, მაგრამ ცოდვილიანობას და უღმერთობას რა შეაჩერებს. აბა, ნახეთ, ბოროტაგან დავით გარეჯის თვალებდათხრილი ფრესკები... ალბათ, სიფრთხილისავის ასე ჯობიაო, ამ დასკვნამდე მიდიოდა ჭვევიანი ქალწული. მათი — უბოროტესთა შიშით პლანეტაც შესაფუთი არ გაგვიხდეს ხოლმეო... შემდეგ, წმიდა ნინოს ჯვრის ფორმის ჯვარი უბიდან ამოაბრძანა და სამჯერ ემთხვია...

ღმერთის, ღვთისმშობლის, მთავარანგელოზების, მოციქულების, მოციქულთასწორის, წმიდანების და ეკლესიის სულიერი სიყვარული ქრისტიანულ წესრიგს, ზეობრივ ქმედებას, სრულ გამშედაობას და თავდადებასაც მოითხოვს...

ეფემია ერქვა თურმე იმ ღვთისნიერ ბავშვს. გარკვეული წლების შემდგომ, გოგონა რომ წამოიზარდა, რელიგიურად განათლებული და ეკლესიურად მოწიფული, ბოდეს წმიდა ნინოს სახელობის დედათა მონასტერში მონაზვნად აღუკვეციათ და მისთვის დედა ნინო დაურქმევიათ...

* * *

უფალი, ღვთიურ სიყვარულზე აღმოცენებულ იდუმალებამოსილ, უცნაურ მოქმედებებს კანონიერად მიიჩნევს, გამორჩეულად მოვლენილთ პატიობს და ნდობით მიუტევებს...

ქვეყნად დიდი რიდი და შიში კი ჰქონდათ ისევ აღმდგარ წარმართებს და შზის თაყვანისმცემლებს, მაგრამ მათი დაჯგუფება საფრთხეს წარმოადგენდა წმიდა ნინოსთვის. სიფრთხილე მართებდათ წმიდანს, მის დებს, მღვდლებს, ასევე ერთგულ მრევლს, ამიტომ მერამდენედ აუცილებელი შეიქნა წმიდანი დროებით გაუვალ ტყეს შეფარებოდა, იგი ერთ-ერთ ღვთივკურთხეულ მაყვლოვანში დაბინავდა და ყოველ ქრისტიანულ ლოცვას თუ დღესასწაულს იქ იხდიდა, იქიდანვე უგზავნიდა საიდუმლო მითითებებს მცხეთის, უჯარმისა და ბოდის მოძღვართ და მრევლს.

ზამთარი დგებოდა, სუსხიანი ამინდები სირთულებს ქმიდა. ცხოველები და ფრინველებიც აუცილებელ სამზადისში იყვნენ, ზოგი ბუნაგს იმზადებდა, ქვენარმავლები მინისქვეშა ხვრელებს ავლებდნენ, ფრინველებსაც ჰქონდათ თავიანთი საზრუნავი — ბუდეების მონესრიგება. თანამდგომებს წმიდა დედასთანაც მოჰქონდათ ცხვრის, დათვისა და ხდოს ტყავები, აუცილებელი სამზადისი აქაც იყო საჭირო. წმიდანს უხეში ბენვისგან დამზადებული კილიკი ეცვა, რომელიც მხოლოდ ასკეტებს ემოსათ... მერმე გაუკარესდა ამინდი — ქარი, თოვლჭყაპი და წმიდანი ავად გაუხდა მისგან ხსნილ ქვეყანას. სულიერ დებს საიდუმლო ბილიკებით მოჰქონდათ თაფლი, სხვადასხვა საჭმელი, სასმელად — წყაროს წყალი. ღვთისმშობლის დობილმოსწავლება, მაყვლოვანის ახლოს, მწვანე ფოთლებს კრეფდა, რჩეული ბალახის ძირებს მოიპოვებდა, შემდგომ მოცისფრო ქვის ჩაღმავებულ მასაში მოგრძო, თეთრი ქვასანაყით სრესდა, გულმოდგინედ დაამუშავა





ვებდა და მათ ნაყენს მიირთმევდა. ნელ-ნელა გამომჯობინდა, მაგრამ დაძაბული სიტუაციის გამო, წმიდანის სოფელში დაბრუნების იმედები არ ჩანდა.

უკვე გართულებულ დროს, მისი მდგომარეობის შესახებ, ხმა მიაწვდინეს წმიდა მირიან მეფეს. იბერიის მბრძანებელი ააღლვა ამ ამბავმა და იმ დღესვე სალომე უჯარმელს, — მიიღე სასწრაფო ზომებიო, — შეუთვალა. მეფემ იხმო თავისი სარდალი, მხნე, დევივით ვაჟუაცი და მისცა განკარგულება, დაუყოვნებლივ გაეყვანა ლაშქარი და მთლიანად ბოდბისა და უჯარმის მიდამოები მშვიდობიანი სვლით დაეთვალიერებინა. და თუ შენიშნავდნენ წარმართებს ან საეჭვო ადამიანებს, გამოეძიებინათ, სამეფო კანონის მეოხებით დასასჯელი დაესაჯათ, ზოგნი კი, უფრო მცირედ სანდონი, ქრისტეს რჯულზე მოექციათ, თუ არადა განედევნათ ქვეყნიდან; შემდგომ, საიმედოდ მოწესრიგებულ და უკეთურებისგან განმენდილ სოფელ ბოდბები დაებრუნებინათ მხოლოდ სალომე უჯარმელის თაოსნობით, რომელიც იყო წმიდა ნინოს უახლოესი მეგობარი და ერთმორწმუნე მემატიანე.

მაყვლოვანის დაცულ სამალავში ყოფნისას, მცხეთის გარეუბანში იქნებოდა წმიდანი თუ ბოდბის გაუვალ ტყეებში, ყოველმხრივ შესწავლილი საიდუმლო ბილიკებით მოსულ, სანოვაგით დატვირთულ უერთგულეს დებს, გარკვეული დროით თავისას აჩერებდა. სულიერად ბედნიერი, წმიდა მასწავლებლის ქადაგებებს უსმენდნენ და ლოცვებში ატარებდნენ დღესა და ლამეს... წმიდანი იესო ქრისტეს შობის ისტორიის სცენებს ცვებოდა გაუთავებლად და მისი მოსმენა არასოდეს იყო მოსაწყენი, ისე, როგორც მადლომოსილი ხატის ყურება და ლოცვა. მეხსიერებით კითხულობდა, ბეთლემის გამოქაბულის ბაგაში გადამალულები, როგორი შიშით, ხიფათით და განცდებით ცხოვრობდნენ ყრმა იესო, მარიამ დვთისმშობელი და გამზრდელი წმიდა იოსები. წმიდანს თავისი ხავერდოვანი, დინჯი ხმით და მოკლე პაუზებით, წმიდა ოჯახთან ანგელოზთა საოცრება სტუმრობაზე უსასრულოდ შეეძლო საუბარი. შემდგომ ფართოდ თვალებგახელილი, ქადაგების დონეზე, თითქოს ეტრატს კითხულობს, მოგვთა მოსვლაზე და თაყვანისცემაზე საუბრობდა — მათ გაოგნებაზე, როცა იხილეს თეთრ ზენაზე მწოლიარე, ლალად მოტიტინე შიშველი — ყრმა იესო, გამთენის ვარსკვლავივით შუქს რომ გამოსცემდა. სანუკველი საოცრების ხილვით მოგვებს სუნთქვა შეეკრათ, მარჯვენა მაჯით თვალთ აიფარეს თურმე და ტანთ წარმტაცი ურუანტელი შეეყარათო... ბიბლიურ თემებზე საუბრით, სულიერი დები ლამებს ათენებდნენ. ყოველდღე შვიდი ლოცვა ხომ მტკიცე კანონი იყო. წმიდა ნინო მგზნებარედ უამბობდა ყველას თორმეტ მოციქულთა მოწამეობრივ მოღვაწეობაზე და მაცხოვრის სასწაულებით შემკულ სწავლებაზე. წმიდანი შუალამბით წმიდა გიორგის მოწამეობრივ ცხოვრებას თვალცრემლიანი იხსენებდა და ბოლოს, დაჩიქილი ლოცვებს ალავლენდა... კეთილი წმიდანიშვილი ხშირად იგონებდა დედას — წმიდა სოსანას და გმირ მამას — წმიდა ზაბილონს, დიდ მოწამეს, რომელიც შორეულ უდაბნოში ასკეტურ ბერად ალკვეცილი, ლოცვით და უფლის სიყვარულით, მინის უკაცრიელ ზედაპირზე გამქრალ-დაკარგულიყო. ამ დროს ლაპარაკს შეწყვეტდა მარად კეთილი ნინო და გულშეღონებულივით, მიწაზე დაყრილი გამხმარი ბალახის საწოლზე, თავდალმა დაწოლილს მიეძინებოდა და შემდეგი — რიგით ლოცვის უამადე უძრავად იწვა. მათში (დებში) კი დუმილი ჩამოვარდებოდა, მშვიდი... ტყის უკუნეთ ლამეს, პატარა, ერთ დროს წითელ-

ღვინოჩანაყენებ ქვევრში ჩასახლებული, ანთებული სანთელი უთენიამდე წმიდა სულთა და ანგელოზთა მომხმობად ბჟუტავდა. მაშინ, მაყვლოვანი უკვე წარმოადგენდა, ღია ცის ქვეშ ბრძენ და კეთილ ნინოს მიერ დაარსებულ მცირე სასულიერო არქაულ და ისტორიულ აკადემიას, რომელიც ღვთიური სიყვარულის მხურვალე ცრემლით გახლდათ განბანილი...

ცალთვალა, ხელფეხდამტვრული, ბოლმაავსილი ეშმაკი, ქვეყნად კოჭლობით დაეთრეოდა...

დედამიწაზე ადამიანები, პირველყოფილი ცხოვრების განვითარებიდან მოყოლებული, ველური აზროვნებით და ცხოველური ინსტინქტებით ატარებდნენ წუთისოფელს. დღენიადაგ შესციცინებდნენ ცას და შიშით ეგებებოდნენ ბუნების და სტიქიის მკაცრ მოვლენებს; აკვირვებდათ ვარსკვლავთ მოქცევა და სიმრავლე, მზის უძლიერესი მოქმედების უსასრულობა და მთვარის სიმშვიდე. ინსტინქტურად, პირდაპირი აღმით თუ ბრმა გონებით იწამეს ციური სხეულები და შიშით დაუჩრიქეს მათ... შემდგომ ათასწლეულებში თანდათან მწიფდებოდა ადამიანის გონებრივი შეგნება და სამყაროს უფალი აჩვევდა აზროვნებას. მაგ მხრივ რთული და შორი გზა გაიარა ბუნების ტყვემ. იმ დროისათვის, ღვთიური სწავლება, ზნეობა და შეგნება სრულყოფილად რომ გამოეგზავნა ღმერთს, უშედეგო იქნებოდა. არადა, დემონური და ტარტაროზული სარწმუნობით იტანჯებოდა ადამის მოდგმა. დრო მიდიოდა, ადამიანის გონებისა და შეგნების პოტენციალი თითქოსდა ამაღლდა და მაცხოვრის შობით აღმობრნყინდა ზნეობის, სიკეთისა და ჭეშმარიტი აზროვნების უზარმაზარი მზე... მაინც ვერ გაუგეს და ყრმობიდანვე მოსაკლავად დასდევდნენ მხსნელ იესოს. მერმე მოწიფულმა მაცხოვარმა, თავისი ღვთიური სიკეთით და სწავლებით, თითქოსდა სულიერად შეარბილა ველური პლანეტა, მაგრამ ურთულესი ტრაგიკული პროცესების გავლა აუცილებელი იყო და იესო ქრისტე სიკეთისთვის, მაღალი ზნეობისთვის და ჭეშმარიტი სიყვარულისთვის ჯერ ანამეს სასტიკად და მერე სასიკვდილოდ ჯვარს აცვეს (ზუთუ, მაშინაც რთული იყო მაღალი სიყვარულის და სიკეთის ჩანვდომა?!). მოხდა სასწაული: მაცხოვრის უკიდურესად დასჯამ და ჯვარცმამ გონება გაუხსნა ადამის მოდგმას და მას შემდეგ მორჩილად მიდიან უფალთან. იწამეს, ისწავლეს, მოღვაწეობენ და ქმნიან, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ გაექცნენ ბოროტებას, პირველყოფილ შხამიან ველურობას. დედამიწაზე კვლავინდებურად ომები და მკვლელობებია, ათი მცნება მათვის კარგავს ღვთიურ გავლენას, ის ხომ არაძალდა (უნდა იყოს), მაგრამ აუცილებელია უფრო მკაფიოდ წინ წამოწევა. შესაძლებელია, საჭიროც იყოს, ისევ ჯვარცმისმაგვარი შენირვა ადამიანთა გონის კვლავინდებურად გამოღვიძება-განწმენდისათვის. არა, რა თქმა უნდა, ჯვარცმა მეორედ არ მოხდება. მომავალ ათასწლეულებში, ღვთის უსაზღვრო წარმოსახვებიდან გამომდინარე, როგორი ფორმის და შინაარსის უმთავრესი შენირვა ჩამოგვივა, ადამიანის მაღალი ფანტაზითაც შეუცნობელია: მოსალოდნელი პროცესების მერმე ისევ აღორძინდება კაცობრიობის გონება და შედარებით განახლებულ ღვთის რწმენას დაუბრუნდება... ეს უდიდესი საკაცობრიო მისია ისევ ქრისტიანობამ უნდა ითავოს და წრიული მოძრაობის, ჩვენი გონებისთვის მიუწვდომელი მოქმედების მართვაში



გარკვეულ მონაწილეობასაც იღებდეს. რატომ არ და-ვუჯერო იმ მეცნიერს, რომელიც მომავალში გამოიკვლევს და ფასდაუდებელ ნაშრომს დაწერს, რომ სული — უმძლავრესი ნიჭის, გონების, გულის და ნერგის უმთავრეს ნიშან-თვისებებს ზეცაში თან გაიყოლებს სრული ჰარმონით. არა მგონია, ამათგან გაძარცული მარტოხელა სული სამყაროში აღიოდეს — უთუოდ მასვე მიჰყვება პიროვნების მთელი ადამიანური შინაგანი უმდიდრესი განძი. ისინი ხომ მინას არ სჭირდება. დედამიწა თავადაა უზარმაზარი სიცოცხლის, უცნაური და ტლანქი სიკეთის სულიერების პლანეტა და ყოველმხრივ სარწმუნოა, რომ ზეცას ცარიელ სულს არ უგზავნის.

მინას მხოლოდ ადამიანის საცოდავი ფერფლი სჭირდება, მისივე სხეულის მარადიული ნაწილი და უნაკლოდ იძრუნებს კიდევაც. დანარჩენი? ჩემი ვარაუდით, გარე კოსმოსურია.

თანამედროვე რელიგიის იდუმალი განვითარების ევოლუციაა საჭირო?! მაგრამ ამჟამად, სულიერ სამყაროში, ზნეობრივი წამყვანი ზე-გენია-წმიდანები არ ჩანან, ან შეუმჩნეველია ჩვენთვის?! არა მგონია!..

ჩვენს ეპოქას მოედო სარწმუნოებრივი დაქუცმა-ცება-განცალკევება და არა ერთიანი სვლა ღვთიური რწმენა-პროგრესისკენ. არასასურველი რელიგიური ექსპერიმენტებია ირგვლივ წარმართობისმაგვარი. კვ-ლავინდებურად სამყაროს უმდიდრესი ფონდებიდან, ღვთიური გონებრიობა და ზნე უნდა ჩამოგვეგზავნოს, რათა დიდი ხნით ისევ განვახლდეთ და ჩვენთან ერთად მთლიანი პლანეტაც...

ყოველი ჩვენგანის კეთილდღეობისათვის აუცილებელია „ათი მცნების“ წინ წამოწევა. მარადებუმს უნდა ველოდოთ ღვთიურ სიახლებს და პლანეტა-რიუმის ზეციური მოტივების მოულოდნელობებს. უცვლელი კანონია, რომ ადამიანი ქვეყნიერების მხსნელის წინაშე მარად გამოცდის მდგომარეობაშია...

განუწყვეტლივ უნდა ვილოცოთ და ვიოცნებოთ, რომ წმიდა ნინოს დონის მოციქულთსწორი ისევ გამოგვეცხადოს...

რელიგიამ, კერძოდ ქრისტიანობამ თუ არ უშველა ქვეყანას, ურწმუნო და მცირედ მორწმუნე ადამიანებმა აგერ-აგერ გახეხეს პლანეტა და შედეგად ამოხეთ-ქილი უბედურების ცხელი ლავა დიდ კატასტროფას გვიქადის...

მხოლოდ იესო ქრისტეს მიმდევართ და უნაკლოდ მიმბაძველთ (დადებითი გაგებით) ძალურთ ქვეყნის ჭეშმარიტი სულიერ-გონებრივი აღორძინება.

ღირსი წმიდა ნინო ამ მცნების უთვალსაჩინოესი ღვთიური მაგალითია...

დედა წმიდანის მოციქულეობრივი ცხოვრების აღწერისას, აზრთშერწყმული სულმართლობით მოვიახლოვე დიდი ანა კალანდაძის ლექსი წმიდა ნინოზე, შედეგად ამისა კი ვერ ვუძალიანდები შემოქმედების ზეციურ ძალთა მოწოდას, რომელსაც აღფრთოვანებით განვიცდი უდიდესი მოაზროვნე მნერლის გრიგოლ რობაქიძის გულწრფელი გამონათქვამებიდან, მოციქულთა სწორზე, მოკრძალებით რომ ბრძანებს...

„გრძელი თმებით ქარვისარქებიან ლერწებს აესხ-მის მწიფე მტევანი და შენს თვალებში შთაინთქმებიან ჩემი უძირო ღამისთევანი“.


გრძელ რობაქიძის განსხვავებული მისტიკური ღალადი, მავედრებელი ქადაგება-ვედრება დანურული მწიფე ქართული კამკამა უურძნის წვენია — ბადაგი საამო...“

უთუოდ ზნე წყურვილით ვეზიაროთ მას...

„სიტყვისა ღმრთისა მსახურთა თანამოსაგრეო და ანდრიას ქადაგებისა წარმართებაო, ქართველთა გან-მანათლებელო და სულისა წმიდისა ქნარო ნინო, ევედ-რე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათ-ვის. უნათლისმცემლე ცხოვართა გაბნეულთა, ვითარ-ცა მწყემსმან კეთილმან, შეჰკრიბე და მიჰვარე ქართ-ველნი ღმერთსა მართალსა, დედაო, წმიდაო ნინო, ევედრე შვილთა შენთათვის ქრისტესა ღმერთსა“.

ესრე ქადაგებაო! ყოველთა საიმედო... სამომავლო და გადამრჩენელო, ამინ...“

ამდაგვარი ზეციური, წმიდა ნინოსეული ზნეობით და ღვთიური გზით უვლია, სულდგმულობს და ივლის მარადებუმს, ურყევი ზნეობის და რწმენის მართლმა-დიდებელი, უძველესი დროის იბერია-კოლხეთი და ღლევანდელი სრულიად საქართველო.




პოეტია



ვასილ პოსტაშვილი

26

გარუშისძე



პოეტია



ცხრაას სამოცდაცხრამეტჯერ დაჰკრა,

შეჯარულ ღრუბელთ ელვამ მათრახი...
ბიზანტიაში ჯარები დაძრა,
ბარდამ მზაკვრული გულის კარნახით...

იმპერატორებს ბასილს და კოსტას,
ურჩია დედამ თეოფანიამ:
— „უნდა ვიჩქაროთ, აღარ ლირს მოცდა,
სკლიაროსს ჯარი მოუყვანია...“

სევასტოფორე გავგზავნოთ ათონს,
ვთხოვოთ თორნიკეს მოვიდეს ჩვენსა...
დღეს ბიზანტიას სიკვდილი ათოვს,
ორგული მახვილს ორპირად ლესავს...“

— „მიქმნიეს ერთგზის, არ უკუნ ვიქცე!..“ —
თორნიკემ თავი შორს დაიჭირა...
სევასტოფორე მჯიდს გულზე იცემს,
ცასავით ლამის მანაც იტირა...“

წმიდა მამათა გაჭრა ვედრებამ,
თეოფანიას ეახლა ბერი...
სული ელვარე ვარსკვლავს ედრება,
ლიცლიცებს როცა ათონის ჭერი...“

ძმანი მოწყვეტით დაემხნენ მუხლზე,
თეოფანია ხელთ ეამბორა...
ცას დაეკრიფა ხელები გულზე,
ფედოფლის ცრემლებს სვამდა ამფორა...“

— „ყოველი ჭირი ჩვენი აუწყე,
ქართველთა მეფეს, შევეკვრი ზავით...
სარდალ სკლიაროსს ომი დავუწყე,
თავზე დაგვაცხრა ვითარცა ზვავი...“

თუ განგვაშორეთ ამ ჭირისაგან,
არა გარდავხდე ბრძანებას თქვენსა!..“ —
თქვა და ჩაუწყდა ხმა სიმწრისაგან,
თეოფანიას ბროლივით ყელსა...“

გამოიდარა საქართველოში,
მზედ ამოენთო როცა თორნიკე...
მწუხრი ჩანავლდა მთათა ველობში,
სადაც ავდარი იყო მორიგედ...“

ვრცელი ვედრების ეპისტოლენი,
ქართველთა მეფეს კრძალვით მიართვა...“

გადაეხვივნენ როგორც ტოლებნი,
მეფემ სპასალარს თხოვნით მიმართა:

— „თუ ჩაიბარებ ქართველთ მხედრობას,
მე მოხარული ვიქნები ფრიად...
თეოფანია ახლა მხნედ როა,
ამას ქართველთა იმედი ჰქვია...“

უარზე იდგა მორწმუნე ბერი,
სანამ უფალი წარმოესახა...
ნათლით მოსილი და ულალი წვერით,
მკერდთან ხელებით ჯვარი ესახა...“

წინ მარუშისძე იდგა ხატივით,
თანხმობას სთხოვდა თბილი ლიმილით...
რა რთული იყო და რა მარტივი,
ამ ჯვარის ტვირთვა და სიმძიმილი...“

მაინც იტვირთა ჯოჯიკთან ერთად,
თორმეტი ათას მხედარს წარუძღვა...
მართალი იყო კაცთან და ღმერთთან,
ცამ გამარჯვების ხილვაც აუწყა...“

მძიმე ბრძოლაში დამარცხდა ბარდა,
ბიზანტიიდან შორეთს გაიქცა...
მადლობა უძღვნა ბასილმა ჯართა
და ქართველთათვის მზედ გადაიქცა...“

ერზრუმის ოლქი უბოძა ზავით,
სომხური ოლქი რამოდენიმე,
პოლიტიკური ცხოვრება ყვავის,
ითხოვა ხარჯი ამოდენივე...“

დიდგვაროვანთა შვილნი მოსთხოვა,
ამის სანაცვლოდ ქართველთა მეფეს.
ტყვეთა სიმრავლემ გზაზე მოთოვა,
ცრემლთა ჩანჩქერად გადმოიჩქეფეს...“

* * *

„ვსოუ ესეცა, რომელ შემდგომად
დიდისა მეფისა ვახტანგ გორგასარისა
არავინ გამოჩინებული არს სხუა
მსგავსი მისი დიდებითა და ძალითა
ყოველითა განგებითა“.
მემატიანე

გაერთიანდა ტაო და ქართლი,
ჰერეთ-კახეთი და დასავლეთი...
ივერთა მიწა აივსო მადლით,
სომეხთაც ეპყრათ ქართლის ნაფლეთი...“





თბილისში ისევ იჯდა ამირა,
წვერცანცარა და მრუში არაბი...
ბაგრატ მესამემ გაინაპირა,
აღმზრდელი, მტერთა შიშის მზარავი...

— „ერთიანობა და ძლიერება,
შიშა გვრის საზღვრებს
მოჯარულ მტერსა...
იმარჯვებს ძალით ვინც მოერევა,
ვერ გავექცევით სიმართლეს ვერსად...

იმარჯვებს ვისაც უჭრის გონება
და სწორი გათვლით მიაღწევს მიზანს...
გადაწყვეტს არ ღირს როს დაყოვნება
და საკვირველზე საკვირველს იზამს...

საგონებელში აგდებს კეისარს,
მონარქიული ქვეყნის ერთობა...
საგოდებელი მხოლოდ დღეის არს?!..
ვით კატა თაგვით, ისე ერთობა...

განძიდან მრუდედ გვიმზერს ფადლონი,
აღმზრდელო ჩემო, რამე მირჩიე...
აწიოკებენ ერს უმადლონი,
გზა მათგან ხსნისა ამომირჩიე!..“

დუმილს მოეცვა მეფის ტალანი,
უფლის სახება იდგა სარკმელთან...
მჭიდროდ ეჭირა თითებს ყალამი
და სული კეთილ სურნელს აკმევდა...

უძრავად იყო ერთხანს ლანდივით,
ხატის წინ მდუმარ მლოცველსა ჰგავდა...
ესახებოდა ფიქრი ცხადივით,
მზესავით, აზრთა სიცხოვლე წვავდა...

— „ქართველ-სომეხთა ერთიან ლაშქრით,
უნდა შევიჭრათ ქალაქ შამქორში...
წარმოვიდგინე რა დღესაც ვაყრით,
ჩაუმწარდება ფადლონს ზარხოში...“

დამეთანხმება მეფე სომეხთა,
რომ მტარვალთაგან ახსოვს სიმწარე...
მოსახლეობის აყრა მოხერხდა,
ხოცვა-ულეტა რომ აღარ იკმარეს...“

იოანე რომ მოშორდა სარკმელს,
მეფე წამოდგა, გადაეხვია...
აღმზრდელი უხმოდ მიუხვდა სათქმელს,
არ სურდა გზიდან გადაეხვია...

შეაკაზმვინა მხლებელთ ცხენები,
გაგიკთან ორნი გაიყოლია
და დიალოგის გამოყენებით,
სომეხთა მეფე დაიყოლია...

* * *

ცად აღიმართა ჯვარი მარტვილის,
მარადიული დიდების ღირსი...
ბაგრატიონთა ბასრი მახვილი,
მზედ მოელვარე ტაძარი ხცისის...

გადაპყურებდა რიონს ბაგრატი,
კათედრალი და სული მეფისა...
ამოტვიფრული ქვაში მარადის,
ვაზი სამშობლოს უკვდავებისა...

ნისლში გედივით ჩანდა ბედია,
ახალისებდა ცელქი ზღვაური...
ცივ სილურჯეში უცხოდ ბედიანს,
ლოცვად ესმოდა ტალღის ხმაური...

უნატიფესად კვეთდა ჩუქურთმას,
ხუროდ ქცეული თავად უფალი...
რაჭის სამოთხეს კალთა უკურთხა,
ამღერდა ფიქრი თავისუფალი...

წამოიმართა დინჯად და მშვიდად,
მეფეთა მზერით თბილი გუმბათი...
ამოთავთავდა მზედ ნიკორწმინდა,
თუ ნიკოლოზი აღსდგა სულმნათი....

გაუჩინარება

უფლისციხეში არ დახვდა გვანცა,
გადახვეწა მთაში აბულეთს...
მიჯნურს განგებამ ლახვარი ჩასცა
და გული აღარ ჰქონდა საგულეს...

გამოეკეტა დიდ თავადს ციხე,
გზა-კვალი მისი არვინ იცოდა...
ვაჟი ცივ ლოდზე დაემხო იქვე
და მღელვარების ცეცხლით იწვოდა...

კავკასიონის მაღალ მწვერვალებს,
სვანეთის კოშკთა ჰქონდათ იერი...
ცა ლამპარივით იყო ელვარე,
გვანცას ანარეკლს ჰგავდა იერით...

ეროსის ამბავს ყვებოდა თარი,
ხეთა სამოსელს ძარცვავდა ქარი...



ხევს აყრუებდა ენგური ჩქარი,
და ჭრიალებდა სამოთხის კარი...

ურმის თვალივით ბრუნავდა უამი,
ნისლთა საჯიხვე ზვავს მოელოდა...
ქალწულებრივად მთრთოლარე წამი,
ფსალმუნს გალობდა სამლოცველოდან...

იარებოდა ეული ვაჟი
და გადაკარგულ სატრფოს ეძებდა,
მიაქროლებდა თეთრონი რაში,
იკარგებოდა კლდის წაკეცებთან...

* * *

ჭრელ ფარდაგივით აფენდა სიზმართ,
აცრემლებული თავადის ქალი...
გულის უტყვი ზრახვათ ანდობდა მყინვართ
და ულოკავდა ყვრიმალებს ალი...

მზე შემოდგომის ებრძოდა ქარებს,
ხილვებს, სახეებს, ბობოქარ ფიქრებს...
მოგონებანი რეკავდნენ ზარებს,
ითვლიდნენ დღეთა უკულმართ ციფრებს...

იერს კარგავდნენ კოშკთა ლანდები,
ეფარებოდა კლდეებს უშგული...
უხმოდ ზმუოდნენ ხარნი-ზანტები,
თოვლს განეგმირა ღამის ურჩხული...

ხენი ყვებოდნენ ლეგენდებს, მითებს,
აქებდნენ „ლილეს,“ უფრთხოდნენ მთვარეს...
შიშველ ტოტებით ცა რომ ვერ ზიდეს,
მისაშველებლად მოუხმეს მარეს...

ენატრებოდა აბულეთს სახლი,
ბიზანტიელნი ითხოვდნენ გვანცას...
სვანეთში იდგა სიმაგრე მძახლის
და მძიმე იყო დევნილთა განცდა...

უვლიდნენ ყმანი ზვარს და ნათესებს,
ხეხილთა ბალებს, ფარას და ნახირს...
ვერ მიიღებდნენ მას რაც დათესეს,
ებრძოდათ მტერი, ამინდის სახით...

უფლისციხეში ქალწულის ულაყს,
კაცი არ დარჩა, ვინც გახედნიდა...
მეჯინიბენი განეწყვნენ მტრულად,
მოყვასი მოყვასს დროს აყვედრიდა...

უპატრონობით გაბზარულ ქვევრებს,
სიცივით სავსე წვიმა სტუმრობდა...
კეისრისათვის გაყიდულ მდედრებს,
მრუშობით რყენიდა ჯოგი „კუროთა“...

შრომით და გარჯით დალლილი გლეხი,
წირვისას ცრემლით ანთებდა სანთელს...
ვერ მოიკიდა მამულში ფეხი,
ვერ ისტუმრებდა ვალს გადასახდელს...

შემოდგომის სუსხს ცვლიდა ზამთარი,
უფლისციხელი წამებსაც თვლიდა...
დარს აჭარბებდა თალხით ავდარი,
არწივის მართვე ფრთებს ვეღარ შლიდა...

29



* * *

მიაგელვებდა ცხენს ქარიშხალი,
აღმოსავლეთით ეგონა გვანცა...
გულს ესობოდა ფოლადის ხმალი,
ერისმთავარი მიწაზე დასცა...

ეყვინთებოდა ბებერ ალაზანს,
ეხამებოდა სევდას ნისლიანს...
უთეთრდებოდა წვერი ლამაზად
და აფეთებდა თვალებს სისხლიანს...

შემოეგება იასე სტუმარს,
ქიზიყის გმირი სახელოვანი...
აუელვარდა თვალები მდუმარს,
მხარ-ბეჭს შეეხო სახე მრგვლოვანი...

ღვინით აავსო თიხის ხელადა,
პირამდე სავსე ამზევდა ქვევრი...
წალამზე ტახის მწვადი ღელავდა,
დაგროვილიყო სათქმელი ბევრი...

დალოცა ლხინით გამთბარი ჭერი,
ყანწს გადასახა ჯვარი სტუმარმა...
არ დაივიწყა მოყვარე, მტერი,
დიდხანს გასტანა ამ საუბარმა...

დამწუხრებულმა თქვა მარუშისძემ,
რომ გადაკარგულს ეძებდა სატრფოს...
მპოვნელს მისცემდა ქონებას, მიწებს,
წელიწადია მის ხილვას ნატრობს...

იასემ უთხრა: — „მოვივლი კახეთს
და თუ აქ იქნა ვიპოვნი მყისვე...
შენ ხევსურეთში, თუშეთში ნახე,
ახლა ცივა და მთა ნაბადს იცმევს!..“

ოლე, №2, 2016





არ დააყოვნა, ისახა ჯვარი,
გადაეხვია მასპინძელს ძმურად,
თუშეთისაკენ გაქროლდა ქარი
და იქაიძეს ეწვია სტუმრად...

* * *

კოშკის სარკმელში მზირალი გვანცა,
მოსწონებია თავად ონიანს...
მის სიახლოვეს კარავი დასცა,
ათასი ხრიკი მოუგონია...

დიდხანს მალულად უმზერდა ქალწულს
და მოტაცების სცენას გეგმავდა...
ელანდებოდა ფიქრებში წასულს,
რომ საპატარძლო კოშკში შეჰყავდა...

თოვლს უხდებოდა გიშერი თმათა,
ვარდისფერ თვლებით მოოჭვილ ქიტონს...
ქალს აფეთებდა ზრიალი ხმალთა,
უცხო სიცივე სჩვეოდა ლითონს...

უცახცახებდა თბილი სხეული,
მიღმიერიდან მოფრენილ ფრინველს...
წირვას უსმენდა მორცხვი, ეული
დაშვებას გრძნობდა რაღაც საკვირველს...

ყმანვილკაცს ნისლთა ფრთები ესხმოდა
და ოცნებათა ცად მიაფრენდა...
ანგელოზს ჭვრეტდა და არ ესმოდა,
რომ აღარ იდგა გვანცა სარკმელთან...

* * *

ათოვდა მთებში ჩაძირულ თუშეთს,
ნაბადმოსხმული მიჯნურის სევდას...
ნისლებმა ჰანგებს სილურჯე უშვეს,
გარმონის მღერას ღიმილი სდევდა...

ცხვრებივით — ფარად ჩანყობილ თითებს,
ათამაშებდა სულთანის ცოლი...
ქალის ბაგენი ყვებოდნენ მითებს,
და ელვარებდა ყინულზე თოვლი...

ხვაშაგი ტრფობის მღეროდა ამბავს,
მამაკაცები სასმისებს ცლიდნენ...
ეფინებოდა ხის ტოტებს ბამბა,
მჭრელ ნაიარევთ მკლავებზე თვლიდნენ...

გადახდენიათ რამდენი ომი,
დიაცთა გამო სასტიკი ბრძოლა...
ხმალს შეუწირავს მრავალი ლომი,
დავიწყებიათ შიში და ძრწოლა...

გვანცას ეძებდა თუშეთის ცის ქვეშ,
მონატრებისფრად თოვდა და თოვდა...
ლანდივით იდგა ქალწული იქვე,
არ გამქრალიყო ღმერთს ამას სთხოვდა...

ქრებოდა ფიფქი, ქრებოდა ხილვა,
ქრებოდა ცეცხლი, ჩანდა ნაცარი...
თავი წაართვა უსიზმრო ძილმა,
უძირო ჭაში ჩანყდა ბანარი...

ცივი სითეთრე ფარავდა ღამეს,
ფარავდა სახლებს, ფარავდა ხეებს...
ნისლნი ტყისპირას უსმენდნენ ჩქამებს,
თვენი უჩუმრად მისდევდნენ თვეებს...

მოთაცება

ათი მხლებელი იახლა ბექნუმ,
სითალხე ნიღბად გადაითარა...
გვანცას საწოლთან უნდა მიეგნო,
კოშკში ლანდივით გადაიპარა...

გამოახვია ნაბადში მჭიდროდ,
ანგელოზივით მძინარე ქალი...
არ გაუვლია არც ისე დიდ დროს,
თვალწინ აჩქეფდა ენგურის წყალი...

აკივლდა გვანცა, უხმობდა მდევარს,
ღრუბელთა ჯარი ცაში მიქროდა...
არ შეუტყვია მღელვარე მხედარს,
რომ კლდეთა შორის გზა დავიწროვდა...

მხლებელი შლიდა ცხენთა ნაკვალევს,
გამოდევნებულთ რომ არ ეპოვნათ...
ვერ შეემჩნიათ მხედართ, ნამალევთ,
რომ ქალწულს ტოტზე თმა დაეტოვა...

სამ დღე-ღამეში აღმოჩნდნენ ცხუმში,
ბექნუს ნათესავ რისმაგ გაგელთან...
ეძალებოდა ქალს ვაჟი მრუში,
ორთა ჭიდილი მეტად გახელდა...

ტყეს შესეოდა სვანთა ლაშქარი,
ვარსკვლავებსა თუ ლამპართ ანთებდა...



თავადის ქალი ძვირშესადარი,
ვინ უწყის ღამეს ვისთან ათევდა?!.

* * *

* * *

წარმოესახა ქალს იოანე
და მის მკლავებში ყოფნა ინატრა...
თმას უფურცლავდა ზღვის სიო, მავნე,
ჯოჯოხეთში რომ დააბინადრა...

გამოეპარა ბექნუს ციხიდან
და მონასტერში თხოვნით მივიდა...
არ წავიდოდა არსად იქიდან,
განიკურნავდა ლოცვით ტკივილთა...

მოინანია რაც დაემართა,
მონაზვნობაში ეწოდა მართა...
მშობელი მამის ცრემლი ემართა,
ჩამუხლულიყო სიჩუმის კართან...

* * *

ბორბალოს მთიდან აღმოჩნდა ფხოვში,
მოჩანდა ხევი, გუდამაყარი...
მწყემსებთან ღამეს ათევდა „ცხორში“,
მუხთალი სოფლის ერთი მაყარი...

დნებოდა თოვლი ცივი და უცხო,
გაურკვევლობა იყო მტანჯველი...
იარებოდა ჩუმად და უხმოდ,
სითბოს ელოდა ლურჯი მთა-ველი...

მწყემსებს უყვარდათ მეფის აღმზრდელი,
ნუხდნენ ძლიერ რომ იტანჯებოდა...
თვალში ბჟუტავდა ცრემლის სანთელი,
ანკარა წყარო ბაგეს სწვდებოდა...

ტყაპუქს აპეკროდა სუნი ნაგაზის,
სადგომის გარეთ ხმაურით წვიმდა...
ქალწულის ლანდი ჩანდა ლამაზი,
სატრფოს უხმობდა მაღალი ციდან...

მკერდს ულოკავდნენ ცხვარნი საძოვარს,
ხევიდან ხევში ღრუბლებად თოვდნენ...
რქებითა ხნავდნენ ვაცნი საომარს,
ცასა და მინას სიყვარულს სთხოვდნენ...

უძილო ღამეთ მისდევდნენ თვენი,
ენატრებოდა შვილი აბულეთს...
სვანეთს გასცლია რისხვით და წყენით,
დაბრუნებია ქართლის მამულებს...

ტაძარში უფალს ევედრებოდა,
გვანცა სიზმარში მაინც ენახა...
მის ნაქონ სამოსს ეფერებოდა,
ვით ცხოველი მზე ცის ნავენახარს...

31

ხშირად სტუმრობდა ნესტანის საფლავს,
მიქელ გაბრიელს შესთხოვდა სიკვდილს...
წყევლიდა თავის ბედსა და ვარსკვლავს,
მოგონებებთან იწყებდა ჭიდილს...

ქვის ქვეშ ესვენა თანამეცხედრე,
სიჭაბუკეში რომ მიატოვა...
ზრდიდა გვანცას და არ სდევდა მდედრებს
და ქარიშხალმაც დაიმარტოვა...

სურნელს აფრქვევდნენ უტყვი საგანნი,
ობმოდებული ეწყო ნივთები...
ხედავდნენ ყმანი — მიუსაფარნი,
რომ აღარ იყო გვანცას მზითევი...

* * *

შემოეკრიბა ხატობას თემი,
მიჯნური ხატში მიიჩქაროდა...
გოლიათს ზეცა მიჰკონდა მხრებით,
თავადის ქალთან მიუხაროდა...

ხატის დარბაზში წმინდობდა ხუცი,
ხევსურეთის თემს ამწყალობებდა...
პურებს აცხობდა დასტური ლუწი,
კოშკში გალობდნენ სამადლობელთა...

საწირ-საკლავნი ბლაოდნენ უხმოდ,
სათემო ხატებს უნთებდნენ სანთლებს...
დევთ-დედას ნიშთან წარმართმა უყმო,
გამოარჩევდნენ მტყუანთ და მართლებს...

მეგანძურს ხატის ებარა განძი,
მეზარე რეკდა საზარეს ზარებს...
ქალს სეფე-პური მიჰკონდა თასით
და არ აღებდა სახატეს კარებს...

ქაფქაფა ლუდი დუღდა ჭურჭელში
და ხევისბერი ლოცავდა ყმათა...

ოლე, №2, 2016





ზურმუხტისფერი მიწის სურნელში,
ვაჟთა და დიაცთ ცალ-ცალკე სხამდა...

თავს მხიარულად გრძნობდა სტუმარი,
დიაცთა შორის ექებდა გვანცას...
ესმოდა მისი ხმა, საუბარი,
გამოეკიდა ლანდი რომ გასცდა...

მრგვალ მხარზე თრთოლვით შეახო ხელი,
მზე უკოცნიდა უგრძეს დალალებს...
სულმა შეიგრძნო მუსიკა ნელი,
თმათა ტალღებმა სახე დამალეს...

შემოტრიალდა, შესცინა ქალმა,
ვაჟს დაუარა ელვამ ურიალად...
შეფაკლა ღანტნი სიმორცხვის ალმა,
„მომიტევეთო!“ — დაიხრიალა...

ქარი ჩაუდგა ყურებში მხედარს,
ჭიუხის ბილიკს ჩაჰყვა ჭენებით...
კვეთდა სივრცეს და უჭირდა ხედვა,
ღრუბელთ კოცნიდნენ ცეცხლის ენები...

* * *

ბრაზმორეული მისდევდა შარას,
უფლისციხელი, დიდი თავადი.
ხეთა ლანდები ეკვროდნენ ჯარად,
მიწას მისთრევდა ძველი ნაბადი...

მთელი ქონება მისცა უპოვართ
და ბიზანტიელთ მონად ჩაჰბარდა...
ცრემლმა სახეზე ბზარი უპოვა,
ბევრჯერ ატირეს ცხარედ მზაკვართა...

გზააპნეული ეძებდა სარჩის,
მუხთალ სიბერეს ეწირებოდა...
ვერ ასცდა წყევლას, საფლობს თუ სახრჩობს,
ურჯულოთ თვალში ეჩხირებოდა...

იმედის სხივსაც ვერსად ხედავდა,
გამზადებული იყო საწვიმრად...
ტკივილზე ფიქრსაც ვეღარ ბედავდა,
ფიქრმაც შვილივით უხმოდ განირა...

* * *

ფანასკერტს იდგა ბაგრატ მესამე
და იოანეს მისვლას ელოდა...

გადაისახა ჯვარი მესამედ,
სამლოცველოში ოდნავ ბნელოდა...

ვაზის აეყარა ტანი ჩუქურთმად,
ტვიფარნი ქვაზე — ჰგავდნენ ნარგავებს...
ტახტი ქართველმა ერმა უკურთხა,
მტერს ამარცეხბდა, ძმანი მარხავდნენ...

ვის უმეფია დინჯად და მშვიდად?!..
რა გამოულევს მტერს საქართველოს!..
მამულში ამინდს გლეხკაცი ქმნიდა,
იკაპიწებდა ჩოხის სახელოს...

მეციხოვნენი ქრისტეს სჯულისა,
თავგამოდებით იცავდნენ ციხეს...
ლოცვა სალბუნი იყო სულისა,
უკიდეგანო ლურჯი ცის სიღრმე...

ხუნდდადებულთა ცოდვით იწვოდა,
გლახაკთა რომ არ შეასვეს წყალი...
ფოლადის წესი წესად იცოდა,
არ იღუნება, გატყდება ხმალი...

დალვენთილიყო ცრემლად სანთელი,
ალიცლიცებდნენ ფერებს ხატები...
ლოცვად ბრწყინავდა სულის ნათელი,
ფრესკად მიმქრალი, ლამენათევის...

მუზარადიანს ხედავდა ხუცესს,
იარაღასხმულ, ბებერ მეურმეს...
იკრიბებოდა ლაშქარი უცებ,
მშვილდოსანთ მხარში ედგათ მეზურნე...

ჩვენში სჭარბობდნენ ერთგულთ თვალთმაქცნი,
ფარისეველნი და ურწმუნონი...
ეწირებიან მომხდურს მამაცნი,
ორმოს უთხრიან ერს უგონონი...

არა გვწამს ღმერთი, კერპებს ვცემთ თაყვანს!..
პატივმოყვარედ ვსტუმრობთ სიკვდილსაც...
ცოდვილ მიწაზე წმინდა ხე გახმა,
დროს ვაფქვევინებთ დარდის წისქვილსა...

გაიძვერანი ჯვარს წერენ მოყვასთ
და მათ ქონებას ავერანებენ...
ყმანი ცხვრებივით მიჰყავთ და მოჰყავთ,
სოფელში ვირებს ამერანებენ...

ზართა ვუგუნმა გამოარკვია,
მუხლმოდრეკილი მეფე ბაგრატი...
მზემ წისლთა ქულა გამოარღვია,
ცად დაემკვიდრა ან და მარადის...



* * *

არაგვის ხევში ჩამოქვეითდა,
მთვარეულივით უტყვი მხედარი...
გულს უგრილებდა წყალი ქვეითთა,
ხადუს მადლიან ლოცვით მჭექარი...

თორლვა ძაგანის მოჰკონდათ სევდა,
ცერად დაწვენილ დევ-გმირთა ლანდებს...
გახუას მითი ტყის მრუმში თვლემდა,
ცა მიღმიერის ეხილათ ხატებს...

მდორედ დიოდა დევთა სისხლივით,
ნისლთა კოტორზე მწოლი არაგვი...
ქადაგთა, ხეთა ჩანდა ლივლივი,
ვით მოსაყოლი იგავ-არაკი...

შემოსევიან დარდად ქაჯები,
მთვარეულივით ჩამომდგარ ციხეს...
მოუხვევიათ სალტედ მაჯები
და დაუმხიათ ტყვედქმნილი პირქვე...

ნამით გვამიდან გავიდა სული
და საოცარი ველი იხილა...
კლანჭებში ეპყრა არწივს ცის გული,
ვით მეწამულ ფერს მთვარის წიწილა...
ხახმატის ჯვარის უძლეველ დროშით,
საჩალის მთიდან დაიძრა ჯარი...
ჩაბალხეთს ქაჯთა შეიჭრა ჯგროში,
მძლავრად მქროლავი ფხოველთა ქარი...

შეძრწუნებულნი იძლიერ ქაჯნი,
ცამდე ალწევდა გორა სხეულთა...
გახუას მთიელ ღვთისშვილთა არგნით,
სული ისევე განუსხეულდა...

გამოაფხიზლა დილის ნიავმა
და იოანემ ისახა ჯვარი...
ყინულის წყალი ძლიერ ეამა
და არწივულად გაშალა მხარი...

* * *

გულის ძარღვივით ათრთოლდა მცხეთა,
მზეს შეუმოსავს ქარვით ყოველი...
მღერას მოჰგავდა შრიალი ხეთა,
ცად მიიღლტვოდა სვეტი ცხოველი...

გზად მალემსრბოლი შეხვდა მეფისა
და ბაგრატ დიდის თხოვნა აუწყა...

ფანასკერტს მისი ხილვა ეღირსა,
— დაგეძებდიო! — მეფე გაუწყრა...

— „მიწათა ნაცვლად ითხოვა ტყვენი,
ისევ ითხოვა ტყვენი ბასილმა...
ალარ მსურს გავცე სიმდიდრე ჩვენი,
თუნდაც მებრძოლოს რისხვით ავსილმა!!!“

— „გადაჭრით უარს ნუ ვეტყვით მეფევ,
გამოვიგონოთ უნდა მიზეზი...
ცრემლთა და სისხლთა წყარონი ჩქეფენ,
მადლით შემოსილ ქართლის მიწებზე...“

* * *

არ ასვენებდა გვანცას სახება,
ხმა ჩაესმოდა, ელანდებოდა...
სასოწარკვეთის ქსელში გაება,
ტკივილს ტკივილი ემატებოდა...

* * *

სენაქში მოჩანს მორჩილი მართა,
ვარსკვლავებივით ქრებიან დღენი...
დაღვენთილია სიჩუმე კართან,
კლდესავით დგანან მტკიცენი რწმენით...

დრო მიირხევა ზანტად და ნელა,
მისდევენ წესებს ლოცვით და შრომით...
სურნელოვანი ოთახი ელავს,
ცა დაიღალა მუხლებზე დგომით...

ზარს არისხებენ თეთრი ხელები,
სიცოცხლით სავსე, თოვლის ტოტები...
რკინის სიცივით განახელები,
გამოსყიდული რომ აქვთ ცოდვები...

ტირილი უნდა, გაუშრა ცრემლი,
მონასტრის კლდეში ნაკვეთ სამრეკლოს...
ქვის სამყოფელში ლამაზი მხევლის,
სახე ჭის წყალმა უნდა არეკლოს...

უნდა დააჭქნოს ყვავილი უამმა
და შეახვედროს მიქელ გაბრიელს...
აწამოს წამთა უწამო წამმა,
ქარი ესტუმროს ადგილს ცარიელს...





* * *

„დამარხულ არს ენად ქართული
დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა
საწამებლად, რათა ყოველსა ენასა
ლმერთმან ამხილოს ამით ენითა...
და ესე ენაი შემჯული და კურთხეული
სახელითა უფლისათა, მდაბალი
და დაწუნებული, მოელის დღესა მას
მეორედ მოსვლისა უფლისასა.“

იოანე ზოსიმე

ქვის სილურჯეში გამეფდა მთვარე,
ცას აწერია ძველი მხედრულით,
რომ ვარსკვლავები მოჰგვანან ხარებს
და შეიფერეს ქშენა ბებრული...

ასომთავრულმა შეცვალა ძველი,
ხნულად ქცეული ღვთის დამწერლობა...
მრგვლოვან ბელტებით აივსო ველი,
სულის ჩუქურთმად იქცა მწერლობა...

ქართული სივრცე შეძრა მერჩულებმ,
აღწერა გრიგოლ ბერის ცხოვრება...
წმინდანთა წესნი უყვართ ერთგულებს,
მოძღვართან შეყრა და განშორება...

ქვის სილურჯეში ატირდა ვაზი,
სამარადისოდ გამოიკვეთა...
ხელშეუხები ამღერდა განძი,
ანგელოსივით გამოიხედა...

* * *

გულს მოეძალა შფოთვა და შიში,
ნისლთა ქორედნი უძილო ღამეთ...
თვალსევდიანი ვერ გრძნობდა შიმშილს,
ფიქრი მისდევდა უწამო წამებს...

სად გაიხიზნა ქართლის თავადი?!
მიჯნურს სიჩუმემ ჩასცა ლახვარი...
შემოახვია ღამემ ნაბადი,
გამეფდა შიში მიუსაფარი...

ვეღარ წახავო! — აკივლდა ჭოტი
და იოანეს ცუდად ენიშნა...
იმედით სავსე ჩამოტყდა ტოტი,
მინამ ვარსკვლავთა ცვენა შენიშნა...

აკლდამისფერმა გადაპკრა ღაწვებს,
სიკვდილის სუნთქვა იგრძნო გუმანმა...
ჩამოუქროლა სიცივემ ნაძვებს,
დააბრახუნა კარზე სტუმარმა...

უხმოდ გაილო ტალანის კარი,
გამოიარა ფეხის ხმამ სივრცე...
მუხლს ჩასდგომოდა სიმძლავრე ქარის,
მკლავებში ღრუბელთ სიმძიმეს ირწევს...

ყელზე უჭერენ რკინის მარწუხებს,
დაწყვეტაზეა ნერვთა ძაფები...
გოლიათური გული აწუხებს,
ხილვად ქცეული წარმოსახვები...

კლდოვან სხეულში სული ცახცახებს,
საწუთროს შინაც დაპქრის სიცივე...
ცა შეეხიზნა ქართლის სანახებს,
ვარსკვლავთა ზღვაში სხივი ციმციმებს...

გზააბნეული იწვის სანთელი,
იწვის და ლანდთა ქაოსში ქრება...
უამრავი რამ რჩება სათქმელი,
სიცოცხლე როგორც მელანი — შრება...

მტვრად მოსდებია შარას ხმაური,
ყალბი ფუსფუსი, მიეთ-მოეთი...
შემზარავია აურზაური,
ჯოჯოხეთური მიდამოეთის...

შემზარავია სიხარბე კაცთა,
ჭორი, სიმრუშე, ღვარძლი და ბოლმა...
ფარისეველთა ქვეყანა გაცვდა,
ცოდვის ნაყოფი საშოში მოხმა...

სულს ემძიმება გვამის ტყვეობა,
უდაბნოს ცრემლი სწყურია ფარას...
ჭირს ლხინი მოსდევს, ქელეხს — ღრეობა,
ღიმილს პირქუში ღრუბელი ფარავს...

გულს მოეძალა შფოთვა და შიში,
ნისლთა ქორედნი უძილო ღამეთ...
თვალსევდიანი ვეღარ გრძნობს შიმშილს,
ფიქრი მიჰყვება უწამო წამებს...

* * *

სწრაფად მოევლო უზანგს მხედარი,
იმერთა მთანი გადაიქროლა...



ნახა ევსტათი, ბერი ნეტარი,
ჯვარს მიემთხვია, მან გაიყოლა...

საკანს ავსებდა კეთილსურნელი,
მოძღვრისა, მზისა, წმინდა მამისა...
სიტყვაა მშვიდი, განსაკურნელი,
ლურჯ სიჩუმეში ექოდ გაისმა...

— „მამითა, ძითა და სული წმინდით,
გზას დაგილოცავ შვილო, ცოდვილო!..
ქვეყნიერება სავსეა პინდით,
სამშობლოსათვის იღწვი, ცოდვილობ!..

ათენ-ალამებ იმაზე ფიქრით,
სტომაქი რომ არ გქონდეს მშიერი...
ხმალს ატრიალებ, მოჰქრი და მიჰქრი,
უფალმა მოგცა ლომის იერი...

სულიერებას აცოცხლებს ლოცვა,
ვით სხეულს წმინდა ჰაერის სუნთქვა...
ალსარებანი გამანდე მოძღვარს,
უზიარებლად — ნუ ივლი უქმად!..

ბრმად მორჩილებაც არაა სარგო,
უური დამიგდე, თვალს ნუ აიხვევ...
კეთილი ნერგი იქ უნდა ჩარგო,
სადაც რომ სულის საზრდოს აიღებ...

ვხედავ სიყვარულს დაეძებ მინად,
მაღალთა შინა, ზეცად იპოვი...
სარწმუნოებას და მამულს იცავ,
ელინთა მთაზე საზრდოს იშოვი...

ჩამორეკს უამი, გახვალ სოფლიდან,
ვითარცა მწირი, ბერი ნეტარი...
ფასდება გარჯა შრომით, ოფლითა,
ვით თაფლის სიტკბო — წმინდა ნექტარით...

გადაისახა ჯვარი თამამად
და მოძღვრის სიტყვა მსწრაფლ გაიოცა...
მზე იღიმოდა, ვით წმინდა მამა,
მუხლმოდრეკილმა დიდხანს ილოცა...

თრთოლვით გაანდო გულის წუხილი,
უპეს ჩამოსცდა ცრემლი — ანკარა...
მინამ შეიგრძნო ძარღვთა დუღილი,
ღრო თავის თავში გამოატარა...

დიდხანს უსმენდა ბერი ევსტათი,
მთხობელი ფეხზე წამოაყენა...

მხარზე დაედო, როგორც ლომს თათი,
წაიყვანა და ხატი აჩვენა...

ხატი ლოცვით და ცრემლით წაწერი,
თავისი გამრჯე, წმინდა ხელითა...
ბზის უძვირფასეს ხეზე წაფერი,
ბუნებრივ ქვათა სამოსელითა...

ღვთისმშობლის წმინდა მზერით გამთბარი,
სიმშვიდით სავსე მოჩანს ტაძარი...
დუმილს გაათბობს სუნი საკმევლის,
სხივებს თორმეტგზის მოჰყენს სარკმელი...

ნაკურთხი წყალი ასხურა ბერმა,
ჯვარზე ამთხვია, გზა დაულოცა,
რომ ვერ მოდრიკოს ვერაგმა მტერმა,
ჯვრის სიძლიერე გადაულოცა...

ზურგშექცეულ შვილს გზად დააწია,
რომ დასავლეთით ეძებნა გვანცა...
სამრეკლოდ მოდგა, ზარნი არწია
და ზართა გრგვინვამ გულის ხმა გასცა...

რაჭაში

გადაიქროლა მთანი, ველები,
ლიმილისფერი და ჭიათური...
შემოეგებნენ რაჭის მცველები,
სევარიონი და ჭიაბერი...

ჩამოქვეითდნენ უმალ დევ-გმირნი
და მარუშისქეს მხარს ეამბორნენ...
უერთგულესნი — მეფის ვეზირნი,
რაჭველთა ჭირს და ლხინს უამბობდნენ...

რიხით ამღერდნენ ტყენი, მუხანი,
ცივი ჩქერალნი, წმინდა წყარონი...
სახლიკაცებად დადგნენ ულრანნი,
მოყვასისათვის უანგარონი...

ბზის ტყედ აღელდა უდაბნო ბერთა,
ნისლში აცურდა სული ცხრაჯვარის...
ჭელიშისაკენ გასწიეს ერთად,
მიაცილებდა მხედართ ნაძვნარი...

ქვაზე ჩუქურთმას კვეთდა ოსტატი,
იჯდა და უფლის ნიშანს ელოდა...
თვალი წასვლოდა ტვიფარს ცოტათი,
ხელმარჯვეობა საქმეს შველოდა...





ანგელოზივით იდგა ტაძარი,
ქვათა უმძიმეს აბჯარს ისხამდა...
ყელგამშრალ ჭაბუქს წვავდა ხანძარი
და ვაზის ნაჟურს ყანწში ისხამდა...

იცოხნებოდნენ ჩრდილში ხარები,
მზე ამლერებდა გაშლილ გვირილებს...
მთა ივსებოდა ცით, სახარებით,
ქვაში ბურცავდა ფოთლებს კირილე...

მისჩერებოდნენ ნიკორწმინდელნი,
ხელთუქმნელსა და უკვდავ ქმნილებას...
ჩანდნენ სარქმელნი, გასაკვირველნი,
ვით ნაირფერი სრულყოფილება...

ტაძრის ეზოში უღერდა გალობა,
უწმინდეს ბერთა და მოხაზონთა...
გადმოდიოდა უფლის წყალობა,
ტყეთა მაღალთა, ზღვად მონაქსოვთა...

ჯვარს ისახავდა მცირე თუ დიდი,
ალტაცებული იყო სტუმარი...
ხმა ჰქონდა ბოხი, თბილი და მშვიდი,
ძმებთან გაება მას საუბარი...

მიუყვებოდნენ დალმართს ცხენები,
დასალიერში ფიცრულნი ჩანდა...
ხებს ლოკავდნენ ცეცხლის ენები,
მზე ჩადიოდა დინჯად და ზანტად...

ახლო ცხოვრობდა ძმა აბულეთის,
პატივმოყვარე, დიდი თავადი...
რაჭაში ჰქონდა ზღვა მამულები,
ხმა გავარდნოდა ძველი თამადის...

შეხვდნენ, შეიტყვეს გვანცას ამბავი,
სვანეთისაკენ აჩქარდა მგზავრი...
აძგერდა გული დასაზაფრავი,
ამოიყარა ლურჯაზე ჯავრი...

მიჯნურის ხილვის კლავდა წყურვილი,
გადაიქროლეს ვრცელი ველები...
მოცურდა მთვარე ოქროცურვილი,
რაჭას მოხვია თბილი ხელები...

სივრცე ჰადიშის

გადაიფურცლა როგორც ოთხთავი,
უმსუბუქესი სივრცე ჰადიშის...
კოშკებს ითვლიდა სული მშოთავი,
ლანდთა დუმილი იყო საშიში...

თვალები ყველგან ეძებდა გვანცას,
ხევებში თრთოლვით დაჰქროდა ექო...
მდუმარ სვანეთში ხმა არვინ გასცა,
ეს რა ბედი და ვარსკვლავი ერგო...

სისხლი აედო გვანცას ნათესავს,
ბასრი მახვილით მოეკლა ბექნუ...
ბექნუს მამამაც რკინა გალესა,
გულისგულამდე ტკივილი ეგრძნო...

შურისძიებით იყვნენ გართულნი,
ერთი ჯვარის და ხატის მოყმენი...
ასეთი იყო წესი ქართული,
ჩასაფრებულნი იყვნენ მოძმენი...

მიაქანებდა ლოდებს ენგური
და ხმაურიან ზვირთებში ხთქავდა,
იერი ჰქონდა ენგურს მეფური,
უძლებდა გრიგალთ, მიწისძვრათ, ზვავთა...

ეგრის-აფხაზთა რეკდა სამეფო,
ვარსკვლავებივით ენთო ლამპარნი...
გული მახვილს თუ ტკივილს გაეპო,
„ლილეს“ უცდიდა ვით წინაპარი...

ინათა, ჯვარი ისახეს მხედართ
და მლვდელთმსახური შემოხვდათ გზაზე...
ჯინი, — მძარცველნი ეგონა შემცბარს,
არ დაკვირდათ კილოზე, ხმაზე...

ზურგზე მოეგდო საბრალოს ტვირთი,
ოფლში გახვითქულს მძიმედ მიჰქონდა...
ნისლებად გაკრთა ტყიანში ფითრი,
ღამით მოსილი შველას ითხოვდა...

ჩამოქვეითდა ერთი მხედარი,
აშრიალებდა ტყეს მოლოდინი...
ფეთქავდა ძარღვი, ყელზე შემხმარი,
მომრგვალო ფუთა ჩანდა ლოდივით...

ბერიკაცს მოხსნა დევ-კაცმა ფუთა,
მიესალმა და ხელთ ეამბორა...
ხმას ვერ იღებდა, სიტყვის თქმა სურდა,
ჩიფჩიფებდა და ვერცრას ამბობდა...

— გაგინევია მოხუცო საით?! —
მომლიმარ სახით თქვა იოანემ...
— აბაზგიაში მიმიყვანს გზაო, —
მონასტერს მივალ ბერი მხცოვანი...

მონაზონთათვის სამოსი მიმაქვს,
ხატები, ჯვრები და კრეტსაბელნი...
არ ვუფრთხი ხორშაკს, გრიგალს და წვიმას,
ხშირად მხვდებიან გზაზედ მძარცველნი...

გავუძარცვივარ და ვუგვემივარ,
ავაზაკთა და ათას მზაკვართა...
ბევრჯერ მე სიმწრის ცრემლს მივცემივარ,
სიცოცხლე მაინც რომ არ დამთავრდა!..

— გაგაცილებთო... შესძახეს ერთხმად,
და მარუბისძემ შესვა ულაყზე...
ფეხით წავალო უნდოდა ეთქვა,
შეიქნებოდნენ ვაჟნი უარზე...



აფხაზეთში

ამომზეურდა ზღუდე კლისურის,
ბერმა აღაპყრო ზეცად ხელები...
წყლის ხმას მიაპყრო ცამ გულისყური,
ხეები დგანან როგორც მცველები...

გადმოიარეს ქედი ფარავნის,
ფეხით მიუძღვით წინ იოანე...
ნაფეხურები მოჩანს ქარავნის,
მოუღერიათ ყელნი შროშანებს...

ჩანან აფხაზინი, ქართველთა ტომნი,
ღელავს ნაფსას ვრცელი სანაო...
ახსოვთ მრავალი ტანჯვა და ომნი,
პონტოს ტალღებში ქარი ბანაობს...

სანიგებს, აბსილთ და მისიმიენთ,
სამეზობლოში შერჩნენ ჯიქები...
ვაჭრობით, ბრძოლით და ფიცით ძლიერთ,
მექარავნეთა უდგათ რიგები...

მწვერვალებიდან მოჩქეფს შაფსუხო,
ხეობის გაღმა დატოვა მღვიმე...
კავკასიონი ექოდ პასუხობს,
ზღვას უერთდება მდორედ და მძიმედ...

ჩანს მონასტერი — კლდეში ნაკვეთი,
უცხო თვალთათვის მიუწვდომელი...
როგორც ლურჯ ცაში წისლის ნაფლეთი,
წმინდა ცრემლივით შეუშრობელი...

მიუახლოვდნენ მონასტერს ლანდნი,
გოლიათების და მღვდელთმსახურის...
უდაბურ ტყეში სიჩუმედ ბარდნის,
კართან ჩანს ქალი — უფლის მსახური...

თვალები თვალებს შეხვდნენ უეცრად
და აკანკალდა შველივით მართა...
რაჭველი გმირნი დგანან უმეცრად,
ულამაზესი მონასტრის კართან...

მარუშისძემაც შეიცნო გვანცა,
აუელვარდა ლიმილი თოვლად...
მომდგარმა ცრემლმა ვაჟკაცი გასცა,
ვერ დაიოკა გულისა თრთოლვა...
შემოუჭირა ყელში მარწუხებს,
გამოუთქმელმა გრძნობამ და განცდამ...
კლდესავით მდუმარს ისლა აწუხებს,
რომ სიყვარული ძაფივით განყდა...

თავი დახარა ქალწულმა მორცხვად,
შებრუნდა, ხელი წაავლო ფუთას...
კურთხევა სთხოვა
მღვდელთმსახურს, მოძღვარს,
ცრემლისგან თავის დალწევა სურდა...

მოუტრიალდა ბერი დევ-გმირებს,
ჯვარზე ამთხვიათ, გზა დაულოცათ...
აზანზარებდა წნევა ჯებირებს,
მდინარეს ქარი შეუჩნდა როცა...

გაუჩინარდა ქარივით ქალი,
მონასტრის ყრუ და მრუმე კედლებში...
მზემაც დაფარა თავისი კვალი,
თავი რომ ჩარგო კლდოვან ხელებში...

დაემშვიდობა ძმებს იოანე,
ახოვან ვაჟებს მხარზე ემთხვია...
ტყის სამოსელი — ზურმუხტი, — მწვანე,
ღამის სიჩუმედ შემოეხვია...

მიუყვებოდა პონტოს ნაპირებს

მიუყვებოდა პონტოს ნაპირებს,
დამარცხებული ერისმთავარი...
სიცოცხლით სავსე გული განგმირეს,
საშველს ეძებდა მიუსაფარი...

ქვიშიან ბილიკს მისდევდა ჩორთით,
მისავათებულს რეტი ესხმოდა...
გარინდულიყო მდელო და კორდი,
ყურს მხოლოდ გვანცას მღერა ესმოდა...

ხანგრძლივ სიჩუმეს მოსდევს ხმაური,
ზურგში დალახვრა უყვართ ვერაგთა...
ქვეყნად ხომ ყოველს აქვს საზღაური,
სული მარტოა ბედისწერასთან...

ბედგამნარებულს ელის სიკვდილი,
მუხლმოსაყრელად ვიღას სცალია?!.
ცოდვილ მინაზე მიდის ჭიდილი
და იჩაგრება ვინც ალალია...

მეციხოვნენი ჩვენ ვართ სჯულისა,
მახვილი ყელზე გვაქვს მობჯენილი...
გოლგოთისაკენ გზა სულისა,
ცა ღრუბლიანი და მოწმენდილი...

გადაიყაროს იქნებ ღრუბელმა,
უფალმა უწყის მხოლოდ გზა ხსნისა.
ვერ დაგვიმონა მტერთა უღელმა,
ჯვარს მიგვალურსმნა და ვერ გაგვსრისა...

გიზანტიონები

ნავსაყუდელში ჩანან ნავები,
სავსე საქონლით, ტვირთით, მონებით...
ბიზანტიონი დუმს გაავებით,
ტირიან ქალნი და გოგონები...

ყოველი ვერცხლი ფასია სისხლის,
აქოთებულა სივრცე თრიაქით...
ათასი ჯური სავაჭროდ იცლის,
არის ყაყანი და ფორიაქი...

მგზავრებს ათასი უდით სურნელი,
მექარავნეთა ენა ირევა...





მეძავს დაეძებს ლოთი, სულელი,
უნდათ ბედშავის მონადირება...

ყალბია ოქრო, ბურნუთი, ფული,
ლიმილი, სტვენა და ლრიანცელი...
ტყვეთ მიირეკავს მყიდველი კრულვით,
შემოძარცული აქვთ ტანსაცმელი....

ელინთა ღვინოს სინჯავს არაბი,
ყიდის ისლამურ ჭრელ-ფერ სუდარას,
ქართველ ლამაზმანს უმზერს ქარაფი,
ხმაურში წყდება ხვეწნა-მუდარა...

კონსტანტინოპოლის ახრჩობს წყურვილი,
ქვის ფილებს ეკვრის ცხენის ფლოევები...
ჩადრით არიან თავშებურვილნი,
ვიწრო ქუჩებში მსხდომი მოგვები...

მოხუც მათხოვარს შეავლო თვალი,
ფეხი რუმბებად უყრის მტვერში...
ფერმერთალი სახის გამტყდარი ძვალი,
მოუჩანს ხშირ და ბირკიან წვერში...

ამოიხავლა: — შემასვით წყალი!..
ხალხი არა ხართ, არა გნამთ ღმერთი?!..
თავს მაღლა ვერ წევს კაცი საწყალი,
დაბეგვილი აქვს ტანი და მკერდი...

ჩამოხტა, იქვე მიაბა ცხენი
და მოხუცს თავი წამოუწია...
მწყურვალმა უცხოს შეხედა წყენით,
სიტყვის წარმოთქმაც აღარ უცდია...

თვალებით იცნო გვანცას მშობელი,
ოფლმა დაასხა, ძალა წაერთვა...
მოაწვა სევდა განუზომელი
და არ იცოდა ვისთვის რა ეთქვა...

— აბულეთ, მე ვარ, მე — მარუშისძე,
ერისმთავარი და ფეოდალი!..
მითხარი, შენ აქ რად უნდა იწვე,
არ გაიმეტოს არავინ წყალი!..

მთვარეულივით მოზიდა ტანი,
ცხადი არის თუ ხილვა, სიზმარი...
სმენას უკანრაგს სხვადასხვა ხმანი,
შორით სამოთხის მოჩანს ჭიშკარი...

მოხუცმა წვერზე შეახო ხელი,
იცნო ვაჟკაცი და გაულიმა...
გადაიფურცლა სიცოცხლე მთელი,
აუკანკალა ხელი წუხილმა...

— შვილო, სვანებმა მომტაცეს გვანცა,
ვერც მკვდარი ვნახე და ვერც ცოცხალი!..
დიდმა ტკივილმა თავზარი დამცა,
ვგდივარ მიხრნილი და გამომპალი...

თვალს ლაპალუბით ჩამოსცდა ცრემლი,
გულმოწურული იჯდა დევგმირი...

აუელვარდა თვალებში ცეცხლი,
ცოცხალ ქალწულს რომ მამა შესტირის...

— „აბაზგიაში ვიპოვე გვანცა,
მონასტერშია, ფარავს უფალი...
დავდუმდი, მანაც ხმა აღარ გამცა
და გამოვგვალე გზაი უვალი...“

სიცოცხლე ჩადგა თვალებში წამით,
აფათურებდა თითებს სიმშვიდე...
მოხუცის გვემა დასრულდა ამით,
თითქოს ცოდვანიც გამოისყიდეს...

უსისხლო ხელი მოსწყდა ტოტივით,
ფრთა მოუკეცავს მიქელ გაბრიელს.
სხეული გდია მტვერში ლოდივით,
ღამე ჩამოჰვას ჭურჭელს — ცარიელს...

ცას შეჰყინვია თბილი ღიმილი,
თუ წაკვალევი სავსე მთვარისა...
მუხთალ სოფელში ხსნაა სიკვდილი,
ქართლის ერთ-ერთი დიდი მთავრისა...

ჩამოედინა გოლიათს ცრემლი,
მექარავნებს მისცათ ცხედარი...
საგვარეულო აკლდამა ძველი,
უფლისციხესა შინა ტყედ არი...

ქვის სამყოფელში

ელინთა მიწას შეახო ფეხი,
ამოშრიალდა სუნთქვად ათონი...
ათონელს მთაზე დაურგავს ვერხვი,
უვლიან ბერნი — უღალატონი...

უშენებია ტაძარი ვრცელი,
თვით იოანე მახარებლისა...
ძელჭემარიტი, ქართველთა ძელი,
ჯვარი თორნიკე აღმსარებლისა...

ნაღვლიან ხმებით რეკენ ზარები,
რეკენ ხმატკბილად და მწუხარებით...
ჭრიალებს ოდნავ ღია კარები,
რომ ირხევიან ხეთა ჯარები...

დაწესებული ადათით მიდის,
ბერთა დინჯი და მშვიდი ცხოვრება...
ივერიონნი კიდიდან კიდით,
ქადაგებანი და განშორება...

სანთლის ლიცლიცში იღევა ღამე,
იღევა ლოცვა და სინანული...
ზღვა მორჩილების ითვლიან წამებს,
სუფევს მართალი, ღრმა სიყვარული...

ქვის სამყოფელში გადიან დღენი,
ქარბუქს სიცხე ცვლის, სიცხეს სიცივე...



იძარცვებიან ფერადი ტყენი,
მიწას ეხება ნისლთა სიმძიმე...

თავისებურად გვესმის ჩვენ სჯული,
ქვეყანამ თავის თარგზე მოირგო...
პატივმოყვარე რომ ხდება სული,
რომელი ბრძოლა უნდა მოიგოს?!.

კაცს ანაფორა ვერ აქცევს ბერად,
მაცხოვრის მადლმა უნდა აქციოს...
გადაიქცევა სხეული მტვერად,
თავი სიმუხთლეს რომ დააღნიოს...

მოყვასისათვის ორმოს თხრის მოძმე,
ოხუჯი, ურცხვი, ფარისეველი...
ვერცხლთა სიმძიმით ფასდება მოწმე,
დარდია მრუმე ლამის შთეველი...

სარს წამოაცვეს ტყვეთა თავები,
პირველყოფილი შურისძიებით...
ლურჯ სიცივეში თოვს ვარსკვლავები,
იმარცვლებიან როგორც მძივები...

გამოკეტილან ციხე-კოშკებში,
ქონებით სავსე ფეოდალები...
ამოყორილან მძიმე ლოდებში,
მოღალატენი, ფლიდნი, მხდალები...

გულგამოღადრულს, პატრონობს მამულს,
ხუნდდადებული ქართველი გლეხი...
სამშობლოსავით იგიც ჰგავს ჯვარცმულს,
უჟამობაში აუდგამს ფეხი...

ლანდივით სწრაფად დაგრძელდა ფიქრი,
გაჭიანურდა, გაგრძელდა სიტყვა...
თავდახრილ მორჩილს გაეკრა ფითრი,
რაც გულის გულში იშვა და ითქვა...

* * *

წელთა სიმძიმე იგრძნეს ფეხებმა,
ნაოჭთა ბზარნი დაეტყო თვალებს...
მოსწყურდა ვაზის ხელით შეხება,
ქარი რომ კოცნის ქარვისფერ კვალებს...

აფხაზურ მიწას ფოთოლი ათოვს
და თავის სიყრმეს იხსენებს ალბათ...
გამომწყვდეულა ჩიტივით ათონს,
სუფევს სიჩუმე, რიდი და კრძალვა...

იფურცლებიან მინდვრები ქართლის,
აკიდოს ამტვრევს მძიმე მტევნები...
უფლისციხეში დაისი ჭარხლის,
სავსეა წყვილთა გამოდევნებით...

მთებმა ბალების შეხვრიპეს სიტკბო,
ღრუბლებად ჩანან რიგში ურმები...

მეხრე ბებერ ძვლებს კოცონთან ითბობს,
ვარსკვლავებს ჰგვანან ლამის სტუმრები...

კავკასიონი გზავნის სიცივეს,
ღიმილიანი თოვლის მოკითხვას...
სანთელი მწუხრის ლოცვით ციმციმებს,
ჩაქრება, პასუხს ცივ ქარს მოჰკითხავს...

ფრესკად ელვარებს ძმათა ნათელი,
ახლად აგებულ მოწამეთაში...
არგვეთში ბრწყინავს გმირთა სახელნი,
ნისლებს მწვერვალნი მოსვამენ ცაში...

დააპინავეს წმინდანნი ტაძრად,
ქრისტეს ადათით გადასვენეს...
მზემ მხეიძეთა ამალა დაძრა,
მტერნი ულიტეს და გაანაწყენეს...

ჭრიჭინობელებს გააქვთ გნიასი,
ქაფად იშლება ქვებთან ტალღები...
ჩაფიქრებულა ვით ფიდიასი,
კლდეს შესევიან ნისლთა ბალღები...

ლამაზი არი მხარე ელინთა,
სპარტა, ულუმბო, იტა, კითარა...
სავსეა სპარტელთ სისხლით — ცხელითა
და ჯერაც რომ არ გამოიდარა?!

ფიქრნი ნისლებად ეძალებოდა,
დარდს უქარვებდა შრომა და კითხვა...
ბერებთან ტრაპეზის ემალებოდა,
არ დაცდენოდა ზედმეტი სიტყვა...

დიდ საქმეთათვის კმარა სიცოცხლე?!.
ნეტა რაშია სიცოცხლის აზრი?!.
ერთგულ მსახურად სულ ვერ იცოცხლებ,
ხმას ექოდ აქცევს კედელი ტაძრის...

ლოცვაში მდორედ გადიან დღენი,
გადიან ციურ ნეტარებაში...
ზარნი ანგრევენ სამრეკლოთ რწმენით,
მოკლდება უამი ფერთა ლელვაში...

სვამს ამფორიდან მომჟავო ღვინოს,
უდაბნოს მტვერი ადევს ბეჭებზე...
მამულს ავედრებს მზეს — წმინდა ნინოს,
ემთხვია მოძღვარს ტვიფარ-ბეჭედზე...

ჰექსაგრამები შესწირა ვერცხლის,
რომ განაახლეს ლავრა ქართველთა...
ცამ შეისუნთქა საკმევლის ფერფლი,
ქარმა შემოხსნა ჯაჭვი სარკმელთა...

ჩანს ბიზანტიის მაღალი ყელი,
ძვირფასეულით მიდის ვაჭრობა...
ვაჭართ არ უკვირთ ხორშაკი ცხელი,
სხვადასხვა ერთა არის ჩარჩობა...





გადაუკეტავს ხალიფა მანსურს,
წითელი ზღვის და ნიღლისის არხი...
ძალაუფლება ჩაიგდო და სურს,
რომ დატრიალდეს უკუღმა ჩარხი...

აღმოსავლეთს და დასავლეთს შორის,
პიზანტია შუამაგალი...
იტალიელი გამოჩნდა ქორი,
შეშინებული ყივის მამალი...

დასავლეთს აწვდის უთვალავ ოქროს,
უთვალავ მონას, ცოცხალ საქონელს...
ვენეციელი თვალში სხივს უქრობს,
აფრიკის პორტებს ხმას გააგონებს...

ნორმანებს ცუდად უჭირავთ თვალი,
ხმელთაშუა ზღვის იმდვრევა წყალი...
სიცილიელებს დაადეს ვალი,
სამეფო შეჰქმნეს მახვილის ძალით...

მისჩერებია ორ მძლე გოლიათს,
ღვთიური მადლით სავსე კოლხეთი...
ბერძენთა, სპარსთა გულს აჰყოლია,
ველარ დაუდგა უამი მოლხენის...

შეშმარიტება ვინც უცის, ცხოდეს

ღრმად იძირება საკუთარ სულში,
რათა იხილოს იქ ვინ იშვება...
სიკეთის თესლი ვარდება ხნულში
და პურის ყანა წარმოიშვება...

წუთისოფელს და ჯოჯოხეთს შორის,
გახიდულია ადამიანი...
ყვავთ არ ანაღვლებთ სიმყრალე მძორის,
გზას სინანული ანამიანებს...

შექმნილი არის ტაძრად უფლისა,
გზისპირა დუქნად გადაქცეულა...
ავაზაკივით მგმობი სჯულისა,
თავის მოყვარეთ გადასეულა...

როგორ ნაყოფსაც შობს დედამიწა,
იმავე ნაყოფს იგემებს თავად...
თავის მოვლენილ შვილს დედა იცავს
და მოალერსე მზესავით ჩავა...

ბნელში ბჟუტავენ წმინდა სანთელნი,
დედა ღვთისმშობელს თავს ავედრებენ...
მიცვალებულთა ისმის სახელნი,
ლოცვით ავსებენ, ღმერთს ავედრებენ...

მოგზაურობენ წყვდიადში მგზავრნი
და მიამიტად გზას იკითხავენ,
ვით პლანეტათა ზღვა თანამგზავრნი,
ანგელოსთა ფრთებს გამოისხამენ...

დამდაბლდა ცა და ამაღლდა მიწა,
ბაგეს ხსნის უფლის წმიდა გონება...

სასაფლაოზე მსუბუქ ფერფლს იცავს,
ყვავილობს ის, რაც დაემონება...

სოფელი პურით იზიდავს მოკვდავთ
და სულებს მძიმე ქვებით აავსებს...
ცოდვილი გვამი თევზივით მოკვდა,
გველებმა ქვანი შხამით აავსეს...

მდიდრად ცხოვრობდა ერთი ვაჭარი,
უამი მოვიდა და აღესრულა.
გაუჩინარდა როგორც ნაცარი
და რაიც სურდა ვერ აისრულა...

სავაჭროს შერჩა მისი სახელი,
ნათესავებმა გაძარცვეს სახლი...
შემორია მოყვასს ნაღველი,
ცარიელი რომ იხილა დახლი...

ჭეშმარიტება ვინც უწყის ცხონდეს,
იყოს მაცხოვრის თანაზიარი...
სულთა მწვერვალებს მზის მადლი ჰქონდეს,
მას სიყვარულით გააზიარება...

ვინც შეეხება ცოდვას — მოკვდება,
მაღალი კლდიდან ზვავად მოსწყდება!..
სიკვდილის თვალი ბრუნვით მოცვდება,
სინათლის სხივიც ველარ მოწვდება...

ჭიშკარი არის გონება ცოდვის,
ეშმაკს ეშმაკით როგორ განდევნი?!
გრიგალს ვერ უძლებს ყვავილი ქოთნის,
მცირე მიწაა მისი საყრდენი...

უმწემსო ფარა ეშვება ხევში,
ჯურღმულში ავი ქარი ღრიალებს...
ცოდვით სნეული სიკვდილი ხენეშის
და ლამის სამოსს მიაფრიალებს...

მორჩილის სიზმარი

მორჩილს სიზმარმა წაართვა თავი
და ახალგაზრდა ვაჟი იხილა...
მინდორში ველის შროშანი ყვავის,
სასწაულებრივ მბრწყინავ ღიმილად...

ყველისციხელი იცნო მთავარი,
ქრისტეს სჯულისთვის თავდადებული.
ვერ მოერია გობრონს მზაკვარი,
მზაკვრობისათვის დაბადებული...

აბულ-კასიმმა დაასჯევინა,
თავის ჯალათებს იგი სიკვდილით...
სამცხე ველურ ჯარს დაარბევინა,
მზე სისხლსა ღვრიდა ღონემიხდილი...

გაკვირვებული უმზერდა წმინდანს,
ერისმთავარი ძალზე მოხუცი...



თვალთა წყაროში ცა ჩანდა წმინდა,...
სადაც სამოთხის ლოცვას მოუცდის...

....”ბაგრატი უნდა მოვიდეს ჩემთან,
მეფე „ქართველთა, აფხაზთა, რანთა“...
ექვე გაისმა და უცებ შეწყდა,
გამოეღვიძა და არვინ ჩანდა...

* * *

ააშრიალა ტევრი ვარდობამ,
ლრუბლით მოსილი დამძიმდა მიწა...
წვიმამ შესწყვიტა ცად ნავარდობა,
მეფის სიკვდილი შეესო ხინვად...

ცა ფანასკერტის ციხეში იწვა,
ბაგრატ მესამე, ქვეყნის დიდ-მეფე...
მოღალატეთა და მტერთა რისხვა,
მამულიშვილნი რომ ადიდებენ...

ჩამოიქუფრა სამცხე, კლდეკარი,
მარტვილი, ხცისი, ტბეთი, ატენი...
კახნი და ჰერნი დგანან შემცბარნი,
მშობელი ქვეყნის მოამაგენი...

ბედიის ფრესკას წვეთავს მირონი,
იოანე ჯვარს იხუტებს გულში...
ზარს რეკენ პონტოს სანაპირონი,
წვირთთა ხმაური მოისმის სულში...

გადაიფურცლა ერთი ფურცელი,
ვით ბედნიერი უამი წარსულის...
სახე ხატისა დარჩა უცვლელი,
წაშლას ცდილობდა მტერი ავსული...

საკურთხეველთან დაკრძალეს მეფე,
მეფე: — აფხაზთა, კახთა და რანთა...
ბაგრატის ვაჟი აკურთხეს მეფედ,
მონასტერს შინა ზღვა ხალხი ჩანდა...

ეპილოგად ნათქვამი

რა უმოწყალოდ ილევა უამი,
მწყურვალს წყურვილით ახრჩობს ცხოვრება...
ხსოვნას ზვირთებით წალეკავს შლამი,
ზღვას არაფერი ემახსოვრება...

მეფეთ ჰქონიათ მეფობა ოდეს?!.
თავადთ ნამუსი და ერთი პირი?!.
გლეხკაცი უნდა ტკივილით კრთოდეს,
სპობდეს მტარვალი და შავი ჭირი!..

როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე?!.
ალბათ საწუთოს აღსასრულამდე...
ცარიელდება ჭურჭელი სავსე
და შეივსება ისევ სრულადვე...

საუკუნეთა გზაშესაყარზე,
მემატიანე განმეორდება...
კვლავ გააკრავენ მაცხოვარს ჯვარზე,
სული მიწიერ სხეულს შორდება...

მარუშისძესაც ელის საძვალე,
ელის დიდება, არდავიწყება...
ხეს მყარად დგომას ფესვი აძალებს,
გრიგალს გაუძლებს, არ წაიქცევა...

გამოესხმება ფრთანი ქარიშხალთ,
უამით უამამდე მოგვევლინება...
მოძმეთ მტრობა და შური გარიყავთ,
მეორედ მოსვლის წესი იქნება...

წინაპრის ლანდი შერჩება ციხეს,
ააზრიალებს სულთა სამრეკლოს...
ყურს მიუგდებენ ჭეშმარიტ სიტყვებს,
სურთ რომ დიადი სხივი არეკლონ...

გამობრწყინდება მზედ საქართველო,
გამთლიანდება, ვით იყო უწინ...
იმეფებს მეფე და სამმართველოდ
საერისმთავრო აღდგება ლუწი...

41



პოემის ილუსტრაციები ეკუთვნის ვასილ ბოსტაშვილს

ოლე, №2, 2016





ოთარ ხუციშვილი

მცველები

ცოლმა ზურიკოს ამ დილასაც შეუღრინა: ამხელა კაცს როგორ არ მოგბეზრდა ლოგინში კოტრიალი, ცოტა გატოკდი, თორემ ხომ ხედავ, ორსული დედაცაცი-ვით მუცელი თავზე მოგექცა.

— გავტოკდე, თორემ მეც ათასდოლარიანი სამუშაო მელოდება, — თავის მხრივ შეუღრინა ზურიკომაც, — ვთქვათ, უთენია წამოვხტი, სად წავიდე?

— სადა და მოუსავლეთში, სულაც კუს ტბაზე ადი, მთელი პარლამენტი მაგ ტბაში ცურაობს და იქნებ შენც რაღაცნაირად მიუცურდე ამ ცხოვრებას.

რაღას იზამდა, ზურიკომ ბოტასები მოძებნა, „ადილასი“ გადაიცვა და კუს ტბისკენ კუს წაბიჯით გასწია, ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ტბაზეც ავიდა და ცოლისგან განაწყენების მიუხედავად, კიდეც ესიამოვნა.

— ვა, ეგ ვიღაცა რა მაგრად ყვინთავს, მოცურავეა? — ჰერითხა ზურიკომ ტბის წაპირზე ჩაცუცქულ სპორტკომპლექსის მუშაკს.

— არა, დეპუტატია.

— სად ისნავლა ასეთი ყვინთვა?

— სადა და პარლამენტში, დილით აქ ყვინთავს, სალამოთი — ქუთაისში.

— პოლიტიკაში? — დაინტერესდა ზურიკო.

— პოლიტიკაში ხომ ყვინთავს და ყვინთავს.

— თუ იცი, რომელ პარტიაშია?

— რას გაიგებ, ყველა პარტია გამოიცვალა, ბოლოს წაციონალებში იყო, ახლა მგონი „ოცნებაში“ გადავიდა.

— მოდი, მეც ვიბანავებ, — თქვა ზურიკომ და ბოტასების გახდას შეუდგა.

— არ გამოვა, — გააფრთხილა ჩაცუცქულმა მუშაკმა.

— რატომ არ გამოვა?

— ვიდრე დეპუტატი ცურვას არ მორჩება, წყალში ვერ შეხვალ.

— რატომ კაცო, ტბაა, ტაშტი ხომ არა, რომ მორიგეობით ვიბანაოთ?

— ეგ დეპუტატის მცველებს უნდა ჰქითხო, წაპირზე რომ ელოდებიან

— მაგათ ვინ ჰქითხავთ?

— ვერ გეტყვი, მაგრამ დაუკითხავად თუ შეხვალ, გესვრიან.

— რისი ეშინიათ?

— რა ვიცი, დეპუტატები ხშირად ერთმანეთს დედმამის სულს უტრიალებენ და... ხომ შეიძლება ვიღაც განაწყენებულმა „ლიმონკა“ ესროლოს?

— ეგენი ხშირად პრეზიდენტსაც აგინებენ.

— ჴო, გუშინაც მოვისმინე, მაგრამ პირადად ამან პრეზიდენტის მხარე დაიჭირა.

— მაშინ, აღარ უნდა ეშინოდეს.

— პირიქით, ახლა პრეზიდენტის ქება ყველაზე სარისკო საქმეა.

— კარგი, ორქელზე მაინც ვივარჯიშებ.

— ორქელზე, ხომ ხედავ, ბიზნესმენი ვარჯიშობს.

— გვერდით რომ ბიჭები დგანან, რიგს უცდიან?

— არა, ბიზნესმენის მცველები არიან.

— ვისგან იცავენ?

— გამტაცებლებისგან.

— კარგი, თუ ძმა ხარ. ახლა სადღა გაიტაცებენ, პანკისი რა ხანია კრიმინალებისგან განმენდილია.

— ეჲ, რას გაიგებ, ახლა თურმე გატაცებული ბიზნესმენები მოსკოვზე გავლით პირდაპირ ერაყში გადაჰყავთ.

— მაშინ ვირბენ მაინც, — თქვა იმედგაცრუებულ-მა ზურიკომ.

— ირბენ, ოღონდ აი იმ ჯიგიტს მოერიდე.

— ეგ ვიღა.

— ვაკის მაურიტარია.

— უჲ, როგორ გასუქებულა, სწორედ მაგასთან მაქვს საქმე, რამდენი წელიწადი დავდევ და ვერ დავიჭირე. ესა თქვა და ძუნძულით გამოეყიდა მაურიტარს. ის იყო მიუახლოვდა, რომ ბუჩქებიდან სამი შეიარაღებული გადმოხტა.

— სდექ! — იყვირეს მათ.

— რა მოხდა? — იკითხა შეცბუნებულმა ზურიკომ.

— მეტად აღარ მიუახლოვდე, თორემ გესვრით.

— რა სროლა აგიტყდათ, ხალხო, ჩემი დეპუტატია, რაღაც მინდა ვუთხრა...

— შენი კი არა, ხალხის დეპუტატია, — გაუსწორეს მათ.

— დამხემარე, შენთან სალაპარაკო მაქვს, — შეეხვენა ზურიკო მაურიტარს.

— რა ვენა, სული მიკანკანებს ამომრჩევლებთან შესახვედრად, მაგრამ ხომ ხედავ დაცვა ნებას არ მაძლევს.

— მაშინ პარლამენტში მოგალ.

— იქ სულ არ მცალია, დღედალამ კანონმთხვევლობაში ვართ.

— აბა, როდის შეგხვდე.

— აი, მალე წინასაარჩევნო კამპანია დაიწყება და მაშინ რამდენიც გინდა, იმდენი ვილაპარაკოთ.

დალვრემილი დაბრუნდა ზურიკო სახლში. ცუდად არის საქმე, აუწყა მან მეუღლეს, თუ დაცვა არ ავიყვანე, კუს ტბაზე შეიძლება ზოგი ჩვენი დეპუტატის მაგიერ მე გამაგორონ.

თავმების პიზნესი

ორმთავრობაგამოვლილი უმუშევრობის შემდეგ დიტო ხევდელიძემ დიდად გაიხარა, როცა შეიტყო, რომ ახალი ხელისუფლება, წინებისგან განსხვავებით, მხარს უჭერდა მცირე ბიზნესის განვითარებას. მას ბევრი აღარ უფიქრია, ერთ მშვენიერ დღეს პირდაპირ ზოოპარკს მიადგა და მენეჯერთან აუდიენცია ითხოვა.

— რამ შეგანუხათ? — იკითხა საქმეში თავჩარგულმა მელოტმა მამაკაცმა.

— თავვების გაყიდვა გადავწყვიტე, — თქვა მორიდებით სტუმარმა, — და ამიტომ გეახელით.

— გაყიდეთ მერე, ვინ დაგიშალათ?

— ბაზარში გავიყვანდი, მაგრამ ზოოპარკმა მინდა შეიძინოს.

— რატომ მაინცდამაინც ზოოპარკმა?

— არ მინდა ისინი სამუდამოდ დავკარგო, აქ როცა მომესურვება, შემოვილი და ვნახავ.

— რა მოგესურვება, თაგვები, კაცო?

— ჰო, თაგვები, — ცრემლები მოადგა დიტოს.

— მასე თუ გიყვართ, რატომდა ყიდით?

— აბა, ბიზნესი რით გავაკეთო? ბანკმა კრედიტი არ მომცა, სხვა კი არაფერი მაბადია. მოგესენებათ, დღეს რაღაც ბიზნესი თუ არა გაქვს, ვერ იცხოვრებ.

— არა, თავვებს ვერ ვიყიდით, — მოკლედ მოუჭრა მელოტმა.

— რატომ?

— ამას რა კითხვა უნდა, ხალხი ზოოპარკში ვეფხვებისა და ნიანგების სანახავად აღარ შემოდის და თაგვებით ვინ დაინტერესდება?

— რას ამბობთ, ჩემი თაგვები ისეთი კულტურული და ელეგანტურები არიან, ბავშვებმა ერთხელ თუ მოკრეს თვალი, აღარ მოეშვებიან.

— კარგით ერთი, თაგვი და ელეგანტური სად გაგონილა?

— აი, პირადად გაიცნობთ და დარწმუნდებით. თანაც როგორი თვალმახარები არიან: იასამნისფერი, ზამბახისფერი, ზურმუტისფერი, თქვენ წარმოიდგინეთ, მკვდარი ზღვისფერი თაგვებიც კი მყავს. თქვენ რომელიც მოგეწონებათ, იმას შეგირჩევთ.

— მდაა, საინტერესოა, — დაამთქარა მენეჯერმა.

— აბა რა გგონიათ, ამერიკიდან ჩამოვიყვანე, ნამდვილი დემოკრატები არიან, თანაც, იუმორისტი დემოკრატები.

— იუმორისტი? — გაიკვრვა მელოტმა, — კი მაგრამ ამას როგორ გამოხატავენ?

— კბილების კანუნით და კუდის ქიცინით, თუ რა-მე სამხიარულოს მოპერეს ყური, სიცილით ბჟირდებიან და თუ რამე არ მოეწონათ, მაშინვე აკრუსუნდებიან.

— მაინც რა არ მოსწონთ?

— აი, პუტინის კრიტიკაზე, მაგალითად, ძალიან ნერვიულობენ.

— რატომ, არარუსული ორიენტაციისანი არიან?

— არა, უბრალო მეოცნებენი.

— არ გამოვა, — გააქნია თავი მენეჯერმა.

— რატომ?

— ეს ზოოპარკია, ჩემო ძმაო, პარლამენტი კი არა, რომ ცხოველები გალიებში პარტიულობის მიხედვით დავაჯგუფოთ. ჩვენ პოლიტიზებული თაგვები არ გამოგვადგებიან.

— თქვენ ასე ფიქრობთ?

— რა თქმა უნდა, ზოოპარკში უამრავი ადამიანი შემოდის, ზოგს პუტინი მოსწონს, ზოგს სააკაშვილი, მე თაგვების ხუშტურს სად ვუყურო?

— არა, ოპოზიციაში კი არავის ჩაუდგებიან, — დაამშვიდა დიტომ, — როგორც ხელისუფლება მოისურვებს, ისე მოიქცევიან.

— ვთქვათ დაგთანხმდით, — მოლბა მენეჯერი, — მაგრამ როგორც ინდმენარმე, რეგისტრაციაში უნდა იყოთ გატარებული.

— ეგ რაღა საჭიროა?

— აბა, საგადასახადო რომ მკითხავს თაგვები ვისგან შეიძინეო, რა საბუთი წარვუდგინო?

— აკი მენარმედ გახდომის პროცედურა ძალიან გამარტივდაო?

— ეს სიტყვით, მაგრამ საქმით ასეა.

— როგორ, კაცო, — წამოენთო დიტო, — ბენდუქიძემ მთელი ქვეყნის მიწები გაყიდა და მე თაგვები ვეღარ გავყიდო?

— თქვენ ბენდუქიძეს რას უყურებთ, იმან სახელმწიფო მიწები გაყიდა, ჩემო ბატონო, თქვენ კი საკუთარ თაგვებს ყიდით. ბიზნესის კეთებას თუ აპირებთ, ამ ანბანურ ჭეშმარიტებაში უნდა ერკვეოდეთ. ალბათ, იმის ცოდნაც დაგჭირდებათ, რომ თაგვები განბაშებული უნდა იყოს.

— ბენდუქიძეს რა, მიწები განბაშებული ჰქონდა?

— აკი მიგანიმნეთ, კანონებში ვერ ერკვევით, მიწები ადგილობრივია და განბაშება არ სჭირდება, თქვენ კი თაგვები საზღვარგარეთიდან ჩამოიყვანეთ.

— საზღვარგარეთიდან დედ-მამა ჩამოვიყვანე, ჩემო ბატონო, თორემ ისინი, თქვენ რომ უნდა მოგყიდოთ, წმინდა სისხლის ორიგინალები არიან.

— არ ვიცი, შენი თაგვების გულისტვის კანონს ვერ შევეკამათები, თაგვები განბაშებული უნდა იყოს, მორჩა და გათავდა!

— ზოოპარკში ყველა ცხოველი განბაშებული გყავთ?

— რა თქმა უნდა, ცხოველებიც და ფრინველებიც. ამას წინათ ერთი შაშვი აღმოგვიჩინეს განუბაშებელი და დირექტორი ეგრევე მიახსნეს.

— იქნებ ახალმა დირექტორმა მომცეს თანხმობა?

— არა, ბატონო, არა, კაცი ახალი დანიშნულია და თაგვის გულისტვის თავს გაიფუქებს?

დიტო დაძმარებული გამოვიდა ზოოპარკიდან. მი-დიოდა შინ და ფიქრობდა: ეს სადაური დემოკრატია, ეჭეყანა დათვების, მგლების, ტურების, შელიების ბიზნესმა შეჭამა, თაგვების ბიზნესი კი არავის უნდა, არა, ძმაო, ასე თუ გაგრძელდა, მცირე ბიზნესი სულს ვერა-სოდეს მოითქვამს.





პთაგია

ციური მესხეთში

44



ციური მესხეთში დაიბადა მესხეთში. თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში დასავლეთ ევროპის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. მისი ლექსები დაბეჭდილია სხვადასხვა კონკურსების ლიტერატურულ კრებულებში: „მოდინახე-2015“, „ოდეონი-2014/15“, „სიკეთის წიგნი-2015“, „ემიგრანტის წერილი-2015“, „მშინდა ნინოს ჯვარი-2015“, „ბუკნაჭო-2015“. არის მრავალგზის ფინალისტი, პრიზიორი და პრემირებული კონკურსანტი. მიღებული აქვს „შოთაობის“ მე-3 პრემია და წმინდა ნინოს ჯვრის მედალი. „მესხური ფესტივალის“ სპეციალური პრიზი. არის „საქართველოს ქალთა საბჭოს“ წევრი.

მე და შენ

შენ ხიდი ხარ, პატარა,
მე — მჩეულებელი მდინარე,
შენ — ბურჯი ხარ, კლდის ძირი,
მე — ხან ქალი მძინარე...
შენ — ბადე ხარ, ტირიფის,
მე — თევზი ვარ, ლიფსიტა,
წყალმა რომ გამორიყა,
საკოცნელად წყლის პირთან!
ზოგჯერ, ნაკადული ვარ,
ვემალები ჩინარებს,
შენც რომ კოცნა გინდოდა
თავი მოვიმძინარე...
ჰოდა! — წყალმა წაგვილო,
მეც, შენც, — ხიდიც პატარა,
ახლა, ვნანობ რომ მაშინ
გაკოცნინე რად არა?!
ჰოდა, ჩემო ძვირფასო,
გიხმობს შენი მდინარე,
მოდი, ახლა მაკოცე
თავს არ მოვიმძინარებ!...

მაგრამ იცით?! — საკურთხევლის კარზე,
არსად ჩანდა საყვარელი მამა...

ტაში გოგო, კუნწულაო, დასცხეს!
ცივ ეკალმა დამიარა ტანში,
მარგალიტით მოქარებული კაბა,
გულწასული ფრიალებდა ქარში...

ნინანდალში

ნინანდალში, ალექსანდრეს ლამაზ ბალში,
ოცნებების და ნატვრის ხე ხარობს!
ჩაიფიქრე და შეაბი ჭრელი ძაფი,
თუ რამე გსურს აგიზდება ქალო!....
დავსეირნობ სიყვარულის ხეივანში
სევდანი და კითხვას ვსვამ: რატომ,
თუკი ყველას აუსრულდა ოცნებები,
რად დაემსხვრა სიყვარული ტატოს?!.
ამ ფიქრებით შევიქენი დარდიანი
და მომინდა ჩუმად ყოფნა, — მარტოს,
შემებრალა ბედნიერი დადიანი,
გავალმერთე ბედდამწვარი ტატო!

ტაში გოგო, კუნწულო

ტაში გოგო, კუნწულაო, ტაში!
მამაჩემი შემოჰკრავდა დოლს და...
ურუანტელი დამივლიდა ტანში,
გარეთ კიდევ საამურად თოვდა.
ტაში გოგო, კუნწულაო, ტაში
და ბუხარში ტკაცუნობდა რცხილა,
ნაპერწკალი ინთებოდა თვალში,
იწყებოდა ბედნიერი დილა...
ტაში გოგო, კუნწულაო, ტაში!
და ყოველდღე გრძელდებოდა ასე,
სევდა გაჩნდა უცებ დოლის ხმაში
და ავცეკვდით მის სევდიან ხმაზე...
მას ჩააკვა შავი ფრაკი ტანზე
ბედისწერამ!.. მე კი — თეთრი კაბა,

გაზაფხულის ქორწილი

როგორ გამომეპარა,
გაზაფხულის ქორწილი,
გზაზე ქარი ამიძღვა
უსაქმური, მოცლილი...
ჭორაობით მოვედით,
თებერვლიდან მარტამდე,
ყვავილები გვირგვინებს,
ატმის ძირში ფანტავდნენ...
„მადლი მახარობელსო“ —
მოგვაძახა ჩიორამ,
თურმე ჩიტი-ჩიორა
უჩემობას ჩიოდა:



ძველებურად, კვლავ მინდა
წიგნის ყდაზე მხატავდე,
პაემანზე კვლავ გელი
თებერვლიდან — მარტამდე!...

თამაში ჭვავის ყანაში

გახსოვს?! — შენ რომ მაჩუქე,
თეთრი კაბა მარტაშის,
ქარი ველარ გაჩერდა,
როგორც ხმალი ქარქაშში...
პაემანი დამითქვა,
ბრონეულმა ბრდლვიალამ,
გიუმა ქარმა ეჭვებით
კალთა ამიფრიალა.
ბრდლვიალებდა ყაყაჩოც,
ჭვავის პურის ყანაში,
სელინჯერმა მასწავლა
ღილილოსთან თამაში...
გახსოვს?! — შენ რომ მაკოცე,
რა დრო იყო, აჲ! მაშინ...
აფსუს! — ველარ მოვასწრეთ,
სიყვარულთან თამაში!...
ვგრძნობდი, როგორ გიყვარდი,
შენს ნაჩუქარ კაბაში,
შენ კი არა, თვალები
გამომიტყდნენ ამაში!...

მამიდას

თოვლია და ზამთარია
დაჯდება და არ მიდის,
ან სად წავა, იმედი აქვს
საყვარელი მამიდის...
უყვარს ტკბილი მუსაიფი
პაპისა და პაპიდის,
გაჭვარტლული ძველი ლამფა
ჩუქურთმიან მაგიდის.
ჩამოჯდება ჩვენთან, ბალში,
ასკილების ბუჩქებთან...
ეტყობა რომ სიყვარულის
წყარო გადმოუჩეულდათ!..
წითელ მძივებს ათამაშებთ,
როგორც ყელი მამიდის,
რა კარგი ხართ ასკილებო,
მისი სუნი აგიდით!

ჩემს მაგივრად

ნაბიჯ-ნაბიჯ მიმიყვანე მზის გულამდე,
გული როცა ორად იყო გაყოფილი,
გამახსენდა ყველა-ძველი სიყვარული,
უკნაური, ყოფილი თუ არ ყოფილი...
მაშინ, როცა დედამიწის ორბიტიდან,
გავემგზავრე ცაში, ღმერთთან შესახვედრად
ვარდისფერი ანგელოზი მედგა გვერდით,
მინაზე კი შენ მელოდი (გმადლობ!) ბედად...
დამფრთხალი და პანანინა ჩიტის გულით,

ღმერთს ვთხოვდი და მიგზავნიდა
მზე მაშველებს,
კიდევ კარგი, ჩემი თეთრო ანგელოზო,
დამლოცე და ოქროს ხელი შემამველე.
აღმაფრენა, შეიცვალა დალმაფრენით,
იმ გორიდან... მომიყვანე ამ გორამდე,
მზის ჩასვლისას პაემანზე ისევ გელი,
წუთი რჩება უკანასკნელ ამბორამდე...
და თუ მთვარეს ისევ ცაში გავეკიდო,
ენძელებით რომ მოქარგავს მზე ამ გორებს,
ისევ მოვა თეთრი მარტი, გაზაფხული,
ჩემს მაგივრად... ყოჩივარდებს ეამბორე!..

45

უუუნა წვიმაში

რა ლამაზი დღე იყო,
მზე რომ ღრუბლებს გაშლიდა,
ბებო ამოხტებოდა
შალის ჭრელი თავშლიდან.
ჩითის კაბის კალთები,
სავსე ჰქონდა ვაშლითა,
სულაც ვერ მაშინებდა
ბევრის ჭამის დაშლითა...
მე უუუნა წვიმაში,
ვსველდებოდი, ვშრებოდი,
მიწყრებოდა ბებო და
მე ჯინაზე ვშვრებოდი...
წკაპურტები მოგხვდება,
ყურს აგაჭრი დაშნითა!..
უცებ გამომეცხადა
მამა ჭრელი კაშნითა.
შემაშინა გგონიათ,
შავ ტარიან დაშნითა?!

იქეთ მე დავემუქრე!
გარეთ გავსხლტი, გავშპი თან...
მივაძახე: გუშინნინ
გნახე მაგ ჭრელ კაშნითა,
ვიღაც ქალს რომ კოცნიდი,
ვერ ვიცანი თავშლითა...
მამიერა განითლდა,
ტუჩზე თითი მიიდო...
ცელქმა გოგომ საჩუქრად
მამის კოცნა მიიღო!...

ჩაი ნისიად!

გაზაფხულია! მეწვიე,
მერცხალისავით, ჩვენსასა,
ფინჯანს მოვხატავ ყალამით,
სახელს დავარქმევ შენსასა...
მოვავარაყებ მზის გულით,
გვირგვინს მოვუწი ბზისასას,
თან თაფლაკვერებს დაგიცხობ
(უყვარხარ, გოგოს, ცისასას!)
ცისას, ციას, თუ ცისიას,
ცისფერი კაბა აცვია,
თავს ევლებიან პეპლები,
თმას ოფოფები ვარცხნიან!
საჩაიეში მუშაობს
და ჩაი დააქვს ფინჯანით,
გუშინ ხელებიც დაიწვა,

ოლე, №2, 2016



მზეს რომ მიართვა დღიდ ჯამით...
გვირილის ჩაი დარიჩნით,
ვინ შეუკვეთა, ვისია?
არ გინდათ ჩაი ლიმნით და
ზედ ერთი კოცნით — ნისიად?!..

გვირილებიც ხომ არ მომეშველებიან?
გვირილებზე გამახსენდა, ვარძიაში,
ლურჯ გუმბათზე რა ლამაზად გვირილობენ:
მზე ამოდის და მზესავით იცინიან,
მზე ჩადის და მთვარესავით ღიმილობენ!...



სიყვარულის ფიცი აფეთქება

გუძლვნი, იაპონიაში მყოფ, ჩემს ვაჟს — ჯაბას

დრო არ იყო, როცა იყო უდროობა,
დრო დადგა და უდროობა წავიდა,
სწორედ მაშინ დამირღვიე მყუდროება,
დროის ათვლა რომ დავიწყე წამიდან.
მაშინ მოხდა გულში დიდი აფეთქება,
წარმოიშვა სიყვარულის სამყარო,
რა მოხდება, იმ თვალების დაფეთქება,
ერთხელ კიდევ დამიხატო ფანქარო!
ვერაფერი ვერ გავუგე ვანტოლებას,
უტოლობას, გამრავლებას, გაყოფას,
სიყვარული მომიტანეს ფანტელებმა,
წუთისოფლის ორბიტაზე სამყოფად!
ვერ ვისვენებ და სამყაროს ვუკირკიტებ,
ელექტრონი პოლუსისკენ მიზიდავს,
მეშინია, გრიგალი არ ამოვარდეს
და შავ ხერელში ჩამითრიოს იზიდამ...
ჰოდა, მიტომ მირჩევნია გავერიდო,
ჩრდილოეთის ყინულოვან სფეროებს,
ეკვატორზე განტოლილ ხომალდებით
სამხრეთისკენ გავყვე ისევ წეროებს....

ყარძის ყაყაჩოები

ცას ლრუბელი ჩამოვჭერი ფთილა-ფთილა,
თითისტარზე დავძახე და დაგინართე,
ხვალ, როდესაც გათენდება ტკბილად დილა,
მზეს მოვქსოვ და ხვალ დილასაც გაგინათებ!
ყაყაჩონო! ჩემი ყანაც რა ლამაზად,
გიშრის თვლებით წითლად მოგიმშვენებიათ?
ღვთისმშობელის ჩითები მაქვს მოსაქარგი,

ფინჭან ყავაზე

მეუღლეს

გეპატიუები ფინჯან ყავაზე,
რაც არის, არის! — ჯანი გავარდეს!
მე გადავაგდებ გვერდზე ყავარჯენს
და ძველ ბუხარში კვლავ ცეცხლს ავანთებ...
ავაგიზგიზოთ ჩვენი ბავშვობა,
ოქროს წუთები დავფქვათ საფქვავში,
ჭიქას ვაცადოთ ცოტა გაშრობა,
რომ არ წავილოთ ცრემლი საფლავში....
დავსხდეთ და ცოტაც ვიმარჩიელოთ,
ნაბლის ხე მაინც დასაქერქია,
მიმარჩიელე, დიდხანს სიცოცხლე,
ჩემო ბებერო წაცარქექია!

მარიტა სონეტი

ცას თუ უფალმა მზე აჩუქა გულზე საკიდად,
მინის ალმასი შენ იყავო, მზეო მარიტა...
და მაინც გიხმო ბედისწერამ შენ განსაკითხად
ობოლო ცრემლო, გაჩენილო ცის მარგალიტად.
შენ ხომ გიყვარდა ბრონეულის აყვავილება,
უფაქიზეი გრძნობით, როგორც შენი გედია,
რად არ გაცალეს თვით ყვავილო, დაყვავილება?
რად ამოსვარეს თქვი, ტალახში, შენი ბედია?
ქვით რომ ჩაგქოლეს და გაქციეს ისევ ტალახად,
უგულოებმა აგიშენეს გულზე ყორენი,
შენ ისევ მოხვალ უფაქიზეს მწვანე ბალახად,
ჩაძალლდებიან ყორიანში ციციკორენი...
გული არ დაგწყდეს, თუ გაგსვარეს უფლის ნაქები,
მზე ბნელდება და მთვარეს ააქვს შავი ლაქები!





ხელი ზუროშვილი

ნელი ზუროშვილი დაიბადა 1951 წლის 17 ივნისს თელავში. დაამთავრა ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია (მუსიკის მცოდნეობა) და საქართველოს ხელოვნების აკადემია (ფორტეპიანოს სპეციალობა). ასევე, დამთავრებული აქვს კონსერვატორიასთან არსებული უურნალისტიკის ფაკულტეტი.

ამჟამად მუშაობს პედაგოგად ნიკო სულხანიშვილის სახელობის თელავის სამუსიკო საწავლებელში.



ჭანგო

ეს, — ფენომენი — ტანგო,
ცეკვა, — ცეცხლი და ვნება...
ო, ეს ნეტარი ტანგო —
ემოცია და გზნება.

ვნება — მოძრავი, შმაგი,
ცხელი რიტმები დრამის,
ბანდონეონის ტემპი,
რომ გაგაბრუებს, ლამის.

რომანტიკული ფერი,
განცდის: რა — ნთების, რა — წვის,
გულების სწრაფი ცემა,
აელვარება ღანვის.

ტანგო, — წითელი კაბა,
ტანგო, — შლაპა და ვარდი,
დაჟინებული მზერა...
და... ემოცია — მზარდი.

ძლიერ, ვაჟკაცურ სხეულს
ნაზი გრაცია ეკვრის...
და... პერკუსიაც ტანგოს —
თავის რიტმებით ერწყმის.

P.S.

ო, არ გველირსა, ერთხელ,
რომ კვლავ გვეცეცვა ტანგო...
და... მეღიმება, ჩემთვის,
თუ, მიმიხვდები, რატომ?..

სიზმარი

სიზმარი ვნახე გამოუცნობი —
გამომეცხადა ვინმე, უცნობი:
თეთრ სამოსელში, თეთრ რაშზე
მჯდარი,
ხელთ ეპყრა ოქროს ლამაზი ჯვარი.
გარშემო ერტყა — მბზინავი რკალი,
შემომანათა ცისფერი თვალი:
„კეთილი, მშვიდი და ასე წმინდა
ყოველთვის იყო — მე ასე მინდა“.

ეს თქვა და უმალ, ფრთიანი რაშით,
გაუჩინარდა — სულ მაღლა, ცაში.

მთაში...

მთის მწვერვალებს ავუყვები,
მთის გრეხილებს დავუყვები,
მთა თავისას მომიყვება
და მეც ჩემსას მოვუყვები.
მოვუყვები, რომ მასავით
მიყვარს მზე და მიყვარს მთვარე,
თვითონ, მთა და მის გარშემო —
ნაირფერი არემარე.
მეც, მასავით, მწუხრს განვიცდი,
და... მასავით შუქი მმოსავს,
მეც, მასავით, მიძგერს გული —
კეთილს, ლამაზს როცა ლოცავს.
და ბლავილი ირმის მეც მძრავს,
მეც ზუზუნი ქარის მაკრთობს,
მისებრ ვუმზერ ვარსკვლავებს და
სიყვარული მხიბლავს, მათრობს.

ჭუზეპე ვერდის „აიდა“

ცრემლმორეული მგოსანი
ააკვნესებდა ლირას,
უმდერდა უკვდავ სიყვარულს,
განცდილს ნილოსის პირას...

იქ, რადამესი, ჯურლმულში —
მისჩერებია ლოდებს,
აი, აიდაც გამოჩნდა —
ის, მის სიყვარულს მონებს!

შავ სამოსელში, ამნერის,
ლმერთებს თავს ატეხს რისხვას,
ქურუმებს წყევლას უგზავნის
და უმონყალოდ კიცხავს!

აიდასავით სიყვარულს —
მხილოდ, ერთისთვის მონებს,



გახევებული ამნერის,
ცხარე ცრემლებით გოდებს.

სასწავლო კურსი მიუეშურები...

თეორი ზამპანი

ზამპანი აფეთქებულა,
გამისპეტაკა ბალნარი,
პატარძალივით ლამაზი,
თეორი გედივით ნარნარი.

სხვა ზამპანი, მის ირგვლივ,
ნაირფერებად ბზინავენ,
ცეკვის ფერხულში ჩაბმულან,
გალალებულან, ბრნყინავენ.

ჩემს ბრონეულას ვარდისფერს,
მთლად დასკდომია კვირტები,
თეორი ზამპანი დედოფლობს,
სეფექალობენ ტიტები!

ფრისწვალება

ამინდი თბილი
ირგვლივ — სიმშვიდე,
უქაროდ მომწყინდა.....

უეცრად... ქარმა,
რომ, არც ველოდი,
ფოთლები მოწყვიტა.

ხე გაშიშვლა,
წელში მოლუნა
და შეარხია;

ქარმა ფოთლების
ოქროს სამოსი
შემომახვია...

გაგიუებულმა
ცისფერი კაბა
შემომახია!

და... მერე, ისევ,
ოქროს ფოთლების
ოქროს სამოსი —

ძალზედ სათუთად,
თითქოს, პატარას,
შემომახვია!

ამდენი ფიქრით ღამე დავლალე,
ჩემი ფიქრებით არც დღეს არ ვინდობ,
ხან, გამიელვებს — ფიქრი მაცდური,
და უფალ, ამ დროს, დამინდოს.

და... ჩამოვიხსნი ფიქრთა საბურველს,
გავეშურები ჩვეული გზებით,
აქ არის ჩემი მცირე სამყარო, —
ფიქრებს ვტოვებ და ვიცხები გზნებით.

აქ არის — ჩემი ნავსაყუდელი,
აქ გაირბინა — ახალგაზრდობამ,
მძიმე ეპოქამ, დიდი ტანკივით,
გადაგვიარა და არ დაგვზოგა.

და შიგნით ტირის სულის სამყარო,
გული საგულეს ველარ მეტეგა;
„არ გაქვს უფლება დაეცე ახლა,
ძლიერი რომ ხარ, გმართებს შეტევა!..“

და... ბეთჰოვენი თვალში თვალს მიყრის,
ტკივილებისგან, თვითონ სდის ოფლი...
სად — მისი ურვა და... ბედისნერა,
მის გაჭირვებას მე ვერც კი მოვთვლი.

ჩემს აურადან უნდა ავყარო:
ფუჭი ოცნება, სევდა, ტკივილი,
იქნებ, შევცვალო ჩემი სამყარო, —
სიცოცხლის კოდმა მომცეს ღიმილი...

შორიდან ისმის ვიოლინოს ხმა
და... მომნუსხავი გიტარის ხმები...
ეს არის — ჩემი ბედნიერება! —
და... მეც, სულ უფრო, ამაყი ვხდები...

ნისლები

დაბლა — დასულან ნისლები,
მალლა — მწვერვალნი ბრნყინავენ,
ამ სახლის აივნიდან
მოჩანს სურათი ბრნყინვალე.
ფარას მაგონებს ნისლები,
გაფანტულს მინდორ-ველადა,
არა ჰყავთ მწყემსი, ნაგაზი,
მიტომ ცურავენ ნელადა.
მყინვარნვერს — ოქროს გვირგვინი
თავს დაუხურავს მეფურად,
მწვერვალებს — თეორი ფაფახი
ჩამოუფხატავთ მწყემსურად.
თოვლს გაუშლია მთის ძირში
საბანი — სასთაულითა,
მე, ეს კონტრასტი მაოცებს, —
ბუნების სასწაულითა...





ნორა ედიშერაშვილი

49



გზა პატარძეულზე გადის

(გოგლას წყარო)

არსად ისე უხვი და სურნელოვანი შემოდგომა არ იცის, როგორც კახეთში. ძონისფრად აელვარდება ბრონეულის ხეები. ვაზის ფოთლებიდან იჯვრიტება ქარვა-თაფლიანი მტევნები. მიწაზე გაზოლილან საზამთროები, შუკიდან შუკაში გადადის ნესვის არომატული სუნი.

არა, ქართლელს არ გაუკვირდება ამდენი ხილის ნახვა, მაგრამ, კახეთში მგზავრობა და ლხინი კახელებთან, სიამეს მგვრის.

სხვა რამეც მიზიდავს აქეთკენ: — კვეტერა და ნეკრესი, ალავერდი და შუამთა, გრემი და იყალთო...

გზა კი პატარძეულზე გადის...

პატარძეულში, გიორგი ლეონიძის სუნთქვა ჯერაც არ გაუყოლიებია ზეფირს, წყაროს ცივ წყალს ენაფება აქაური ნაბდიანი და ყოველი პეშვის შესმისას, გულიდან ამოხეთქავს სიტყვები:

— გაიხარე, გოგლა, ამ სიკეთისთვის!

ამ წყალს „გოგლას წყარო“ ჰქვია.

ხვავრიელი შემოდგომის ერთ დღეს, კახეთისკენ მიმაქროლებს ავტობუსი. სწორედ წამოსვლის წინა დღეს შემხვდა მწერალი შაქრო სამადაშვილი და სხვათა შორის, ასეთი რამ მითხრა;

— გოგლას პატარძეულში ჩამოსვლა ძალიან უყვარდა, მაგრამ არც სხვა სოფლებს ივნიყებდა. გადავედი ერთხელ პატარძეულში და დავიპატიუჟ ბაკურციხეში, თან დავძინე, რომ ისეთ სასიამოვნო თანამესუფრებს დაგახვედრებ, სული და გული დაგიამონ მეთქი. მანც ვინაო, — მითხრა. მე ჩამოვუთვალე ვინც იქნებოდნენ.

— ჩემო შაქრო, თუ გინდა მასიამოვნო, დამიპატიუჟ მხვნელები, გუთნის დედები, მთესავები, მევენახები, მწყემსები, მეფუტკრეები...

ეს სიტყვები, ახლაც ჩამესმის ყურში და გულდაგულ ვათვალიერებ ავტობუსში მოჯარულ კახელებს, სახეზე ბრინჯაოსფერი რომ დასდებიათ და თითებზე მინის სურნელება ასდით.

მგზავრობამ ფიქრების შემოსევა იცის: აი, 1965 წლის ზამთრის ერთი, პირქუში დღე, რუსთაველის გამზირზე აუარება ავტომანქანა მიჰერის. ალექსანდრე ჭავჭავაძის ალმართის კუთხეში, ჩალისფერი „ვოლგა“ მეცნაურა. არც შევცდი. გიორგი ლეონიძე მოთმინებით ელის მძლოლს და ძალუმად ეწევა სიგარეტს.

— გამარჯობათ, ბატონო გიორგი!

— როგორ გამახარე, გოგო, რა არის ახალი ქართლში, როგორი შემოდგომა გაისტუმრეთ კასპელებმა? — ბუხუნებს თავისებური, გოგლასეული ხმით.

— კარგი, ბატონო გიორგი, მეტად კარგი, აი, როცა გვესტუმრებით...

— ლეონიძის სტუმრობა, ნუ გგონია ხუმრობა, მოდი, დაჯექი, მიამბე, ახალი რა დაწერე, გაიზარდეთ არა შემოქმედებაში.

როგორც იქნა მძღოლიც გამოჩნდა და „ვოლგამ“, ცოტა ხანში, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის წინ დაამუხრუჭა.

ვიწრო, ერთფანჯრიან კაბინეტს ვაჟა-ფშაველას ვება სურათი ამშვენებს. შემოდიან მეცნიერ-მუშაკები... ათასი საქმეა მოსაგვარებელი და საქმიანობს დირექტორიც.

დამთავრდა დღე. კაბინეტში რამდენიმე თანამშრომელი შემოვიდა.

— თქვენი სტუმრიანად „სტელაში“ წავიდეთ, ბატონო გიორგი, — მიმართავს გიორგი ციციმვილი.

რესტორანი-ბალი, „სტელა“, ცენტრალური მოედნის ცოტა ზემოთაა, გაჩირალდნებულ ეზოში ხალხმრავლობაა...

— გოგლას გაუმარჯოს!

— ჩვენს სუფრასთან მობრძანდით, ბატონო გოგლა!

— ერთი თქვენი სადღეგრძელო გამაგონე და მერე, თუნდა, მოვაკედე, — იძახის ვიღაცა.

და, გოგლაც მიდის ხან ერთ სუფრასთან, ხან, — მეორესთან. ბუხუნებს, საქართველოს სიყვარულით ინვის, ადიდებს ვაზს, გლეხკაცის მარჯვენას.

...ავტობუსი პატარძეულში ჩერდება.

— აი ის სახლია, შვილო, ლეონიძესი, — მეუბნება სახე ღაუღაუ კახელი. ხევის პირას, მაღლობზე, ლამაზი სახლი მოჩანს. უუყურებ და, გულში ლეონიძის ლექს ვამბობ...

— „გოგლას წყაროსთან“ გაგვიჩერე, შენ გახარებასა, — მიუბრუნდა გლეხი ავტობუსის მძღოლს, — სტუმარსაც დავალევინებთ პატარძეულის წყალს, — ახლა მე შემომხედა ლიმილდაყრილი სახით.

ავტობუსი „გოგლას წყაროსთან“ ჩერდება. ყველა გადმოდის, უნდათ, თუ არ უნდათ, სკამენ გიორგი ლეონიძის გამოყვანილ წყაროს წყალს.

ჩემს ფიქრებში კი წყნეთი ამოტივტივდა. 1966



ნლის ცხელი ივლისი. სიცხით გათანგული დიდი პოეტი, მოძალულ სენს სარეცელზე ეძრდვის.

— პატარძეულის წყალი მომიტანეთ, იქნებ მიშველოს...

და მოაქვთ პატარძეულის წყალი... პოეტი ამ წყალით სავსე ჯამში ხელებს აწყობს.

ვეღარ უშველა პატარძეულის წყალმა. დაიცალა სიცოცხლის ერთი პეშვი, მაგრამ, არ დაშრება გიორგი ლეონიძის შემოქმედების წყარო, წყარო სიბრძნისა

და უკვდავებისა, წყარო ხალხის სულიერი საზრდოსი, რომელსაც თავისი ერის გულში, სამშობლოს მიწაში აქვს სათავე დადებული...

.....
მგზავრო, კეთილო! კახეთში მიმავალი გზა პატარძეულზე გადის. შეჩერდი ერთ წამს და შესვი „გოგლას წყარო“.

შესვი, გაამებს!

ის მზიანი შეხვედრები

50



ნოდარ დუმბაძე ჩემი თაობის (და არა მარტო ჩემი) კერპი იყო. ახლაც თვალწინ მიდგას ის გაოცება და ემოციები (მაშინ სტუდენტი გახლდით), როცა აქამდე უცნობი სტილითა და ტექნიკით შესრულებულ რომანს ვკითხულობდით, რომელიც სავსე იყო ცრემლნარევი იუმორით, ამოუწურავი ფანტაზიით, სასაცილო ეპიზოდებით, ბუნებრივი პასაუებით, ადამიანური სევდითა და ტკივილებით... ამიტომ იდგა გრძელი რიგები საგაზეთო ჯიხურებთან, ხელმომწერებთან, ბიბლიოთეკებში... და ახალგაზრდების საყვარელი უურნალი „ცისკარიც“ ხელიდან ხელში გადადიოდა, იცრიცებოდა, ფერმკრთალდებოდა...

ეგ კია, რომ გვიკვირდა, ასეთი დიდი სითბოთი და სიყვარულით გაჯერებული რომანი, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, რომელიც კაცთმოყვარეობისა და ჰუმანურობის საგალობელი იყო, რატომ ამოაფარა რედაციამ უურნალის იუმორისტულ განყოფილებას, თანაც, პეტიტიოთ, რომელსაც ძლივს ვკითხულობდით. როგორც ჩანს, მკაცრი ცენზურისა და კომუნისტური წერბის ქვეშ მყოფი რედაქტორისათვის, გამოსავალი ალბათ, ეს იყო, რამეთუ, შესაძლოა დახურათ. აკი მოპყვა კიდეც მავანთა „შეფასება“. კრიტიკოსი გურამ გვერდნითელი გულისტკივილით გვამცნობს: „იგი ქართული რომანის დეგრადირების სიმპტომად იქნა გამოცხადებული თავისი ვითომცდა არასერიოზულობის გამო“.

ნოდარ დუმბაძის მწერლური შესაძლებლობები, კიდევ უფრო მძლავრად წარმოჩნდა შემდგომ გამოქვეყნებულ რომანებში: „მე ვხედავ მზეს“, „მზიანი დამა“, „ნუ გეშინია დედა“, „თეთრი ბაირალები“, „მარ-

ადისობის კანონი“... პრესა დაიპყრო მისმა ნოველებმა, იუმორისტულმა მოთხოვნებმა, ლირიკულმა და საბავშვო ლექსებმა... თეატრებში იდგმებოდა ნოდარ დუმბაძის ნანარმოებებზე შექმნილი სპექტაკლები, ეკრანზე გამოდიოდა კინო-ფილმები, მზადებოდა სატელევიზიო გადაცემები, ინერებოდა სიმღერები.

იშვიათად რგებიათ ასეთი პოპულარობა ქართველ მწერლებს და ეს ბუნებრივიც იყო. რამეთუ, ნოდარ დუმბაძე ჩვენი თანამედროვე გახლდათ და გვხიბლავდა მისი უმუალობა, იუმორი და რაც მთავარია, მზიანი, სიკეთითა და სიყვარულით გაჯერებული გული...

სიცოცხლეშივე ალიარებულ და პატივდებულ კლასიკოსს, მინიჭებული ჰქონდა შოთა რუსთაველის სახელობის პრემია... არც სხვა უმაღლესი ჯილდოები და რეგალიები აკლდა... მისი წიგნები ითარგმნებოდა, ვრცელდებოდა თითქმის ყველა კონტინენტზე, საზღვარგარეთის ქვეყნებში.

ადრე წავიდა, მეტად ადრე (გარდაიცვალა 1984 წლის 14 სექტემბერს), თავისი ხანმოკლე სიცოცხლე, ქართველი ერისა და ქვეყნის სიყვარულში დახარჯა, თუმცა, ნაყოფიც მომქო, საყოველთაო აღიარება და დაფასება არ დააკლდა.

2013 წლის ივლისში, ნოდარ დუმბაძის საიუბილე დღეები იდგა. მას 85 წელი შეუსრულდა, ამ თარიღს გულგრილი ვერ შევხვდი, მეხსიერების სალარო „გავაღე“ და ის მზიანი შეხვედრები „გავაცოცხლე“, რომლის მომსწრე და მონაწილეც თავად ვიყავი, მერე ფოტომასალაც მოვიძიე საოჯახო არქივში, რომელიც უშუალოდ ჩემს მიერ არის გადაღებული.

მეოცე საუკუნის 70-იან წლებში, კასპის რაიონს ერუდიორებული, ლიტერატურისა და ხელოვნების დიდი დამფასებელი პიროვნება, ლევან ისაკაძე ხელმძღვანელობდა. სწორედ მისი თავეაცობითა და ორგანიზაციორიბით მოინვიეს ჩვენი დიდი კლასიკოსი, იმ დროს, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, ნოდარ დუმბაძე კასპი, რომელმაც პატიჟი მიიღო და თან იახლა, ასევე გამოჩენილი მწერლები არჩილ სულაკაური, თათარ მამფურია, და აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, პოეტი ივანე თარბა. მთავარი მასპინძელი კი გახლდათ კასპის ცემენტის ქარხანა, რომელსაც თენგიზ ალიბეგაშვილი ხელმძღვანელობდა.

ნოდარ დუმბაძე ალიარებულ მწერალთა ეკიპაჟით კასპს ესტუმრა. აქ მათ, რაიონის ხელმძღვანელობასთან ერთად შეუერთდნენ, ასევე ცნობილი მწერლები, კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი გიორგი ხორგუაშვილი და პოეტი და დრამატურგი, კასპის რაიონული გაზეთ „განთიადის“ რედაქტორი გურამ კლდიაშვილი.

ის დღე, კასპში, დღესასწაულს უფრო ჰგავდა, ვიდრე უბრალო შეხვედრას, რაც უზადოდ აღბეჭდა ფირზე ჩვენმა ფოტო-რეპორტიორმა ვლადიმერ



მჭედლიშვილმა და შთამომავლობას შემოუწახა დოკუ-
მენტური ფოტო-მასალა მწერლისა, რომელმაც ყველა
პატივი, რაც სიცოცხლეში მოიმკა, თავისი ელვარე ნი-
ჭითა და მზიანი გულით დაიმსახურა.

ნოდარ დუმბაძის ბიოგრაფიები გვერდს ვერ აუვ-
ლიან კიდევ ერთ ღონისძიებას, რომელიც არა მარტო
მასშტაბური იყო და საზეიმო ელფერში გახვეული,
არამედ, თავისი დანიშნულებაც ჰქონდა: იგი ახალგაზ-
რდა შემოქმედთა დაოსტატებას ისახავდა მიზნად და
ამიტომ მიგვინვიეს თელავში, 1974 წლის 12 ოქტომბ-
ერს, სადაც, ხუთი დღის განმავლობაში მიმდინარეობ-
და საქართველოს ახალგაზრდა მწერალთა მეორე რე-
სპუბლიკური თათბირი. რომლის სულისჩამდგმელი,
ორგანიზატორი და მონაწილე იყო საქართველოს
მწერალთა კავშირი და მისი თავმჯდომარე ნოდარ
დუმბაძე.

ამ თათბირის მონაწილეთა შორის აღმოვჩნდი მეც,
მაგრამ არა როგორც უურნალისტი (მამინ გაზეთ „გან-
თიადის“ რედაქტორის მოადგილედ ვმუშაობდი), არ-
ამედ, როგორც ახალგაზრდა შემოქმედი, რადგან ლე-
ქსები უკვე გამოქვეყნებული მქონდა რესპუბლიკურ
და რაიონულ პრესაში.

პატივი მხვდა წილად, ახალგაზრდა პოეტებთან
(ვისაც გულში ლექსის ხანძარი გვენთო) და პროზაი-
კოსებთან ერთად, გაგვეზიარებინა ის უბედინერესი
წუთები, რაც კახეთში 12-17 ოქტომბერს ვიხილეთ და
განვიცადეთ. ნოდარ დუმბაძეს თან ახლდა ქართველ
მწერალთა დიდი „არმია“. აქიყვნენ, აგრეთვე, მთარგმ-
ნელები, კრიტიკოსები, უურნალისტები და არა მარტო
საქართველოდან.

დრომ ვერ გაახუნა ის შთაბეჭდილებები, რაც

თელავში ვნახეთ, ქართული მწერლობის კორიფეე-
ბთან სიახლოვე, მოგზაურობები წინანდალში, იყალ-
თოში, თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში გამართუ-
ლი პაექრობები, სემინარული მუშაობები, თავისუფალ
დროს ღირსებულების მონახულებანი და
რაც ყველაზე ფასდაუდებელია, ქართული სტუმარ-
მასპინძლობის რიტუალები, ანუ, ლხინი კახელებთან,
რომელიც ღმერთების ტრაპეზს უფრო ჰგავდა, ვი-
დრე, უბრალოდ, ბანკეტს, სადაც გავითავისეთ ნოდარ
დუმბაძის განუმეორებელი ხიბლი, მისი მზიანი გულის
სითბო, რომელიც უხვად იყო განფენილი იუმორში,
ლექსებსა თუ სადღეგრძელობში.

ცხადია, გულგრილი ვერ დავრჩებოდი ამ განუ-
მეორებელი საღამოებისა და ამიტომ შევეცადე ფირზე
აღმებჭჭდა ნანაში და განცდილი. მოვიმარჯვე ჩემი
„ფედი“ და პოეზიის სექციის მუშაობის რამდენიმე ეპი-
ზოდი გადავიდე (სექციას პოეტი ჯანსულ ჩარკვიანი
ხელმძღვანელობდა), სადაც, ახალგაზრდების წინაშე,
ნოდარ დუმბაძეც გამოვიდა და ქართული მწერლობის
როლსა და ამოცანებზე ისაუბრა. ახლა ეს ფოტო-სუ-
რათები, სხვა მწერლებთან და ვითარებაში გადაღებუ-
ლი, ჩემს საოჯახო არქივში ინახება, თუმცა, არაპრო-
ფესიულად არის შესრულებული, მაგრამ, უნიკალურია
და ფასდაუდებელი.

კანონზომიერი იყო ნოდარ დუმბაძის შემოსვლა
ქართულ მწერლობაში, „მას გულში და შემოქმედებაში
მზე ენთო — (გურამ გვერდწითელის სიტყვებია), —
მზით სავსე სამყარო შექმნა, დაგვიხატა და დაგვიტო-
ვა“...

მზიანი და თბილი იყო ის შეხვედრებიც, საქართ-
ველოში რომ იმართებოდა უკვდავებასა და მარადი-
ულობაში გადასულ მწერალთან.





გამოვლინდნენ ლიტერატურულ კონკურს „ჩვენი მთვრიული“ გამარჯვებულები:

პირველ ასაკობრივ ჯგუფში (17 წლამდე ასაკის მოზარდები) ჯილდოები ასე განაწილდა:

ოქროს დიპლომი — არ გაიცა;
ვერცხლის დიპლომი — მარიამ ასპანაშვილი, დიანა ჯალალოვი, მარიამ ჩომახიძე, ნანა ბართიშვილი, ნუცა ყურბან ყიზი, ყარა ზაქირ ოლლი;
ბრინჯაოს დიპლომი — ნათია ჯავშანაშვილი, აიძა იდრისოვა;
სიგელი — თეონა ასპანაშვილი, ბექა ბაიაშვილი, მზია მაისურაძე, სოსო მოსიძე, ზაირა როსტომაშვილი, ოთარ იმედაშვილი, ეთერ ნათელაური, ანი ცერცვაძე, თათია ჭიბოშვილი, მარიამ ჭიბალაშვილი, ლიკა ოზმანიანი, მარიამ ახალმოსულიშვილი და თიკო თაღიაშვილი;

მეორე ასაკობრივ ჯგუფში (ახალგაზრდები):

ოქროს დიპლომი — ქეთევან ნათელაძე, შორენა გუმბათოვა;
ვერცხლის დიპლომი — გიორგი წიკლაური, გიორგი სოხაშვილი და ანი ჭამაური;
ბრინჯაოს დიპლომი — თია (თინათინ) ყავრელიშვილი, ნათია ბოტკოველი, ნინო კუტალაძე და ელიზბარ ნერსესოვი;
სიგელი — მარია ძამუკაშვილი, გიორგი მაზანიშვილი

ამჯერად, გთავაზობთ კონკურსში გამარჯვებული ავტორების თითო ლექსს. მომდევნო ნომრებში კი ვრცლად წარმოგიდგენთ გამორჩეულ ავტორებს.

პირველი ასაკობრივი ჯგუფი — მოზარდობა (17 წლამდე)

მარიამ ასპანაშვილი

რაოინდობი

ბებო ჩურჩელას დამპირდა,
იცით, როგორ გამიხარდა?
მე ნამდვილი მეგონა და...
მან ფურცელზე დამიხატა.
არც მე დავრჩი, მასთან, ვალში —
თავსატეხი გაეუხადე
როცა წყალზე წასვლა მთხოვა,
მე — ონკანი დავუხატე.

დიანა ჯალალოვი

ლიტერატურული დიდი მატლობა

ლიტერატურის მოუხადოს დიდი მადლობა,
მანაც, — ვერ ცხოვრობს, მუდამ, კეთილად,
არ დაივიწყოთ ლიტერატის სიკეთე,
იყოთ ყოველთვის მისი მოკეთე.
ზოგმა, არ იცის სიცოცხლის ფასი,
ანდა რა არის — ცხოვრების არსი,
ლიტერატურის მოუხადოთ დიდი მადლობა,
მუდამ თან, რომ გვდევს მისი წყალობა.

მარიამ ჩომახიძე

მე, ისე მაგრად შემეყინა სახეზე მტვერი,
ისე საოცრად მეხვეოდა ქუჩები თავზე,
განვიცდიდი, რომ თან დამქონდა სათქმელი ბევრი,
განვიცდიდი, რომ დავყვებოდი წარსულის ლანდებს.
ისე ძნელია, სამყაროს სიყვარულს აუღო ალღო,
იქნებ, არ გვინდა, რომ ვიღაცას გული ვატკინოთ,
როცა, ვიღაცა დიდი არის და ისევ ბალლობს,
ხან, გვგონია, რომ სამყაროში არ ვართ საჭირო.
რატომ გახშირდა — ნუშის ჭრილის

თვალებზე ცრემლი?

თუ, ადამიანს უყვარდება, ასე, ძლიერად,
რატომ მინახავს მოტირალი, მცინარზე ბევრი?
წელს, თებერვალში გაზაფხულდა, ადრე, პირველად.
დიდი ხანია ფიქრით დამაქვს თეთრი ლანდები,
უდავოდ მქონდა ნაბიჯები ძალიან ჩუმი,
შენ, სიყვარულო, ჩვენთან როდის გასხივოსნდები?
იქნებ, თავიდან ააშენო იმედი გულის...
ხშირად, როდესაც პატარა და უბრალო ვიყავ,
გულში ვიკლავდ, ვინახავდი უამრავ რამეს...
მე ლექსის წერა რატომ მინდა, თუ, ვინმე, მკითხავთ?..
ცოტა ელფერი რომ მიეცეს ამ უშნო წამებს.
მინდა მშობელი გამოვიდე ყველა ლიმილის,
პატარა ბავშვებს რომ აჩნიათ სულზე, სახეზე,
და იმ ლიმილსაც, ვინც, თავისთვის, გულში იღიმის.
ლიმილით, ყველა გულს ხომ უფრო ძლიერ ვაქეზებთ...
და, თუ ოდესმე, საუკუნით გარდავიცვლები,
არასოდეს, არ დავინანებ ფეთქვას გულისთვის,
სანამ ვიცოცხლებ, ქვეყანაზე, ვიდრე ვიქნები,
მე, გულისცემას ვიგრძნობ,

მხოლოდ სიყვარულისთვის...

შენი ლიმილი

შენი ლიმილი მატყვევებს,
გამოხედვა კი მწვავს...
მოვდიეარ, ვადგამ ნაბიჯებს,
მახსოვხარ ყოველ წამს...
შენა ხარ, ვისაც ვნატრობ და
მე, შენ მიყვარხარ, კვლავ!
შენ თუ გამიღებ გულის კარს,
მოვივლით ხმელეთს, ზღვას!
სულ ხელისგულზე გატარებ,
არ მოგაშორებ თვალს,
ეს კი იცოდე, ძვირფასო,
არ გამებუტო, — კვლავ!...

ცუცა ყურბან ყიზი

გაზაფხული

მზემ სიმხურვალით გამათბო,
კარგს მიქადაგებს ეს გული.
იამ სურნელით დამათრო,
გვენვია ჩვენ გაზაფხული.
ვიშ, რა ხმაურით აღივსო,
მინდორი, მთა და ველიო,
ვიმხიარულოთ, ვიცეკვოთ,
ჩავჭიდოთ ერთურთს ხელიო.

შარა ზაქირ ოღლი

ნაკადული

მთიდან მოედინები, ხარ ციმციმა ანკარა,
მგზავრებს წყურვილსაც უკლავ,
მზე დაგყურებს თაკარა.
მოდიხარ და ღილინებ, ვინა მღერის ამგვარად?..
ყვავილებსაც ახარებ, მთის წყარო ხარ პატარა.

ნათია ჯავშანაშვილი

* * *

მინდა გიყურო თვალებში დიდხანს,
მათში ვარსკვლავთა ციმციმით დავტკბე,

მინდა ჩაგიწნა თმაში გვირილა
და მერე მისი სურნელით დავთვრე.

მინდა დაგისვა ხელის გულზე და
მთელი ცხოვრება ასე გატარო,
მინაზე ფეხი არ დააკარო,
იქნება ასე ფრენაც გასწავლო.

მინდა ცხოვრება ფერად ფურცლებად,
ლამაზ ზღაპრებად გადაგიქციო,
ცისარტყელაზე გაგასეირნო,
მთვარის სხივები ფრთებად გიქციო.

მინდა — ამდენი და კიდევ ბევრი,
სიტყვით უთქმელი, საქმით ჰყვაოდეს,
მინდა — ისეთი მუსიკაც შევქმნა
თვით, შოპენიც კი, მეტად გაოცდეს.

53



ყველა სულდგმული შენთვის მღეროდეს,
და ნიავიც კი ჰყავდეს მზით ციონს,
მინდა — ზღაპრული ფერია ვიყო
და ოცნებები ცხადად გიქციო.

მთები ერთმანეთს ისე შევადგა,
ხელი ღრუბლებთან მიგაწვდენინო,
მინდა — ისეთი გრიგალი ვიყო,
რომ ოკეანე ავაბობოქრო.

შენთვის ვადინო ყველა მდინარე
და ჩანჩქერებიც შენთვის ვაჩქეფო,
ღმერთო, რამდენი რამე ვინატრე,
იქნებ, სულ ცოტა, შემაძლებინო.

აიშა იდრისოვა

რომ შემეძლოს

რომ შემეძლოს შენი დაცვა,
დაგიცავდი, ვფიცავ უფალს!
შენს წინაშე, შენთვის მოკვედე,
ვიამაყებ ამით მუდამ.
სანატრელო, საქართველო,
ჩემო თბილო ქვეყანავ,
შენ ჩემი ხარ, ცის სადარო,
სიკვდილამდის შენთან ვარ.

ეთევან ნათელაძე

შენ რომ გყვარებოდი

იქნებ, ამ დილითაც, მზე უჩანდეს
ცას და ისე დათბეს, რომ გიყვარდა...
შენ რომ გყვარებოდი ჩემს ქუჩამდე
ერთი ქუჩა მაინც მოგიყვანდა.

ქალაქს დეკემბერი შემოჰქონდა,
მე ვარ ისეთივე აზიატი,

მახსოვს ჭორფლიანი შემოდგომა,
იყო ზამთრისწინა ხასიათი.

ჩვენი... ჰოდა ახლა დანანებით
გულში აღარყოფნის სურვილია,
რადგან ეს ხიდებიც, მანქანებიც,
მთელი ეს ქალაქიც ტყუილია!

რადგან შემაზიზლეს სახელები
უშნო სულებმა და ეზოებმა...

ოლე, №2, 2016





წავალ უსიტყვებოდ და ხელები
შენი სამუდამოდ მეხსომება.

გწამდეს, ძნელია რომ სულ მახსოვდე,
აქ ხომ ეჭვი ღმერთშიც ეპარებათ,
მე ნუ გამიხსენებ ნურასოდეს
ქალთან, რომელიც შენ გეყვარება...

სისხლიც აღარ მოდის მაჯებიდან,
როცა ყველა განცდა ნული არი,
დუმილს ახმოვანებს ფანჯრებიდან,
ნლობით ხელუხლები როიალი.

და მხოლოდ ფოთლების ხმაურია,
ჩემი აქ დარჩენა მერთულება,
უმწეო, სუსტი და ქალურია,
ჩემი ყოვლისშემძლე ერთგულება.

შენთვის უანგაროდ გაღებული
ნლები წარმოდგენებს შეგიცვლიან,
დროს ხომ წესები აქვს ახლებური,
ვწუხვარ — არაფერი შემიძლია.

ბოლო გაჩერება, შეიცადე
შეგხედო... კარები იხურება...
შენ რომ გყვარებოდი, ღმერთს იცნობდი,
ჩემი სულიდან რომ გიყურებდა.

ვიდრე ყველა გრძნობას წამიშლიდი,
ლოდინს ამ მოთმენით ვაოცებდი,
შენ რომ გყვარებოდი ასე მშვიდად
სიკვდილის უფლებას არ მომცემდი...

შორენა მუსარადინ ყიზი გუმბათოვა

საქართველოს სამშობლო ჩემი

მიყვარს ქართული მიწა და წყალი, —
ჩემი შუამთა, იყალთო, გრემი,
აქ დავიბადე და აქ ვიზრდები,
საქართველოა, — სამშობლო ჩემი.

მე მიყვარს: ჩემი ფუძე და კერა,
კავკასიონის დილა, — ნათელი,
მიყვარხარ, ჩემო ტურფა ქვეყანავ,
მინდა, ალალად, გითხრა სათქმელი.

რომ... შენი ზეცა, ჩემი აკვანი,
ძმობის ფესვებით ჩაჰკვრია ნახნავს,
სულ მეყვარები, ჩემს ყოველ ნაბიჯს
ქართული მიწის დალოცვა ახლავს.

შენი ამაგი ყველგან გამყვება,
ჩემო, ქართულო მიწავ, ნათელო,
მე შენს კალთაში ვიზრდები თბილად,
ჩემი სამშობლო ხარ, საქართველო.

გიორგი ნიკოლაშვილი

გაზაფხულის მოლოდინში

როცა, მთებში ჩამოთოვს და...
ტყეს ბურუსი მოიცავს,

მაშინ, ალბათ, ქარიშხლები
შენს სურნელსაც მომიტანს.

გაზაფხულის მოლოდინში, —
მომეძალნენ ფიქრები...
და ალერსის მოსაკრეფად
ჩამოლაგდნენ რითმები.

მახსენდება, კოცნის დროს, კი —
თმაში შენი თითები.
თეთრი ზამთრის სტუმრობისას,
მთის სოფელი შიშველი.

ჰოდა, იქნებ, ამ ტყეებსაც
მივცეთ ფიქრის უფლება,
მოიხვიოს ბურუსი და...
ექცეს ფიქრი, სულ, ფრთებად.

გიორგი სოსაშვილი

ილია II-ის ველორეზა

ილია სადაც გაივლის,
ხარობს ვარდი და ყვავილი,
მთელ საქართველოს მოივლის
ლოცვა-კურთხევით დაღლილი.

გარს ეხვევიან ბერები,
მათ აქვთ ასეთი წადილი:
საქართველო რომ დალოცონ, —
დალოცონ დედის მანდილი.

მუხლმოდრეკილი ლოცულობს, —
სანთლის ცრემლებად დალვრილი,
ილია, ჩვენთვის, ქართველნო,
უფლისა არის გზავნილი.

ილია ღმერთს ევედრება:
მიმიღე შენსა მონადა,
ქართველი ერი მიკურთხე, —
ყველანი თანასწორადა.

მიეცი ქართველს სიწმინდე, —
გაუნაწილე ტოლადა,
ქართველთა ყველა ცოდვანი
გულზე დამადე ლოდადა.

ქართველებს პური მიეცი,
ნუ გახდი სხვათა მონადა,
წყარონი გადმოუჩეცე, —
მიწა უქციე ცომადა.

დალოცე — გლეხის მარჯვენა,
მარცვალ უქციე — ტონადა,
ღმერთო, მიმრავლე ქართველნი, —
მიქციე ერთი — ორადა.

ანი ჭავაშვილი

უნდა გყვარებოდი, კარგო

უნდა გყვარებოდი, კარგო,
რა ვქნა, გული ისევ ტირის,



რომ ავსულიყავით მთაში,
გვესმინა მწყემსის სტვირის.

უნდა გყვარებოდი, კარგო,
დავმშვიდობებოდით ქალაქს,
ხომ მითხარ: წაგიყვანო,
გადაგატარებო ქარაფს.

უნდა გყვარებოდი, კარგო,
უნდა წაგსულიყავით ერთად,
რატომ — გაიხურე კარი?!
რატომ — მიმატოვე კენტად?!..

თია (თითათინ) ყავრალიშვილი

მიყვარხარ

მე მინდა შენი თვალების მზერა,
შენი მთრთოლვარე ტუჩების კოცნა,
მე, მხოლოდ, შენი ალერსი მინდა.
და... მინდა: უფლის კურთხევა, ლოცვა.

შენი მკლავების ხვევნა-ალერსი,
მე, მხოლოდ, შენი ღიმილი მინდა,
შენი ალერსით ტკბობა და თრობა, —
ნაზია ძლიერ, სათუთი, წმინდა.

მე შენ მიყვარხარ, მიყვარხარ უფრო,
მე შენი მიყვარს სულის სურნელი,
შენი ღიმილიც ჩემი საზრდოა,
უფალი იყოს ჩვენი მზრუნველი.

მე მიყვარს ღამე, ცა მოჭედილი
ცვენა ვარსკვლავთა, მათი ციალი,
და მთვარის შუქზე შენი ხატება,
შენი ჩურჩული, განცდის წრიალი.

გრძნობავ, დიადო და ბობოქარო
ჩემში რომ ცოცხლობ, სუნთქავ, ბინადრობ,
შენ, ხარ — ჩემი გზა, — სიცოცხლისა,
რაც — მინატრია... და... რაც — ვინატრო...

ნათია პოტკოველი

შემოფევი

შემოდგომამ შეანაცვლა ზაფხული
სექტემბრის მზე, ყველას ნაზად ათბობს,
არე-მარე შეაყვითლა რა გულით...
მერამდენედ, უკვე, აღარ ახსოვს.

სექტემბერმა გზა დაუთმო ოქტომბერს,
მწვანე ფერი სიზმარივით გაქრა,

რა ლაზათი შეემატა ოქროსფერს,
ნოემბერიც ჩამოგვიდგა კართან.

ცას, ლოდებად, გულს დააწენენ ღრუბლები,
აწვიმა და, რა, აწვიმა მთა-ბარს,
და... ხეებსაც გაუხდიათ სამოსი, —
შემოდგომაც იკრავს გუდა-ნაბადს.

ნინო კუტალაპა

დედას ვფირვ

დამიფიცია დედა, — ათასჯერ,
და... აღარ მახსოვეს, როდის, პირველად,
კვლავ, დავიფიცავ, ისევ, მრავალჯერ, —
ჩემი სიტყვების დასამტკიცებლად.

დამიფიცია დედა — მშობელი, —
ქვეყნად, რომელიც, მხოლოდ, ერთია,
მისი ცხოვრების წელი, ყოველი,
სახეს ნაოჭად გადაჰფენია.

დამიფიცია, კვლავ ვფიცავ დედას,
მე ვფიცავ დედის ლამაზ ჭალარას,
რომ შვილისათვის, ერთია ქვეყნად —
დედა, რომელიც ფიქრმა დაღალა.
დედა, რომელიც წლებთან ჭიდილით,
შვილის გაზრდაში დაბერებულა...
და... გრძელი ღამე — ბევრჯერ და... ბევრჯერ
დედისთვის თეთრად გათენებულა.
დღეში, რამდენჯერ, დედა მითქვია,
ვიტყვი: იქამდე, სანამ ვიქნები,
დედა, — მლოცველი შვილზე, — ფიქრია,
ჩემთან, თუ, ჩემში, მუდამ, იქნები.

ელიზბარ ნერსესოვი

ფარული გრძნობა

როგორც ფოთოლს — დილის ნამი,
ფუტკარს — მინდვრის ყვავილები,
ისე მიყვარს შენი სხივი მხიარული...

როგორც ნიავს — ვარდის სურნელება
და პოეტებს — მთვარის ლანდი უეცარი,
სწორედ ასე და ამგვარად მხიბლავ...

როგორც გლეხს — ბაღში ფუსფუსი
და ფუტკერებს — სკაში,
მე ისე მიყვარს — მკა სიტყვის კონის...

როგორც სარკმელში — ხეთა ზღაპარი
და საიდუმლო ამ ფართე ღამის,
სწორედ ამგვარია, სწორედ ამგვარია!
გულს დაფარული გრძნობა შენდამი.





თარგმანი

დარია კასტალანეტა (დარია პრიუკოვა)

დარია კასტალანეტა (დარია კრიუკოვა) დაიბადა 1982 წელს სანკტ-პეტერბურგში. 2003 წელს დაამთავრა სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ფინანსების ფაკულტეტი. მოთხოვდა „წყალზე“ შესულია ციკლში „მოთხოვდები ბლოკადაზე“. 2015 წელს მიენიჭა უურნალ „ნევას“ პრემია საუკეთესო დებიუტისთვის.

მოთხოვდა „წყალზე“ გამოქვეყნდა უურნალ „ნევას“ 2015 წლის VII ნომერში.

ცელის მოსატანად

- მესამე სართული ცეცხლშია გახვეული და საცაა მეოთხე სართულსაც მოედება. საშინელი საყურებელია, თვალს კი ვერ აცილება.
- ასეა. აქ აფთიაქი იწვოდა. წამლებისგან ცეცხლი ხან ვარდისფერი იყო, ხანაც მწვანე.
- ხანძარი ყოველი ქუჩის კუთხეში გიზგიზებს.
- ფიცრები, რომლებითაც ფანჯრები იყო ამოჭედილი მეხანძრებებმა ჩამოამტვრიეს. ფიცრები უმაღ დაიტაცეს. მეც მინდოდა ამეღო, მაგრამ ვედროსა და ციგისთვის რა მექნა? გადავწყვიტე წყალზე წავსულიყავი, ასეც მოვიქეცი.
- სწორედ მოქცეულხარ, ყველაფრის ერთად გაკეთებას ვერ მოასწრებ.
- ადრე მკვირცხლები ვიყავით, ახლა...
- ცეცხლნაკიდებული სახლის მობინადრეები ქუჩაში იდგნენ, გარშემო კი ნივთები ეყარა. ვიღაცას ლეიბის გამოტანაც მოესწრო.
- გაუმართლა.
- ახლა სად უნდა წავიდნენ, სად უნდა იცხოვრონ?
- ბევრი ბინაა დაცარიელებული, ყველაფერი მოგვარდება.
- მოგვარდება! ჯერჯერობით ამ ყველაფერს დასასრული არ უჩანს! დაწყევლილი ფაშისტები!
- გაიგეთ, ჩვენები შეტევაზე გადავიდნენ.
- კი, მოსკოვთან.
- არა მხოლოდ მოსკოვთან, აქაც ცდილობენ. იქნებ ალყა გაარღვიონ.

წყლის რიგში ქალებს დრო ლაპარაკში გაჰყავდათ. ყინულჭრილთან თორმეტიოდე ადამიანი იქნებოდა, ნელა მოძრაობდნენ. ყინულჭრილის ნაპირები მოლიპული იყო, ამიტომ წყალს ფრთხილად იღებდნენ, ცდილობდნენ არ წაქცეულიყვნენ და არც წყალი დაეღვარათ. რიგში ორი მამაკაციიდგა, ისინი საუბარში არ ეროვნენ და თავისას ფიქრობდნენ. ქალები კი ფრონტულ ახალ ამბებს უზიარებდნენ ერთმანეთს. ჰყებოდნენ თავიანთ ცხოვრების ულ შემთხვევებზეც. მიუხედავად იმისა, რომ ქუჩაში ძლიერ ყინავდა და ნევის სანაპირომდე მისაღწევად დიდი დრო იყო საჭირო ადამიანები ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ და მიუხედავად ყველა სირთულისა და გაჭირვებისა ამ საუბარში არ იყო არც ჩივილი, არც საყვედური და არც სასოწავლება — მხოლოდ იმედი, რომ მაღლე ყველაფერი მოგვარდება, რომ ომი მაღლე დამთავრდება.

ადამიანები ღონემიხდილი იდგნენ გადატკეცილი სახის კანითა და ღრმად ჩაცვენილი თვალებით, რომლებიც ალყის შესაძლო გარღვევის გაგონებაზე შიგნიდან სინათლით განათდნენ — იმედის სინათლით. თითოეულის გამოხედვაში იკითხებოდა: „მოვიცდით! ვიცოცხლებთ!“

რამდენიმე წუთით სიჩუმე ჩამოვარდა. უცებ, ერთი კაცის მოულოდნებლა შენიშვნამ, რომელსაც აქამდე ხმა არ ამოელო, ყველანი გახვებიდან გამოიყვანა.

— ვირთაგვები ისე გათავხედდნენ, რომ თავს ზემოთ ძალა აღარაა, — ჩაიბურტყუნა მამაკაცმა და ყინულჭრილთან დაიხარა.

კაცის მიერ წარმოთქმული ეს ერთადერთი წინადადება ლაპარაკის გასაგრძელებლად საკმარისი აღმოჩნდა.

— ქალაქში მარტო სიარული ძალიან საშიშია. — ახლა მარტო არ ვართ, მაგრამ წყლის დასალევად რომ წამოვიდნენ, მათ წინააღმდეგ რა უნდა გააზყო?

— ამბობენ, ვირთაგვები ხროვებად დადიან. გზაზე თუ გადაეყარე, სად უნდა დაიმალო?

— ერთმა ქალმა სამუშაოზე წახა წყალს როგორ სვამდნენ.

ქალები მთხოვბელს ყურადღებით მიაჩირდნენ.

— ასე თქვა, ეს იყო გიგანტური წაცრისფერი ლავაო.

ქალმა სიტყვა „გიგანტური“ გაწელა, თან ხელები ფართოდ გაშალა. უნდოდა ეჩვენებინა, რამდენად დიდი იყო ეს მასა. ვიღაცამ შეჰკივლა.

— ისინი ფანგანთან ეშვებოდნენ, — განაგრძო ქალმა, — ცირკთან ახლოს.

ქალებმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნიეს, ვხვდებით რომელ ადგილსაც გულისხმობო.

— სანაპიროზე კაცი ფეხებს ძლიერ მიათრევდა. ისინი კი...

ქალმა სიტყვა გაწყვიტა, რადგან გოგონა შენიშნა, რომელიც მის მონათხოვბს დაძაბული უსმენდა. სახის გამომეტყველებით ძნელი იყო მიმხვდარიყავი რა ასაკის იყო გოგონა, მაგრამ ცამეტ წელზე მეტისა არ იქნებოდა (ახლა ლენინგრადში ყველა თავის ასაკზე ბევრად უფროსად გამოიყურებოდა). მსგავსი ამბების მოსასმენად ცამეტი წელიც კი ძალიან ბავშვური ასაკია. მთხოვბელმა ხელი პირზე აიფარა და ამბის





მოყოლა ჩურჩულით განაგრძო. გოგონა შებრუნდა და რიგს შეხედა. კიდევ სამი კაცი და წყალს აიღებდნენ.

ზორა მურაშოვა მხოლოდ ათი წლის იყო. ყოველდღიურად, როდესაც დედას სამსახურში გაისტუმრებდნენ, უმცროს დასთან ერთად წყლის მოსატანად ნიკოლაევის ხიდამდე დიდ მანძილს გადიოდნენ. წყლის მოზიდვა კი ძალიან ძნელი იყო. დედა მშვიდდებოდა, როცა იცოდა რომ დები ერთად იყვნენ.

ზორა რიგში იდგა. ხუთი წლის გალია კი თოჯინით თამაშობდა, რომელსაც წუთითაც არ ტოვებდა და წყლის აღებისას ქურქზე შემოხვეულ თავშალში ჩურთავდა. თოჯინა ნაჭრისა იყო, თვალების ნაცვლად ორი პატარა ცისფერი ლილაკი ეჯდა, თმა კი მუქი-ყავისფერი შალის ძაფის ნაკუნძებისა ჰქონდა. თოჯინა დედამ გააკეთა და ტანსაცმელიც შეუკერა. ქუჩაში ძლიერ ყინავდა, არც სახლში თბილობდა და გალიამ, როგორც თვითონ ეცვა, თოჯინაც ისევე შეფუთნა და ტანსაცმელზე პატარა თავსაფარი შემოახვია. გალიას თოჯინა მედდად მუშაობდა, საპარო თავდასხმისას დაჭრილებს შეველოდა.

— უ-უ-უ-უ, — ტუჩგამობერილი გალია ბლუოდა. ეს „მესერშმიტები“ დაფრინავდნენ ქალაქის თავზე, — საპარო განგაში! საპარო განგაში! — თოჯინა ყინულზე ზიგზაგური მოძრაობით გაიქცა.

— გალია! — დაუძახა დამ.

გალიამ სამაშველო ოპერაცია შეწყვიტა და თავი ასწია. ზორას წინ მხოლოდ ერთი ადამიანი იდგა. მათი რიგი მოსულიყო.

მხოლოდ ბიდონი და ორი ქვაბი ჰქონდათ და წყლის აღებაზე დიდი დრო არ დაუხარჯავთ. თანაც, ახლახან ზორამ ახალი ხერხი მოიგონა. გალია ბიდონს იჭერდა და მუცელზე წვებოდა, ზორა ფეხები ხელს მაგრად ჩავლებდა და წყლისკენ ოდნავ უბიძგებდა. გალია ბიდონით წყალს რომ ამოილებდა, ზორა უკანვე ამოათრევდა. წყალს ქვაბებში ასხამდნენ და კვლავ ბიდონით იღებდნენ. ადრე ზორა წყალს საწვნით ხაპავდა, რაზეც იმდენად დიდი დრო იხარჯებოდა, ხანდახან რიგიდან შეჟყვირებდნენ ხოლმე. ახლა საქმე სწრაფად მიდიოდა.

ორივე ქვაბი და ბიდონი რომ გაავსეს, გოგონებმა ფრთხილად, ისე რომ არ დაელვარათ ციგაზე შემოდგეს და თოკით მიამაგრეს. მერე ნაპირისკენ აუჩქარებლად წავიდნენ. ზორა ციგას ეწეოდა, გალია კი ქვაბებს უყურებდა. სანაპიროზე რომ გავიდნენ გალია დასთან მივიდა, თოკს ხელი წაავლო და გზას გაუდგნენ. დიდი მანძილი ჰქონდათ გასავლელი. ისინი ნიკოლსკის შესახევში ცხოვრობდნენ. მიდიოდნენ და სიტყვების გამოცნობას თამაშობდნენ. დედა დილით თითო ნაჭერ პურს აძლევდათ და უებნებოდათ:

— მთელი დღე უნდა იმყოფინოთ. ითამაშეთ, რომ ჭამაზე აღარ იფიქროთ.

სახლში დამალობანას თამაში უყვარდათ. უზარმაზარ კომუნალურ ბინაში ბევრი ცარიელი ოთახი და ბევრი დასამალი ადგილი იყო. მობინადრებიდან სიკვდილს ცოტა თუ გადაურჩა — გოგონები, მათი დედა და ორი მეზობელი. წყალზე წასულები კი გზაში ხშირად თამაშობდნენ სიტყვების გამოცნობას. მათდა უნებურად სიტყვები უმეტესად საჭმელს აღნიშნავდა. ზორა ხშირად ისეთ სახელნოდებებს ამბობდა, რომ გალიას საერთოდ არ გაეგონა და ასეთ დროს დას სთხოვდა აღენერა უცხობი კერძი. გონებაში სხვადასხვა საჭმელებს რომ ხატავდნენ ჭამა კიდევ უფრო უნდებოდათ, მაგრამ ამ თამაშზე უარს მაინც ვერ ამბობდნენ.

ისინი ნელა მიუყვებოდნენ საცალფეხო გზას, რომელიც სახლების გაყოლებით თოვლზე მიიკლაკნებოდა. ადამიანები ცარიელი ვედროობითა და ქვაბებით ხვდებოდნენ, წინ კი საესე ჭურჭლით მინისაკენ მიღლობავდნენ. გოგონებისგან ხუთი ნაბიჯის დაშორებით, წელში მოხრილი ქალი ციგას მიათრევდა. ზორა ქალის ზურგს მისჩერებოდა და მის ნაბიჯებს ანგარიშმიუცემლად იმეორებდა. ქალი მარჯვენა ფეხს ასწევდა და ზორაც მარჯვენას გადადგამდა. ასე ნაბიჯ-ნაბიჯ მიაღწიეს მდინარე მოიკის სანაპირომდე. ქალი ხელზე ასვლას ცდილობდა, მაგრამ ფეხი აუსხლტა და მუხლებზე დაეცა. გოგონებს უნდოდათ მისთვის გვერდი აუვლოთ. ქალი წამოდგომას შეეცადა, მაგრამ საამისოდ ძალა აღარ ეყო, ციგას თავი ანება და წინ გაფოფებდა.

ზორა ქალთან მივიდა და თანაგრძნობით მიმართა: — დაგეხმარებით.

ქალი გაჩერდა და გოგონას დააცქერდა. მისმა თვალებმა ზორა შეაშინა. ქალს ქუთუთოები ამობრუნებოდა და თვალის გუგები აქეთ-იქით გაუჩერებლად მოძრაობდნენ. გოგონამ გამბედაობა მოიკრიფა და ხელი გაუწოდა. ქალმა მზერა ხელზე გადაიტანა, მერე ისევ სახეში შეხედა.

— ველარ ავდგები, — ჩუმი ხმით თქვა ქალმა, — ნადი.

— სად ცხოვრობთ? — არ ცხრებოდა ზორა.

— ლერ-მონ-ტო-ვის პროსპექტი, — ქალმა ქუჩის დასახელება დამარცვლით წარმოთქვა და წინ გაცოცებას შეეცადა, ლაპარაკი აღარ შეეძლო.

— ჩვენც იქით მივიდვართ, — გაეხარდა ზორას.

— ჩვენ ნიკოლსკის შესახევებში ვცხოვრობთ, — დაამატა უმცროსმა დამ.

ქალს თითქოს მათი არ ესმოდა.

— არ დანებდეთ, არ დანებდეთ, — იმეორებდა ზორა და ცდილობდა მოეფიქრებინა რისი გაკეთება შეიძლებოდა. უცებ გონება გაუნათდა, — ჩვენ წაგიყვანთ.

ქალი გაჩერდა. ეტყობა ეს აზრი მოეწონა, მაგრამ არ სჯეროდა, რომ გოგონები ამის გაკეთებას შესძლებდნენ.

— თქვენი ციგით, — არწმუნებდა ზორა და ხელით ციგისკენ მიუთითებდა.

გოგონებმა მოახერხეს და ქალი გაჭირვებით შესვეს ციგაზე, წყლიანი ვედრო კი თავისაზე შემოდგეს.

— ლერ-მონ-ტო-ვის პროს-პექ-ტი, — ქალმა მისამართი დაასახელა.

ციგები ერთმანეთს გადააბეს და ორთქმავალივით წავიდნენ, მაგრამ ციგების განევა უჭირდათ და ახლა კიდევ უფრო ნელა მიდიოდნენ. ზორა წინ მყოფებს მზერით ჩაებლაუჭა — სიარული მუდამ უადვილდებოდა, როცა მის წინ მიზანი იყო: იქნებოდა ეს ადამიანი, ან ღამის ფარნიანი ქუჩის ბიძი, ან ტროლეიბუსის მორკალული ბიგელი, რომელიც თოვლის ყორლანიდან იყო ამოშვერილი. გზაჯვარედინებზე ადამიანები უხვევდნენ და თავიანთი სახლებისკენ მიემართებოდნენ, ისინი კი კვლავინდებურად მიდიოდნენ და მიდიოდნენ. ციგებს ისე ნელა მიათრევდნენ, თითქოს დრო გაჩერდაო. სიმძიმისგან ხელები დაუბუზდათ. ზორა ზოგჯერ წინ მიმავალ ფეხითმოსიარულებს მზერას სწყვეტდა და აქეთ-იქით იყურებოდა. სახლების პირველი სართულები ფიცირებით დაეგმანათ, ზოგან სილით სავსე ტომრებით ამოევსოთ. სანომრე აბრებზე ყინულის ლოლუები ეკიდა. უცებ, მზერა ქუჩის





დასახელებას ჩაეჭიდა — „ლერმონტოვის შესახვევი“.

— თითქმის მოვედით, — ქალის გასაგონად ხმამაღლა თქვა ზოიამ.

გოგონა გაფაციცებით შეჰყურებდა სახლის ნომრებს და სანატრელ ოცდაათ ნომერს ეძებდა. ოცდაექვსი... ოცდარვა... ოცდაათი... როგორც იქნა! გოგონა შედგა. ზოიას ხელებიისე ჰქონდა დაბუჟებული ძლივძლივობით გაშალა. თითებს ხან ხსნიდა, ხან კუმშავდა. ქალს წამოდგომაში რომ დახმარებოდა ციგებს შემოუარა. თუმცა, დახმარება საჭირო აღარ იყო, ციგაზე გვერდზე გადაწოლილი მიცვალებული იჯდა.

— მომებმარე, — ზოიამ დას დაუძახა.

ვედრო ერთად ასწიეს და ქალის გვერდით დადგეს. მერე თავიანთი ციგა ახსნეს და შინისკენ ისე წავიდნენ უკან ერთხელაც არ მოუხედავთ.

— კარტოფილი, — გალიამ თამაში გააგრძელა.

— კომში.

გალიამ არაფერი უპასუხა. ზოიამ შეხედა და უთხრა:

— კ-ზე გააგრძელე.

გალია ოცნებას განაგრძობდა, რამდენიმე წაბიჯის მერე მძიმედ ამოისუნთქა და აღიარა:

— კ-ზე აღარ ვიცი.

— თქვი კალმახი.

— კალმახი რა არის?

— თევზი.

ხოოო, — გალია იდუმალი თევზის წარმოდგენას ცდილობდა. ოცნებამ თევზი ორი იისფერი ქერცლიანი კუდით დახატა. მას თევზი მოეწონა. თავის თავს თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და წარმოთქვა:

— კალმახი. ახლა შენ თქვი.

ზოიამ სიტყვის თქმა ვერ მოასწრო — სახლის კედელზე დაკიდებული რეპროდუქტორიდან გაისმა: „ლაპარაკობს ადგილობრივი საჰაერო დაცვის შტაბი. საჰაერო განგაში! საჰაერო განგაში!“ აზუზუნდა სირენა. ზოიამ თოკი, რომლითაც ციგას მიათრევდნენ დააგდო და ხელი დას ჩაბლუჯა. თავდაპირველად მინაზე დანილა უნდოდა, მაგრამ იქაურობა რომ მოათვალიერა სადარბაზოს ლია კარი შენიშნა. ცაში უკვე თვითმფრინავები გამოჩნდნენ. ფიქრის დრო

აღარ იყო. გოგონებმა სახლში შეირბინეს და კიბის ქვეშ შეძვრნენ. ქუჩიდან მოისმოდა თვითმფრინავების გუგუნი, სირენის ყმუილი და საზენიტო დანადგარების ბათქა-ბუთქი. კიბე აფეთქებებისგან ძაგდაგებდა. კუთხეში მიყუჟული გოგონები ერთმანეთს მაგრად ჩაჰვეოდნენ და სანამ განგაშის გაუქმების სირენა არ გაისმა ერთმანეთისთვის ხელი არ გაუშვიათ.

ქუჩაში უკვე სახანძრო და სანიტარული მანქანები იდგნენ, საკაცეებით დაწრილები გადაჰყავდათ და ხანძარს აქრობდნენ. ერთი ჭურვი ქუჩის მოპირდაპირე მხარეს მდებარე შენობას დასცემოდა. ზოიამ ციგის მოსაძებნად ირგვლივ მიმოიხედა. ციგა აფეთქების დარტყმის ტალღამ რამდენიმე მეტრით გადაისროლა და ქვაბები და ბიდონი გადააბრუნა.

— წყალი! — შეჰკივლა გალიამ. დღეს უწყლოდ დარჩნენ.

გოგონებმა ციგასთან მიირბინეს, ქვაბებში ჩაიხედეს და გაელიმათ. ორმოცგრადუსიან ყინგას ნყალი ყინულად გადაექცია — ორივე ქვაბი და ბიდონი ნყლით იყო სავსე. უძვირფასესი ტვირთი კვლავ ციგაზე შედგეს და შინისკენ გასწიეს.

შინ მისულებმა ნყალი წავთქურაზე გაალხვეს და პირველ რიგში მეზობლებს დაალევინეს. ორივე ქალი ისე იყო გამოფიტული სახლიდან გასვლა აღარ შეეძლოთ და მათზე გოგონები ზრუნავდნენ. პურის ნარჩენები რომ შეჭამეს დები საწოლზე ჩამოსხდნენ. გალიამ თოჯინა მუხლზე დაისვა და რადგან სახლში უფრო თბილოდა თავშალი მოხსნა და ერთი ზედატანი გახადა. ისინი საბნის ქვეშ შეძვრნენ და თამაში განაგრძეს.

— ასო ლ-ზე თქვი, — თქვა გალიამ

— ლიმონათი

— ლობიო

— ლელვი.

— ლელვი რა არის?

— ლელვი, ეს...

ზოია აღწერდა გაუგონარ საჭმელს, რომელსაც გალია კიდევ უფრო ზღაპრულად წარმოსახავდა. ისინი დედას უცდიდნენ.

რუსული და თარგმანი აკაციის დაუშვილება





ზაალ გოთიკოველი

59

„რა ღირსეული იყო ყველგან“...

ამ ფრაზამ XX საუკუნის გარიურაჟზე გაიშდერა და ის კოტე მაყაშვილის, პოეტისა და ერისკაცის მისამართით ითქვა.

ყველგან...

ეს სიტყვა ზოგადი სიტყვაა და საქართველოში მას ხშირად იმიტომაც ხმარობენ, რომ სათქმელი არაფერი აქვთ და, აქედან გამომდინარე, მსგავსი არაფრისმთქმელი ფრაზებით ცდილობენ ფონს გასვლას.

რამდენად ეხება ეს კოტე მაყაშვილი, მის კოლორიტულ, ტრაგიკულ პიროვნებას? მოდით, უძრალოდ ჩამოვთვალოთ, თუ რისი გაკეთება შეძლო.

მაშ ასე, კოტე მაყაშვილი იყო:

საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი თავმჯდომარე;

ერთ-ერთი დამაარსებელი და გამგეობის წევრი ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოებისა;

დამაარსებელი ქართული ფილარმონიული საზოგადოებისა;

დამაარსებელი საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისა;

ერთ-ერთი დამაარსებელი ქართული დრამატული საზოგადოებისა;

დამაარსებელი „აკადემიური მწერლობის“ კავშირისა;

ინიციატორი სათავადაზნაურო დაწესებულებასთან განსაკუთრებული ფონდის დაარსებისა, რომელმაც შიმშილით სიკვდილს გადაარჩინა რამდენიმე მომავალი კლასიკოსი ქართული მწერლობისა. მაგალითით ითვის დიდი გალაკტიონიც იყმარებს;

ქართულ პოეზიაში სონეტისა და რომანის ერთ-ერთი დამამკვიდრებელი.

„ლალე, ლალე,
შენ კი გენაცვალე...
ზეცაზედა ვარსკვლავები
დიდხანს ვათვალოვალე...
ერთ ვარსკვლავში შენ გიცანი,
გოგოვ, გენაცვალე!“

ეს ლექსი ქართული ხალხური პოეზიის ერთ-ერთი შედევრი რომ გვინიათ, ხელიხლასაგოგმანები მარგალიტი, კოტე მაყაშვილს ეკუთვნის და კიდევ რამდენი ასეთი.

და ბოლოს, კოტე მაყაშვილი მამა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, საქართველოს თავისუფლებისათვის ზვარაკად შენირული მარო მაყაშვილი-

სა, რომელმაც 1921 წლის თებერვალში კიდევ ერთხელ დაუმტკიცა საქართველოს მარადიულ მტრებს, რომ ლვთისმშობლის წილებით ამ კურთხეულ მინაზე ჯერ კიდევ ცოცხლობს და ბობოქრობს ქეთევან წამებულის ზეცად აღვლენილი სული, რომ საქართველოს დაჩიქება შეუძლებელია, რომ ქართველებს სამშობლოსათვის სიკვდილი სიმღერად და ლხენად მიაჩინათ და ამიტომაც მათან ომს აზრი არა აქვა.

კოტე მაყაშვილი...

დიდ ეროვნულ, საშვილიშვილო საქმეებს შეჭიდებული ერისკაცი, რომელიც სრულად იხარჯებოდა მშობელი ქვეყნის სულიერი აღორძინებისთვის, გამოფხიზებისთვის...

და მანც იგი უპირველესად პოეტი გახლდათ, პოეზიით სუნთქვადა, პოეზიით სულდგმულობდა, პოეზია იყო მისი არსებობის ანი და პოე, ზედმინევნით ზუსტად ჰქონდა გასიგრძეგანებული პოეზიის როლი და მნიშვნელობა ქართველობისათვის.

„საქართველოს წარსულ საუკუნეთა ბინდი გაარღვია და გააბნია სხივოსანმა რუსთაველმა, რომელმაც ქართული პოეზია ერთი ძლიერი მოქნევით ასტყორცნა მსოფლიო პოეზიის მწვერვალებზე და მით უკვდავყო, აზიარა მარადისობას თავისი სამშობლო, გაამართლა მისი არსებობა.

დიახ, ცვალებადი და წარმავალია მატერიალური კულტურა ადამიანისა, წუთიერი და მოჩვენებითია ადამიანის ხორციელი ყოფნა ამ პლანეტაზე, მაგრამ ლვთაებრივია, წარუხოცელია მისი სულიერი შემოქმედება და ამ უკანასკნელის პირმშო, უმთავრესი აგენტი — პოეზია“.

ეს ციტატა ამონარიდი გახლავთ კოტე მაყაშვილის წერილიდან „ახალგაზრდა მეგობარს“ და შემიძლია დაბეჭიოთებით განვაცხადო, რომ ამ სტრიქონებს ნებისმიერი ნაფიცი ლიტერატურის თეორეტიკოსი მოაწერდა ხელს. ნებისმიერი უმაღლესი რანგის ლიტერატურისმცოდნესთვის შთაგონების წყაროდ და სამუშაო თეზად გამოდგება ის მოსაზრება, რომ სწორედ რუსთველმა აზიარა მარადისობას თავისი სამშობლო და გაამართლა მისი არსებობა. იმავე წერილში კოტე მაყაშვილმა კიდევ ერთი ბრწყინვალე ახსნა მოუძებნა პოეზიას, მის არსს: „პოეზია ერთგვარი პრიზმაა, რომელშიც იტეხება და საუცხოო ნაირფერებად ლივლივებს ერის შინაგანი, რთული სილამაზე“.

კოტე მაყაშვილი, როგორც პოეტი, თავადაც ამ იდეის ერთგული დარჩა სიცოცხლის ბოლომდე, ბოლომდე უერთგულა პოეზიის მუზებს, კალიოპე იქნებოდა ის თუ ევტერპე, მელპომენე თუ ერატო. ამ მუ-





კოტე მაყაშვილი

ზათაგან მაინც კალიოპე ჰყავდა გალმერთებული — ჰეროიკული პოეზიის მუზა. სწორედ ჰეროიკული შარავანდედით მოსავდა მუდამ თავის სათავეანებელ სამშობლოს, მას სწირავდა დაუნანებლად საკუთარ თავს, შვილებს, ყველაფერს, რაც გააჩნდა... მისი კაეშანი, მისი ტკივილები მტკივანი გულით მუდამ თან დაჰქონდა და სალბუნს და მალამოს ეძებდა ამ იარების მოსაშუშებლად. არადა გრძნობდა, რომ ასე დიდხანს გაგრძელება აღარ შეიძლებოდა, რადგან:

ჩემს სამშობლოშივე სამშობლოს დაკარგულს
დავეძებ ბედისგან კრულს!
სამშობლოს ჩვენივე ხელითა დამარხულს,
მის სხეულს და იმის სულს... .

სამშობლოს დასახსნელად მუდამ მარადიულ მოკავშირებს დაეძებდა მისი მეამბოხე სული, წმინდა წინოსა და თამარ მეფეს, წმინდა გიორგისა თუ ამირანს.

მოჰყევით, ძმებო, ამირანს,
ბრძოლაა გაცხარებული!
ერთი დაკვრაც და სულს დალევს
ვეშაპი დამარცხებული!..

1917 წლის კვირაძალზე გუმანით გრძნობდა იმ უმის მოახლოებას, როდესაც ივერთა მიწა უნდა გან-თავისუფლებულიყო დამპყრობელისაგან და თავადაც ბრძოლის ველისაკენ მიუწვდომა:

არა, არა,
ძმაო, კმარა
თრთოლა, შიში სამარცხვინო!
ბრძოლის ველზე,
სანატრელზე,
მსურს გავფრინდე ვით მიმინო!

ამ ბრძოლაში განსაკუთრებით ახალგაზრდობა ეიმედებოდა, ყველაფერს აკეთებდა მათ შესაგული-

ანებლად და მუხლმოდრეკით ევედრებოდა:

დაგვარწმუნეთ, რომ ვარსკვლავი
ჩვენი ბედის კიდევ ბრწყინავს,
რომ არ გვიდევს წინ საფლავი,
არც მოვწყვდარვართ... აღარც გვძინავს!..

კოტე მაყაშვილს, რომლის მემკვიდრეობითი გენი საუკუნეობრივი სიბრძნითა და გამოცდილებით იყო გაპოხილი, კარგად მოეხსენებოდა, რომ ვეშაპივით დიდ და სტომაქამოუებს იმშერის მხოლოდ ხმლის ქნევითა და მიძალებით ვერარა ძალა ვერ მოერეოდა. ამიტომაც გამოიხმო ქართული ფოლკლორიდან ნაცარქექიას სახება და კიდევ ერთხელ შეახსენა თანამემამულეთ, რომ თუ თავისუფლება გვწადია, თუ საბოლოოდ გვსურს მტანჯველთა კლანჭებიდან ჩვენი საესავი სამშობლოს გამოხსნა, ემოციები და აღტკინება გვერდზე უნდა გადავდოთ, თუნდაც დროებით, და ასე, ასჯერ გაზომილი ნაბიჯებით, ასჯერ და ათასჯერ აწონილი სიტყვით, გონიერებითა და წინდახედულობით მოვახერხოთ სანადელის ასრულება:

ოჳ, ნაცარქექიავ, შენა?
სალაში მშობლიურ გმირს!
ამეხსნა შეკრული ენა,
ღიმილი მომიდის პირს...
ჩავნვები ლოგინში წყნარად,
ძილითა შევიქცევ თავს!..
ქაჯებო, დევებო, ფარად
მე ნაცარქექია მყავს!

შეიძლება ნაცარქექიას სახის მაყაშვილისეულმა ინტერპრეტაციამ დააფიქრა ათწლეულების შემდეგ ქართული კრიტიკის აღიარებული მეტრი გურამ ასათიანი, რომელმაც თავის უაღრესად მნიშვნელოვან



მარო მაყაშვილი



გამოკვლევაში „სათავეებთან“ ცალკე თავი მიუძღვნა ქართული ფოლკლორის ამ კოლორიტულ პერსონაჟს.

მერძე ის იყო, რომ ბატონი კოტე ქართული სახელმწიფოს ალდგენასაც მოესწრო და მის იაგარქმნასაც. აკი მის დიდებას შესწირა უსაყვარლესი ქალიშვილი, არც ვაჟიშვილს გადაფარებია მკერდით და ისიც სამშობლოს დასაცავად გაუშვა ფრონტზე, ლექსიც კი უძღვნა, თავდადებულ გმირ წინაპართ გიწინამძღროს დიდმა სულმა.

ბოლოს, როცა თავს ზემოთ ძალა აღარ იყო და საქართველოში კიდევ ერთხელ იძალა კაენის ბოროტმა სულმა, კოტე მაყაშვილის განწირულ და მწარედ დადაღულ გულს რეკვიემივით აღმოხდა სულისშემდრელი კივილი:

არც სიცოცხლის, არც სიკვდილის
აღარა მაჯვს ხალისი,
თებერვალმა დამიზამთრა
სამუდამოდ მაისი!

თითქმის ერთადერთ ნუგეშად ისლა დარჩა, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ჰიმნის ავტორი გახლდათ, ჰიმნისა, რომელშიც საკუთარი სული და გული ჩასდო და ასე გამოხატა თაყვანისცემა სამშობლოსადმი, თავისუფლებისადმი...

მშვენიერი ლირიკოსი გახლდათ, გამორჩეული ხმის მქონე ლირიკოსი, არაერთი ჩინებული სტრიქონის ავტორი. ერთი მათგანი თქვენს მონა-მორჩილს გამორჩეულად მოსწონს და ამიტომაც თავს ნებას მივცემ სრულად გაგაცნოთ ის:

o, stella...

ნარსულის კუთხიდან... არ დაგლლით ახსნებით
სტუდენტი... შორეთში... ცივა და ბნელა...
ვნაღვლობ და ვოცნებობ, ვჩურჩულებ აღ ზნებით
o, stella animal, divina stella!

ქალია მნათობი ის, თუ სხვა რამეა?!
ეს კია, თვალთაგან ცრემლი მდის ნელა...
შევნატრი შუქოსანს, თუმც გულში ღამეა,
o, stella animal, divina stella!

ვიგემი სიტკბონი, ტანჯვათა ქუხილიც...
ცხოვრება ვსოულე მე, იმანაც მთელა!
დავმარხე ნატვრანი და დამრჩა წუხილი:
o, stella animal, divina stella!

მიხმობენ თავისკენ უფსკრულის ლალები,
კარებთან მოისმის სიკვდილის ხველა...
მე შენებ მიპყრია მღოცველი თვალები,
o, stella animal, divina stella!

კოტე მაყაშვილის კალამს ეკუთვნოდა დიდი მოცულობის პოემა „ეშმაკი საქართველოში“.

მან დიდი ღვანწლი დასდო ქართულ თეატრს, თარგმნა რა ლოცე დე ვეგას უკვდავი პიესა „ცხვრის წყარო“ („ფუნტე რვებუნა“). ეს პიესა დიდმა კოტე მარჯანიშვილმა დადგა სცენაზე და ქართული თეატრის სავიზიტო ბარათად აქცია...

„მე მიყვარს ჩემი სამშობლო, მტკიცნეულად, განუსაზღვრელად და მსურს მის სამსახურში დავლიონ სული“ — განაცხადა თავის დროზე ბატონმა კოტემ და სიკვდილამდე ერთგული დარჩა თავისი ფიცისა, სიკვდილამდე ლირსეულად ატარა ქართველი მწერლისა და მამულიშვილის სახელი.

რომ არაფერს არ ვაჭარბებ და არ ვამატებ, ამის დასტურად კოტე მაყაშვილის თანამედროვეთა გამონათქვამებს მოვიშველიებ.

აი, როგორ შეფასდა თუ დაფასდა მისი ღვანწლი და რუდუნება.

„კოტე მაყაშვილი ერთადერთია, რომელიც განსაკუთრებული თავისებურებებით განიცდის საქართველოს!“ — ლეო ქაჩელი.

„რა საამაყოდ ამართლებდა თავის დამსახურებულ სახელს ყოველ დარგში, სადაც კი საზოგადოებრივ ჭაპანს ეწეოდა, რა პირნათლად იხდიდა შემოქმედებით ხარქს თავისი ქვეყნის, თავისი ხალხის წინაშე“ — სიკო ფაშალიშვილი.

„...არცერთ პოეტს, პოეტთა თავადო, არ ვცემ ისეთ პატივს, როგორც კოტე მაყაშვილს... იმედი მაჯვს, აღდგენილი საქართველო დააფასებს შენს ღვანწლს...“ — იოსებ გრიშაშვილი.

ყოველივე ამას თუ იმ ფაქტსაც დავამატებთ, რომ საქართველო კოტე მაყაშვილს ქართული მწერლობის სინდის უნიდებდა, ცხადი შეიქნება, თუ რა პიროვნებასთან, რა მოვლენასთან გვაქვს საქმე.

მართლაც რომ, რა ლირსეული იყო ყველგან...



კულტურული ცენტრების ქრონიკა

მართი

* * *



თელავის მერი პლატონ კალმახელიძე 8 მარტისადმი მიძღვნილ გამოფენას დაესწრო და თელაველ მხატვარ ქალბატონებს ქალთა საერთაშორისო დღე მიულოცა. ვაჟა-ფშაველას სახელობის თელავის დრამატული თეატრის ფოიეში, ქალთა დღისადმი მიძღვნილ გამოფენაზე, წარმოდგენილი იყო მხოლოდ მხატვარი ქალბატონების ნამუშევრები.

* * *



ქალაქ თელავის მერმა პლატონ კალმახელიძემ, ვიცე მერმა თენგიზ მთვარელიშვილმა და მერის მოადგილემ ლევან ლილუაშვილმა თეატრის საერთაშორისო დღე თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის დრამატული თეატრის მსახიობებს მიულოცეს.

ქალაქის მერმა, თელავის კულტურულ ცხოვრებაში შეტანილი წვლილისათვის, თეატრის შემოქმედებით კოლექტივს მადლობის სიგელი გადასცა.

* * *



თელავის მერი პლატონ კალმახელიძე თელავის მეორე სამუსიკო სკოლის მასწავლებლებს შეხვდა. ქალაქის მერმა მასწავლებლებისგან დეწვრილებით მოისმინა

სკოლაში არსებული გადასაჭრელი საკითხები და სამომავლოდ მათ თანდათანობით მოგვარებას დაჰპირდა. მერმა ასევე მოისმინა ახალგაზრდა პიანისტის მიერ შესრულებული საფორტეპიანო ნაწარმოები.

* * *



ქალაქ თელავის მერმა პლატონ კალმახელიძემ, სამხატვრო სკოლის მოსწავლეებს, ანიმაციური ფილმების შესაქმნელად სპეციალური კომპიუტერული ტექნიკა გადასცა. ახალგაზრდა ანიმატორებისთვის ქალაქის მერის საჩუქარი მოულოდნელი და სასიხარულო აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ სამხატვრო სკოლის მოსწავლეები გასულ ზაფხულს თელავის მერის დაფინანსებით ბულგარეთში იმყოფებოდნენ და უიურის განსაკუთრებული სიმპათია დაიმსახურეს.

* * *



თელავის თეატრში სპექტაკლ „ხანუმას“ პრემიერა გაიმართა. პრემიერას თელავის მაჟორიტარი დეპუტატი პარლამენტში გელა სამხარაული, კახეთის გუბერნატორი ირაკლი შიომღაშვილი, ქალაქ თელავის მერი პლატონ კალმახელიძე, ვიცე-მერი თენგიზ მთვარელიშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე არჩილ თხლაშიძე ესწრებოდნენ. მსახიობებმა თელავის დრამატული თეატრის სახელით, ხელისუფლების წარმომადგენლებს, თელავის თეატრის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის მადლობის სიგელები გადასცეს. შეგახსენებთ, რომ თელავის თეატრის დაფინანსება გასულ წელს 200 000-დან ნახევარ მილიონ ლარამდე გაიზარდა.

* * *

თელავის პირველი სამუსიკო სკოლის წარმატებულ მოსწავლეებსა და მათ პედაგოგებს ქალაქ თელავის



მერის პლატონ კალმახელიძის სახელით მადლობის სიგელები გადაეცათ. მოცარტის საიუბილეო წლისადმი მიიღვნილ კონცერტზე ადრესატებს სიგელები გადასცა თელავის მერის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა ფიქრია ყუშიტაშვილმა.

პრილი

* * *



6 აპრილს — თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის მეორე ტურის კონცერტი (კახეთისა და ქვემო ქართლის მონაწილეობით). კონცერტში მონაწილეობდნენ თელავის მერიასთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ვაჟთა გუნდი არჩილ ტეტიაშვილის ხელმძღვანელობით და ანსამბლი „პატარა კახი“ გოჩა და ბექა ბიძინაშვილების ხელმძღვანელობით. კონცერტზე საკუთარი ლექსებით წარსდგნენ სახალხო მთქმელები: გელა ციგროშვილი და თაძია სისაური.

* * *

ქალაქ თელავის მერიასა და საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს ხელი თელავის მერმა პლატონ კალმახელიძემ და ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა გიორგი კეკელიძემ მოაწერეს.

შეთანხმებისამებრ, ეროვნული ბიბლიოთეკა ახალგაზრდებში კითხვის პოპულარობის გაზრდის მიზნით სხვადასხვა პროექტებს განახორციელებს.

ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა, ახალგაზრდებში წიგნიერების ამაღლებაში შეტანილი წვლილისათვის მადლობის სიგელები გადასცა თელავის მერს პლატონ კალმახელიძეს, კახეთის გუბერნატორს ირაკლი შიოლაშვილს და თელავის თეატრის მმართველს პაატა გულიაშვილს.

მემორანდუმის გაფორმებას ესწრებოდნენ დევნილთა მინისტრი სოზარ სუბარი, პარლამენტარი ირაკლი სესიაშვილი, გერმანიისა და საფრანგეთის დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები საქართველოში.

* * *

ქალაქ თელავის მერი პლატონ კალმახელიძე ანიმაციური ფილმების ფესტივალის „ექი თოფუზის“ გახსნას დაესწრო. ფესტივალის ფარგლებში იმართება სამუშაო შეხვედრები, სადაც თელავისა და ზუგდიდის ანიმაციის სტუდიის მოსწავლეები ერთობლივად

მუშაობენ ახალ ანიმაციურ ფილმზე. ფესტივალის დასკვნით ნაწილში თელაველი და ზუგდიდელი ახალგაზრდა ავტორები წარადგენენ საკუთარ პროექტებს.

* * *



63



12 აპრილს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში, საფრანგეთში მოღვაწე, ნარმოშობით თელაველი მხატვრის, ეროვნული ბიბლიოთეკის მეგობართა ჯგუფის ხელმძღვანელის ლევან მოსიაშვილის ნახატების პერსონალური გამოფენა „Mon Amour“ („ჩემი სიყვარული“) გაიხსნა. ეროვნულ ბიბლიოთეკაში ეს მხატვრის მეოთხე პერსონალური გამოფენაა. ამჯერად, დამთვალიერებელი იხილავს ბოლო ერთი წლის მანძილზე ავანგარდულ და აბსტრაქტულ უანრში შექმნილ 60-მდე ტილოს.

* * *

თელავის ელ. ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლის ორგანიზებით, ცნობილი თელაველი მხატვრის ელენე ახვლედიანის 115 წლისთავისადმი მიიღვნილი გამოფენა გაიხსნა, სადაც თელავის მერმა პლატონ კალმახელიძემ განაცხადა: „...თითოეულ ახალგაზრდაში, რომლებმაც საკუთარი ნამუშევრები ამ ახლად შექმნილ სივრცეში წარმოადგინეს, ვხედავ მომავალ ელენე ახვლედიანს და თავისი საქმის მომავალ ვირტუოზს...“

* * *



თელავში კახეთის ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო პირველი ეროვნული კონკურსის პირველი ტური ჩატარდა, სადაც წარმოდგენილი იყო ფოლკლორული და სხვა საგუნდო სიმღერები. შესარჩევი ტურები ყველა რეგიონში იმართება. დასკვნითი კონკურსი კი თბილისში ჩატარდება.

ოლე, №2, 2016



* * *

სუხიშვილების ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა თელავში ტრადიციული ყოველწლიური კონცერტი გამართა.

კონცერტის დასასრულ სცენაზე ნინო და ილიკო სუხიშვილებიც გამოჩნდნენ და განსაკუთრებული სიყვარულისთვის მაყურებელს მადლობა გადაუხადეს. სუხიშვილების კონცერტი თელავის მერიის მხარდაჭერით ჩატარდა.

* * *

64



17 მაისს თვითმმართველი თემის გამგეობის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მხარდაჭერით წინანდლის კულტურის სახლში „დები ნაყაურების“ და ანსამბლ „ჰერულას“ კონცერტი გაიმართა.

ლონისძიებას ესწრებოდნენ თვითმმართველი თემის გამგეობის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი — სოფიო ახმეტელი და თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე — გიგა მამუკელაშვილი.

ლონისძიებაში მონაწილეობა წინანდლის სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმაც მიიღეს.

* * *

თვითმმართველი თემის გამგებლის — ალექსანდრე შათირიშვილისა და გამგეობის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მხარდაჭერით კისისხევის კულტურის სახლში ანიმაციური ფილმების ჩვენება ბაგა-ბალის აღსაზრდელებისთვის გაიმართა. ჩვენების დაწყებამდე, კულტურის სახლის ეზოში, საგანგებოდ პატარებისთვის, თეატრალური სანახაობა მოეწყო.

ლონისძიებას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ანიმაციური განვითარების ფონდის ხელმძღვანელმა — ზურაბ დიასამიძემ თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელს თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა და ქართული ანიმაციის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის ჯილდო გადასცა.

როგორც ალექსანდრე შათირიშვილმა ჩვენთან საუბრისას აღნიშნა: „თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობა ტრადიციულად მასპინძლობს ანიმაციური ფილმების ფესტივალს, გუშინ ნაფარეულის საჯარო სკოლაში მოსწავლეები ანიმაციის ტექნოლოგიებს გაეცნენ და შექმნეს ფილმი, რომელიც დღეს სხვა ფილმებთან ერთად აჩვენეს. თვითმმართველი თემის

* * *



ეროვნული სამოსის დღესთან დაკავშირებით, ეროვნულ სამოსში გამოწყობილმა ახალგაზრდებმა, მუნიციპალიტეტის მიმდებარე ტერიტორიიდან ცენტრალურ მიედნამდე მსვლელობა მოაწყვეს, რომელსაც ქალაქ თელავის საკრებულოს თავმჯდომარე არჩილ თხლაშიძე, თავმჯდომარის მოადგილე გია გიგაშვილი, თელავის მერი პლატონ კალმახელიძე და სხვა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები შეუერთდნენ. ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ ქალაქ თელავის მერია და კახეთის ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირი.

* * *

თელავის მერი პლატონ კალმახელიძე თელავის მუზეუმის თანამშრომლებს შეხვდა და მუზეუმების საერთაშორისო დღე მიუღოცა. „თითოეული მუზეუმის თანამშრომელი აგრძელებს დიდი ექვთიმე თაყაიშვილის საქმეს, თქვენ ხართ ჩვენი განძის მცველები და მადლობა ამისთვის“, — აღნიშნა ქალაქის მერმა

* * *



თელავის მერი პლატონ კალმახელიძე, თელავის საგანმანათლებლო რესურსცენტრში გალაკტიონ ტაბიძისადმი მიძღვნილ სასკოლო ლიტერატურულ კონკურსს დაესწრო. კონკურსზე სკოლის მოსწავლეებმა წარმოადგინეს გალაკტიონის თემაზე შექმნილი ლექსები, ნახატები და წაიკითხეს პოეტის ლექსები. სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებულები, მიმდინარე წლის ზაფხულში, გაემგზავრებიან გალაკტიონის მშობლიურ სოფელ ჭყვიშში.






Михајло Лазаревић Монсиса Ђорђевић



Дивље плаве цветове




Велики град



Гајење слонова



Гајацкојељско село



Београд у зимском

